

ზიანის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2025, № 11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2025, № 11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2025, № 11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2025, № 11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საკიბეპლი

1. ზიანის ანაზღაურების საფუძველი

ზიანის ანაზღაურების წარმოშობისთვის აუცილებელი წინაპირობები	4
მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობები	21

2. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

მატერიალური ზიანის სახით სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის მომსახურების საფასური გადახდა	55
---	----

3. მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი	82
მუნიციპალიტეტის მერიისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება	114
დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა	140

1. ზიანის ანაზღაურების საფუძველი

ზიანის ანაზღაურების წარმოშობისთვის აუცილებელი წინაპირობები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-178(კ-23)

18 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 22 ივლისს მ. ჩ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე, 2020 წლის 9 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმით: მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის – 3 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

სარჩელის თანახმად, 2018 წლის 21 სექტემბერს მ. ჩ-ისა და შპს „ჯ...ს“ დირექტორს (ვ. ჯ-ისა) შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №...-ში მდებარე 82 კვ.მ. ფართზე (ს/კ ..., დაზუსტებული ფართობი 701.00 კვ.მ). როგორც იჯარის ობიექტი, საოფისე საქმიანობისთვის ქირის ოდენობად განისაზღვრა 600 აშშ დოლარი.

მითითებულია, რომ მეიჯარეს 2018 წლის 01 ნოემბრიდან აღარ გადაუხდია საოფისე ფართით სარგებლობისათვის შეთანხმებული ქირა. ხელშეკრულების მხარემ დატოვა საქართველოს ფარგლები და პრეტენზიის წარდგენა მის მიმართ ვერ განხორციელდა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული იყო იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა, საიჯარო ქირის გადახდის ვადაგადაცილების გამო, 2019 წლის

22 იანვარს მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მოთხოვნით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 05 აპრილის №... გადაწყვეტილებით, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განემართა, რომ მოიჯარის მიერ შესაბამისი (იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული) ნების გამომხატველი სარეგისტრაციო დოკუმენტი სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი არ არის. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 16 აპრილის №... გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ არ არის აღმოფხვრილი შეჩერების საფუძველი. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 20 ივნისის №... გადაწყვეტილებით და მხარემ სასარჩელო წესით მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 05 აპრილის №... (სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება), 2019 წლის 16 აპრილის №... და 2019 წლის 20 ივნისის №... (საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი) გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება. 2020 წლის 9 დეკემბერს, მოთხოვნის დაზუსტების შემდგომ კი სასარჩელო მოთხოვნა დაზუსტდა მოპასუხისათვის ზიანის – 3 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 3 ივნისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა, საჯარო რეესტრში იჯარის ხელშეკრულების გაუქმების რეგისტრაციის უკანონოდ განუხორციელებლობიდან გამომდინარე მიყენებული ზიანის გამო, მოსარჩელე მ. ჩ-ის სასარგებლოდ 1 800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ქართული ლარის ანაზღაურება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ ქირის გადაუხდელობის გამო, მეიჯარეს შეუძლია იჯარის ხელშეკრულების მოშლა, მხოლოდ მოიჯარისათვის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე შეტყობინების საფუძველზე. მიუთითა, რომ მოსარჩელე მ. ჩ-ისა და მპს „ჯ...ს“ დირექტორის (ვ. ჯ-ისა) წარმომადგენელს – ბ. ჯ-ის შორის, მოსარჩელის ინიციატივით, 2019 წლის 22 იან-

ვარს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ხელშეკრულება, შპს „ჯ...ს“ მიერ 2018 წლის 1 ნოემბრიდან საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება მოშლილად ჩაითვალა, რამდენადაც საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ბ. ჯ-ის მინიჭებული ჰქონდა უფლება მიმდობის სახელით მონაწილეობა მიეღო ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში და იგი იყო მიმდობის წარმომადგენელი შპს „ჯ...ში“, თუმცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სარეგისტრაციო დოკუმენტის – იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, არ განახორციელა რეგისტრაცია, რაც სასამართლოს მსჯელობით ევალუბოდა კანონის შესაბამისად. ამდენად, მიიჩნია, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი უფლებრივად იყო დავითურთული მისი ნების საწინააღმდეგოდ, მოსარჩელეს არ მიეცა შესაძლებლობა სხვა პირთან გაფორმებული ხელშეკრულება დაერეგისტრირებინა საჯარო რეესტრში, რის გამოც მიადგა ზიანი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მხოლოდ 1800 აშშ დოლარის ნაწილში. საფუძველად მიუთითა შპს „ი...თან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, რომლის რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრში ვერ განხორციელდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ზიანის სახით ადმინისტრაციული ორგანოსთვის დასაკისრებელი თანხის ოდენობა, შპს „ი...თან“ გაფორმებული ხელშეკრულების ვადისა და პირობების (ფასი) შესაბამისად დააკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარე მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უმოქმედობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიიჩნია უპირველესად დადგინდეს და შეფასდეს, სახეზე არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ვინაიდან, შედეგის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს მოცემული დავისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – არსებობს თუ არა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი და

სამართლებრივი საფუძვლები. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, თავისთავად ზიანის არსებობის ფაქტი არ ქმნის ადმინისტრაციული ორგანოსათვის ამ ზიანის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს. უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებასა (მოქმედება/უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს (ზიანი) შორის.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე, 1005-ე მუხლები, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-7, მე-9, მე-11 მუხლები და ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით მიიჩნია, რომ შპს „ჯ...ს“ დირექტორის ვ. ჯ-ისას წარმომადგენელი – ბ. ჯ-ი, იჯარის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას მოქმედებდა შპს „ჯ...ს“ დირექტორის ვ. ჯ-ისას მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, რომლის მიხედვით, მას მინიჭებული ჰქონდა უფლება მიმდობის სახელით მონაწილეობა მიეღო ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში და იგი იყო მიმდობის წარმომადგენელი შპს „ჯ...ში“. არ გაიზიარა აპელანტის ის მოსაზრება, რომ საჯარო რეესტრი არ წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების მხარეს, შესაბამისად, მ. ჩ-ითან დადებული იჯარის ხელშეკრულებით სააგენტოს არ წარმოშობია უფლება – მოვალეობები. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, სრულყოფილად არ განახორციელა რეგისტრაცია, რაც კანონის შესაბამისად ევალებოდა, აღნიშნულით კი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჩ-ის წაერთვა შესაძლებლობა სხვა პირთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის პირობებში, იგივე ქონებაზე დაერეგისტრირებინა იჯარა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მისი უფლებამოსილების სფეროში არსებული ფუნქციის – იჯარის გაუქმების რეგისტრაციის განუხორციელებლობის გამო, უძრავ ქონებაზე (მდებარე ქ. თბილისი, ...ს ქუჩა №...; ს/კ ...) არ დაერეგისტრირდა იჯარის გაუქმება. ამასთან, მ. ჩ-ის შპს „ჯ...ს“ მიერ, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო უკვე ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული შპს „ი...თან“ იმ პირობით, თუ იჯარის ხელშეკრულების საგანი საჯარო რეესტრში არ იქნებოდა უფლებრივად დატვირთული 2019 წლის 20 მარტამდე, საიჯარო ქირა თვეში განისაზღვრებოდა 600 აშშ დოლარით. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, ზიანი დადგა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით, კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თავისი უფლებამოსილება არ განახორციელა სათანადოდ და ხელშეკრულების გაუქმების შესახებ რეგისტრაციაზე უკანონოდ თქვა უარი. სასამართლომ ზიანის დადგომას-

თან ერთად, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მ. ჩ-ისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის გამოთვლის ნაწილშიც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა დეტალურად მიუთითა ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ 2019 წლის 22 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების დარეგისტრირების მოთხოვნით, 2019 წლის 22 იანვარს წარდგენილ №... სარეგისტრაციო განცხადებაზე მიმდინარე წარმოების ეტაპზე დადგინდა, რომ შპს „ჯ...“ დირექტორის წარმომადგენელს (ბ. ჯ-ის) თანდართული მინდობილობის თანახმად, არ ჰქონდა მინიჭებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება. კასატორის განმარტებით, ვინაიდან, წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარდგენილი კორექტირებული მინდობილობა, სარეგისტრაციო სამსახურმა სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კასატორი, ყურადღებას ამახვილებს №... წარმოების ფარგლებში, მოსარჩელის მიერ წარდგენილ შპს „ჯ...“ დირექტორის მიერ გაცემულ მინდობილობაზე, რომელზეც აგებულია ორივე ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, სადაც მითითებულია, რომ შპს „ჯ...“ დირექტორის ვ. ჯ-ისას წარმომადგენელი – ბ. ჯ-ი, იჯარის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას მოქმედებდა შპს „ჯ...“ დირექტორის ვ. ჯ-ისას მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, რომლის მიხედვით, მას მინიჭებული ჰქონდა უფლება, მინდობის სახელით მონაწილეობა მიეღო ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში. კასატორის მსჯელობით, მინდობილობაში არსებული ჩანაწერი ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფასებული იქნა იმგვარად, რომ ჩანაწერი მხარეს ანიჭებდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებას, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მინდობილობიდან ასეთი უფლებამოსილება არ დგინდება. კასატორის მოსაზრებით, მართალია მინდობილობით ბ. ჯ-ის უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, თუმცა მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც სამოქალაქო სამართლებრივი უფლებამოსილებაა და ამგვარ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში წარმომადგენლობის უფლებამოსილება რწმუნებულს მინიჭებული არ ჰქონდა.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ განზრახულობათა ოქმს, ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი განმარტავს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ვერ იქნება გამოყენებული იმ გარემოების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად, რომ საჯარო რეესტრის მიერ იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის რეგისტრაციის განუხორციელებლობიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარეს მიადგა ფინანსური ზიანი, რამეთუ მოცემული შინაარსის დოკუმენტი შეიძლება გაფორმებული იქნეს ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, ნებისმიერი თარიღის მითითებით. ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს უძრავ ნივთზე (ს/კ...) ახალი იჯარის უფლების რეგისტრაციის მიზნით, საჯარო რეესტრისთვის კასაციის წარდგენის პერიოდისთვისაც კი არ მიუძღრათავს. კასატორი მიუთითებს ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაზე (საქმე №33/1156-20; 10.11.2021; საქმე №ბს-648-623(2კ-13), 10.04.2014) და განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის. აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობა, კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება კასატორის მსჯელობით, უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. წარმომადგენლის მსჯელობით, მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქტი კი, რომელიც წინამდებარე შემთხვევაში სახეზე არ არის, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება. მნიშვნელოვნად მიიჩნევს დადგინდეს, ზიანის მიმყენებლის ქმედება ხასიათდებოდეს მართლწინააღმდეგობითა და ბრალეულობით. ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის ერთობლიობაში (კუმულატიურად) უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო/კანონსაწინააღმდეგო გადანყვეტილება, ასეთი გადანყვეტილების მიღება გამოწვეული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული მოქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას შორის. კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ ვინაიდან №... წარმოების ფარგლებში მიღებული გადანყვეტილებების (ადმინისტრაციული აქტების) უკანონობა არ დადგენილა და არ არსებობს უკანონო აქტი, შესაბამისად არ არსებობს ზიანი. მიიჩნევს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლოებმა ვერ დაასაბუთეს მარეგისტრირებელი ორგანოს თუ რომელი უკანონო (გასაჩივრებული) გადანყვეტილებით/ქმედებით მიადგა ზიანი მოსარჩელეს და შესაბამისად რის საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს მითითებული თანხა. კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ უძრავ ნივთზე ახალი იჯარის უფლების რეგისტრაციის მოთ-

ხოვნით საჯარო რეესტრისათვის მოცემული პერიოდისათვის მხარეს არ მიუმართავს, რაც კასატორის მსჯელობით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ განზრახულობის ოქმი არ წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის რეგისტრაციის განუხორციელებლობით გამოწვეული ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურების უტყუარ მტკიცებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 ნოემბრის განჩინების გაუქმებით, კასატორი ითხოვს უარი ეთქვას მ. ჩ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე, უსაფუძვლოების გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 24 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 14 თებერვლის განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი. ამავე განჩინებით დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, (გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები). ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) და მიიჩნევა, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენებისა და განმარტების კუთხით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რამაც შექმნა საკასაციო სასამართლოს მიერ განჩინების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა.

განსახილველ დავაში მოსარჩელე მ. ჩ-ი ითხოვს საჯარო რეესტრში, იჯარის ხელშეკრულების გაუქმების რეგისტრაციის განუხორციელებლობიდან გამომდინარე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, მისი მოსამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, გამომდინარეობს თუ არა საქართველოს კანონმდებლობიდან მ. ჩ-ის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების დავალების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გადამწყვეტია დადგინდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობების არსებობა.

სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მხრიდან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თავისი სამსახურებრივ მოვალეობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე

მუხლის პირველი ნაწილით. ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. აღნიშნული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, ცალსახად დგინდება, რომ ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად უნდა არსებობდეს სათანადო მტკიცებულებით დადასტურებული, სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და უკანონო ქმედების შედეგადაც სახეზე უნდა იყოს მიყენებული ზიანი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე მ. ჩ-ისა და შპს „ჯ...ს“ (წარმოდგენილი მისი დირექტორით – ვ. ჯ-ისა) შორის, 2018 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა უძრავი ნივთი – საოფისე ფართი, მდებარე ქ. თბილისი, ...ს ქუჩა №... (ს/კ ...). იჯარის ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 12 (თორმეტი) თვე, კერძოდ, 2018 წლის 01 ოქტომბრიდან – 2019 წლის 01 ოქტომბრამდე. ხელშეკრულების 2.1. პუნქტის თანახმად, იჯარის ობიექტის სარგებლობისთვის განისაზღვრა ანგარიშსწორება ყოველთვიურად – 600 (ექვსასი) აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) ოდენობით. ხელშეკრულების 5.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შესაძლო შეწყვეტის პირობად სხვა პირობებთან ერთად მითითებულია, რომ საიჯარო თანხის 10 (ათი) სამუშაო დღითა ან მეტით ვადაგადაცილების შემთხვევაში, მეიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულება. დადგენილია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, 2018 წლის 27 სექტემბერს, იჯარის უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელე მ. ჩ-ისა და ბ. ჯ-ის (შპს „ჯ...ს“ დირექტორის ვ. ჯ-ისას წარმომადგენელი) შორის, 2019 წლის 22 იანვარს, მოსარჩელის ინიციატივით გაფორმდა 2018 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ხელშეკრულება.

დადგენილია, რომ მოსარჩელე მ. ჩ-მა 2019 წლის 22 იანვარს განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, წარუდგინა იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ 2019 წლის 22 იანვრის ხელშეკრულება, დაინტერესებული პირის და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, წარმო-

მადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მოითხოვა იჯარის რეგისტრაციის გაუქმება, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე – საოფისე ფართზე, მდებარე ქ. თბილისი, ... ქუჩა №... (ს/კ ...).

მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა განხილულ იქნეს მარეგისტრირებელი ორგანოს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის უფლება-მოვალეობები, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენისა და უშუალოდ ასეთი რეგისტრაციის განხორციელების დროს. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ არის წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 იანვრის №... გადაწყვეტილებით №... განცხადებაზე (22.01.2019 წელი) შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს ეცნობა, რომ წარდგენილი მინდობილობით ბ. ჯ-ის არ აქვს მინიჭებული იჯარის შეწყვეტის უფლებამოსილება. დაინტერესებულ პირს დაევალა მოქმედი, ძალაში მყოფი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

დადგენილია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 1 მარტის №... გადაწყვეტილებით შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის მოტივით.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე (მონინალმდეგე მხარე) მ. ჩ-ი სარჩელით ზიანის ანაზღაურებას ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მოქმედებაზე მითითებით, ამდენად, მოცემული დავის ფარგლებში საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ შესაფასებელია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის კანონიერი უფლების ხელყოფისა და შესაბამისად უკანონო ქმედებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი,

რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამ ნორმების ანალიზიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნინარესად მიმართულია შელახული სამართლებრივი სიკეთის ან დარღვეული უფლების აღდგენისა და შენარჩუნების ინტერესისაკენ. გამონაკლისის სახით, ანუ როდესაც რესტიტუციის გზით შელახული სამართლებრივი სიკეთის, ან დარღვეული უფლების აღდგენა და შენარჩუნება შეუძლებელია, ან არათანაზომიერად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია, კრედიტორს მიეცეს ფულადი ანაზღაურება, ანუ ზიანი ანაზღაურდეს მატერიალური ბალანსის აღდგენის გზით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობით ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. ზოგადად, ვალდებულების დარღვევა (უკანონო მმართველობითი ღონისძიება) სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. მნიშვნელოვანია, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის (ამჟამად კონსტიტუციის 18.4 მუხლი) უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის

მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამონკვეთელი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.“ აღსანიშნავია, რომ ნორმაში მოცემული პირობები კუმულაციური სახით არის წარმოდგენილი და აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.

იმისათვის, რომ დადგინდეს სახეზე არის თუ არა ზიანის ანაზღაურების წარმოშობისათვის აუცილებელი პირველი პირობა – ქმედება, საკასაციო პალატა თავდაპირველად ყურადღებას გაამახვილებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ (სადავო პერიოდის დროს მოქმედი რედაქცია) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტზე, სადაც მითითებულია, რომ რეგისტრაცია არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის, ტყის საზღვრის დადგენისა და მასში ცვლილების, ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის საზღვრებისა და მათში ცვლილების, გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციისა და მისამართების შესახებ მონაცემების, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდითური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ეკონომიკურ საქმიანობათა, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემების შესაბამის რეესტრში აღრიცხვა რეგისტრაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღე-

ბით. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება: ა) საკუთრება; ბ) აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა; გ) უზუფრუქტი; დ) სერვიტუტი; ე) იპოთეკა; ვ) ქირავნობა, ქვექირავნობა; ზ) იჯარა, ქვეიჯარა; თ) თხოვება; ი) ლიზინგი; კ) საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები; ლ) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. მ) სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება. კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით. აღნიშნულ შემთხვევაში განცხადება და თანდართული მონაცემები შეიძლება წარდგენილი იქნეს, ასევე დოკუმენტი შეიძლება გაიცეს ნებისმიერი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის ან ავტორიზებული პირის მეშვეობით. სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით კანონმდებლის მიერ განიმარტა დაინტერესებული პირი, რომელიც არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სააგენტოს გადაწყვეტილება ან ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი. როგორც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 იანვრის №... გადაწყვეტილებით ირკვევა, №... განცხადებაზე (22.01.2019 წელი) შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს ეცნობა, რომ წარდგენილი მინდობილობით ბ. ჯ-ის არ აქვს მინიჭებული იჯარის შეწყვეტის უფლებამოსილება. დაინტერესებულ პირს დაევალა მოქმედი, ძალაში მყოფი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

საქმეში წარმოდგენილი თეირანის საჯარო ნოტარიუსის ბიუროში 2019 წლის 5 იანვარს შედგენილი №1545 მინდობილობით დგინდება, რომ მიმნდობმა – ვ. ჯ-ისამ (დაბადებული ... წელი) მინდობილ პირს ბ. ჯ-ის (დაბადებული ... წელი) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება, კერ-

ძოდ, მინდობილობის საგანია: მიმდობის ყველა ადმინისტრაციული საქმეების წარმოება, იყოს მიმდობის წარმომადგენელი ყველა საჯარო და კერძო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, პოლიციის დეპარტამენტში, სასამართლოში, პროკურატურაში და საქართველოს სხვა იურიდიულ ორგანოებში. იყოს მიმდობის წარმომადგენელი №...-ში კოდი: ... მიმდობის მითითებით, აწარმოოს, მოაგვაროს, გააფორმოს და შეასრულოს ადმინისტრაციული და ფინანსური საქმეები, შეიტანოს სარჩელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ, წარადგინოს შუამდგომლობა, დაესწროს სასამართლოს სხდომებს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საქმის განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს ჩათვლით გამოვიდეს მიმდობის სახელით როგორც მოპასუხე ფიზიკური პირი და იურიდიული პირების მიერ სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით, დაიცვას მიმდობის უფლებები, დაესწროს დაწესებულებების, სასამართლოების, კომისიების სხდომებს, წარადგინოს შეპასუხება მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მოითხოვოს იურიდიული გამოკვლევა, დანიშნოს და გაათავისუფლოს რწმუნებული და განახორციელოს წინამდებარე მინდობილობის საგნის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ფორმალობა. მინდობილი პირი წარმოადგენს მიმდობის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელსაც გააჩნია წინამდებარე მინდობილობის საგნის განხორციელებისათვის საჭირო ყველა მოქმედების შესრულების უფლება. მინდობილი პირის მიერ გაფორმებულ ნებისმიერ აქტს და მის ხელმოწერას გააჩნია იგივე ძალა, რაც მიმდობის აქტს და ხელმოწერას.

დასახელებული მინდობილობით კონკრეტული სახის დავალების – მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება არ იკვეთება ჩამონათვალ უფლებამოსილებებში, რაც საფუძველია დასკვნისათვის, რომ წარმოდგენილი მინდობილობა მოიჯარის სახელით ამ უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას არ ადგენს. შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტაზე ნება გამოვლენილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, აღნიშნულმა კი ხარვეზიანად აქცია სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტი. საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს იმ მსჯელობას, რომ მართალია აღნიშნული მინდობილობით ბ. ჯ-ის უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც სამოქალაქო სამართლებრივი უფლებამოსილებაა და ამგვარ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში წარმომადგენლობის უფლებამოსილება რწმუნებულს მინიჭებული არ ჰქონდა. საკასაციო პალატა აქვე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 27 ოქტომბრის №ბს-897(კ-21) განჩინებაში განვი-

თარებულ შემდეგ მსჯელობაზე: „საკასაციო სასამართლო იზიარებს სა-
აპელაციო პალატის დასკვნას, რომ დასახელებული მინდობილობით
კონკრეტული სახის დავალების – მხარეთა შორის გაფორმებული ნას-
ყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება არ იკვეთება
ჩამონათვალ უფლებამოსილებებში, უფრო მეტიც, აღნიშნული უფლე-
ბამოსილებით აღჭურვა არ ვლინდება 2016 წლის 28 ნოემბერს გაცემუ-
ლი მინდობილობის საფუძველზე, რაც სასამართლოს აძლევს საფუძ-
ველს დასკვნისათვის, რომ წარმოდგენილი მინდობილობა მყიდველის
სახელით ამ უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას არ
ადგენს და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტაზე ნება გამოვლე-
ნილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. შესაბამისად, შპს ... წარმომად-
გენლის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტი ხარვეზიანი
იყო და არ ქმნიდა რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების გან-
ხორციელების საფუძველს“.

საკასაციო პალატა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების
არსებობის პირობებში ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამარ-
თლოების მსჯელობას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მართლსა-
წინააღმდეგო ქმედების არსებობისა და ამ საფუძველით, მოსარჩელის
სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ. საკასაციო
პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
მოქმედებაში არ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლო-
ბის დაკისრების პირობები – ზიანის მიყენება მართლსაწინააღმდეგო
ქმედებით, მიზეზობრივი კავშირის არსებობა მართლსაწინააღმდეგო
ქმედებასა და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი. ამდენად,
საკასაციო სასამართლო იზიარებს საჩივრის ავტორის იმ შეფასებას,
რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის,
მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძ-
ველები. ზიანის ფაქტის არსებობისა და აღნიშნული ზიანის მოპასუხის
მიერ მიყენების ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით, საკასაციო პალა-
ტა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-
ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, რომლის თანახმად, თითოეულ-
მა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყა-
რებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომ-
ლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკი-
ცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულე-
ბებით. ამდენად, მოსარჩელე ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს
მისი მოთხოვნის მართებულობა, ამასთან მტკიცება არ უნდა ეფუძნე-
ბოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოე-
ბებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და
მტკიცებულებებით. აქვე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს

იმ გარემოებაზეც, რომ როგორც მოცემული დავის, ასევე სხვა ადმინისტრაციული დავის ფარგლებში არ დადგენილა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს¹... წარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების, კერძოდ იმ აქტების უკანონობა, რომლითაც როგორც მოსარჩელე (მოცემულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარე) მიიჩნევს, უკანონოდ ეთქვა უარი მასსა და ბ. ჯ-ის (შპს „ჯ...ს“ დირექტორის ვ. ჯ-ისას წარმომადგენელი) შორის ქირის გადაუხდელობის საფუძველით, იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ 2019 წლის 22 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე.

რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ მ. ჩ-ისა და „ი...ის“ შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ განზრახულობის ოქმს, რომელიც საფუძველი გახდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული მტკიცებულება მითითებული სამართლებრივი ნორმებისა და მსჯელობის გათვალისწინებით არ არის საკმარისი ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს უძრავ ნივთზე (ს/კ ...) ახალი იჯარის უფლების რეგისტრაციის მიზნით, საჯარო რეესტრისთვის, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც არ მიუმართავს.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისაკენ, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენების ბრაღი და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ასევე ქმედებასა და მოსარჩელისათვის დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. ამასთან, აღნიშნულის დამადასტურებელი საწინააღმდეგო რაიმე მტკიცება მოსარჩელის (მოწინააღმდეგე მხარე) მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). საქართველოს სამოქალაქო კო-

დექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული 2022 წლის 16 ნოემბრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. იმავე კოდექსის 37-ე მუხლიდან გამომდინარე კი, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სახელმწიფო ბაჟი კი მიეკუთვნება სასამართლო ხარჯებს. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, მ. ჩ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 (ასი) ლარი + 309.38 (სამას ცხრა ლარი და 38 თეთრი) ლარი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად. საქმეზე დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მ. ჩ-ის (3/ნ ...) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ (ს/კ 202238621) უნდა დაეკისროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – ჯამში 667.16 (ექვსას სამოცდაშვიდი ლარი და 16 თეთრი) (201 + 466.16) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე წ ვ ი ტ ა :

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 ნოემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. ჩ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 (ასი) ლარი + 309.38 (სამას ცხრა ლარი და 38 თეთრი) ლარი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
5. მ. ჩ-ის (პ/ნ ...) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – ჯამში 667.16 (ექვსას სამოცდაშვიდი ლარი და 16 თეთრი) (201 + 466.16) ლარის ანაზღაურება.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობები

გაღანყვატილება საქართველოს სახელით

№ბს-1346(კ-22)

25 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „...-მ“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ ... უნივერსიტეტის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ... უნივერსიტეტის ... პროექტის – „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით უნივერსიტეტისთვის ...ის შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №5; ბ) დაეკისროს მოპასუხე – სსიპ ... უნივერსიტეტს შპს „...-სთვის“ მიყენებული ზიანის 9795.36 ლარის ანაზღაურება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ... უნივერსიტეტის ... პროექტის – „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით უნივერსიტეტისთვის ...ის შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №5 და დაევალა სსიპ ... უნივერსიტეტს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) 2019 წლის 6 მარტს, სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ იქნა №SPA... ელექტრონული ტენდერი ...-ის დაფინანსების ფარგლებში, ...ის შესყიდვის მიზნით. აღნიშნული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი ტექნიკური მოთხოვნა (მოთხოვნა შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშანთან, პატენტთან, მოდელთან, წარმოშობის წყაროსთან ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით) ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი უნდა შეიცავდეს შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყანა, კომპანია და მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებულ საქონელს არ გააჩნია მოდელი, უნდა მიეთითოს „მოდელი არ აქვს“. ასევე საჭიროების შემთხვევაში Part Number ან/და სერიული ნომერი ან/და შესყიდვის ობიექტის სხვა მაიდენტიფიცირებელი სასაქონლო ნიშანი“. ამავე სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ით დადგინდა ფასების ცხრილის წარმოდგენის ფორმა, რომლის თანახმად, შესასყიდი პროდუქტის მახასიათებლების ერთ-ერთ გრაფად მიეთითა „მწ. ქვეყანა, მწარმოებელი, მოდელი“; ბ) №SPA... ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა: შპს „...-მ“, შპს „აი...იმ“, შპს „ა...მა“, შპს „რ...მა“ და შპს „ჯ...მა“. ბოლო შეთავაზებისას, შესყიდვის ყველა დაბალი ფასი წარადგინა შპს „ჯ...მა“ (33 000 ლარი), ხოლო ყველაზე მაღალი – შპს „...-მ“ (37 582 ლარი); გ) შპს „...-ს“ მიერ №SPA... ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი ფასების ცხრი-

ლის თანახმად, ...ის მახასიათებლებში „მწ. ქვეყნის, მწარმოებლისა და მოდელის“ გრაფაში მითითებული იყო – ჩინეთი ...; ...ის – ჩინეთი ...; ... – ჩინეთი ...; ... – ჩინეთი ...; ... – ჩინეთი ...; დ) შპს „ჯ...ის“ მიერ №SPA... ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი ფასების ცხრილის თანახმად, ...ის მახასიათებლებში „მწ. ქვეყნის, მწარმოებლისა და მოდელის“ გრაფაში მითითებული იყო – ..., ჩინეთი; ...ის – ..., ჩინეთი; ..., ჩინეთი; ... – ..., ჩინეთი; ..., ჩინეთი; ე) სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმის თანახმად, №SPA... ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯ...ი“ და არანაკლებ 4 (ოთხი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად. ოქმში მითითა, რომ შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილი „ფასების ცხრილი“ – დანართი №1 შესაბამისობაშია შემსყიდველის მიერ სატენდერო განცხადებით მოთხოვნილთან; ვ) 2019 წლის 25 მარტს, შპს „...-მ“ საჩივრით მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მოითხოვა სსიპ ... უნივერსიტეტის ... პროექტის – „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით უნივერსიტეტისათვის ...ის შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა. საჩივარში მიუთითა, რომ შპს „ჯ...ის“ მიერ წარდგენილი ფასების ცხრილი არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტის მოთხოვნებს და ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებული საქონლის მოდელი დაზუსტებას არ ექვემდებარება, სატენდერო კომისიას ნაცვლად იმისა, რომ პრეტენდენტი მოეწვია ხელშეკრულებაზე, უნდა მოეხდინა მისი დისკვალიფიკაცია; ზ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს მიერ 2019 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს „...-ს“ საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა. კომისიამ გადაწყვიტა, რომ სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიას უნდა გაეთქმებინა 2019 წლის 21 მარტის სხდომის №2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და შპს „ჯ...ის“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება განეხორციელებინა წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დავების განხილვის საბჭომ მიუთითა, რომ საბჭომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინტერნეტ საძიებო სისტემის მეშვეობით მოიძია ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ სადავო პროდუქციასთან მიმართებით და განმარტა, რომ წარმოდგენილ პროდუქციაზე მოდელად მითითებულია შემდეგი მონაცემები, კერძოდ: პირველ პოზიციაზე (...) – Model ... (...),

მე-2 პოზიციაზე ...) – model number – ..., მე-3 პოზიციაზე (...) – ... Model No:..., მე-4 პოზიციაზე (...) – model ამდენად საბჭომ მიიჩნია, რომ ყველა შეთავაზებულ პროდუქციას გააჩნია სატენდერო პირობით მოთხოვნილი მოდელი, შესაბამისად, საბჭოს მხრიდან პრეტენდენტის მიერ სადავო პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, მწარმოებელი, მოდელი“ მითითებული ინფორმაცია ვერ იქნა გაიგივებული მოდელთან. 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში დავების განხილვის საბჭომ ასევე მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სატენდერო კომისიას სხდომის შესაბამის ოქმში არ აქვს დეტალურად განხილული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში მითითებული ინფორმაციის სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობა/შეუსაბამობა. შესაბამისად, საბჭოსთვის ბუნდოვანია, თუ რის საფუძველზე დადგინდა აღნიშნულ დოკუმენტში, მათ შორის სადავოდ გამხდარ პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, მწარმოებელი, მოდელი“ წარმოდგენილი პროდუქციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ სსიპ „... უნივერსიტეტის“ სატენდერო კომისიას უნდა გაეუქმებინა 2019 წლის 21 მარტის სხდომის №2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება, დეტალურად ემსჯელა თუ რამდენად შეესაბამება/არ შეესაბამება და რატომ პრეტენდენტის – შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში სადავოდ გამხდარ პოზიციებზე მოდელთან დაკავშირებით მითითებული ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მხოლოდ, აღნიშნულ საკითხზე დეტალური მსჯელობის შედეგად მიეღო შესაბამისი არგუმენტირებული გადაწყვეტილება; თ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, სატენდერო კომისიამ განიხილა 2019 წლის 12 აპრილის სხდომაზე და დაადგინა: 1) შპს „...-ს“ მიერ წარმოდგენილი DIS...-01 საჩივრის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი, მე-3, მე-4 ნაწილების, ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 ნაწილის საფუძველზე, მისი ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებები; 2) „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის

მიმართვის წერილის მომზადება, ტენდერის სტატუსის შეცვლის თაობაზე, რათა შპს „ჯ...ის“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება განხორციელდეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით; ი) სატენდერო კომისიის 2019 წლის 12 აპრილის №3 სხდომის ოქმში მიეთითა, რომ ვინაიდან, შპს „ჯ...ის“ მიერ შემოთავაზებული პროდუქტის მოდელთან დაკავშირებული ინფორმაცია გახდა სადავო, გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, დავების საბჭომ კი თავის კომპეტენციის ფარგლებში ინტერნეტ საძიებო სისტემის ფარგლებში მოიძია ინფორმაცია აღნიშნულ პროდუქციასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პრეტენდენტის მიერ სადავო პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, კომპანია და მოდელი“ მითითებული ინფორმაცია ვერ იქნა გაიგივებული მოდელთან, იმისთვის, რომ შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით განხორციელდეს შპს „ჯ...ის“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება, მიზანშეწონილია გაუქმებულ იქნეს 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმი; კ) 2019 წლის 19 აპრილს, სატენდერო კომისიამ განიხილა სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ „...ის“ შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 6 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი SPA ...) ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებდა შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განხორციელდა შპს „ჯ...ის“ ტენდერიდან დისკვალიფიკაცია; ლ) 2019 წლის 30 აპრილს შედგა სატენდერო კომისიის სხდომა, რომელზეც კომისიამ განიხილა სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ „...ის“ შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 6 მარტს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი SPA ...) შეწყვეტის საკითხი და დაადგინა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად, ელექტრონულ ტენდერს SPA ... უნდა მიენიჭოს სტატუსი „შენწყვეტილია“ და სატენდერო წინადადების 2.1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით; მ) 2019 წლის 30 აპრილის №5 სხდომის ოქმში სატენდერო კომისიამ მიუთითა, რომ შპს „...-ს“ DIS...-01 საჩივრის შედეგად, დავების საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვე-

ტილების თანახმად, შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს, კერძოდ, შპს „ჯ...ის“ მიერ შემოთავაზებული პროდუქტის მოდელთან დაკავშირებული ინფორმაცია გახდა სადავო და გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, დავების საბჭოს გადაწყვეტილებით კი, პრეტენდენტის მიერ სადავო პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, კომპანია და მოდელი“ მითითებული ინფორმაცია ვერ იქნა გაიგივებული მოდელთან. სატენდერო კომისიამ იმსჯელა და გამოითქვა მოსაზრებები, კერძოდ, აღინიშნა, რომ რადგანაც მოცემულმა დავამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, მიმდინარე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს აქვთ ანალოგიური შემთხვევა და „ფასების ცხრილი“ – დანართი №1, მოდელის პოზიციაზე წარმოდგენილი აქვთ, კონფიგურაციით – ... და არა ..., შესაბამისად, პრეტენდენტები იმყოფებიან არათანაბარ კონკურენტულ გარემოში, მიუხედავად, რომ ფასით ყველაზე დაბალ პრეტენდენტზე – შპს „ჯ...ზე“ 4 582 ლარით მაღალი ფასი აქვს დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტს – შპს „...-ს“, რომელიც ერთადერთი პრეტენდენტია მოცემულ ტენდერში, რომელსაც „ფასების ცხრილის“ მოდელი პოზიცია შემოთავაზებული აქვს კონფიგურაციით – ..., რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან და არადისკრიმინაციულობის პრინციპებიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, გადაიხედოს, გადამუშავდეს „ტექნიკური დავალება“ აღნიშნული დავის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და ტენდერს მიენიჭოს სტატუსი – „შენწყვეტილია“.

სასამართლოს განმარტებით, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით, რომლის პირველი მუხლის თანახმად, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად და მისი მიზანია ელექტრონული ტენდერის ჩატარებასთან, ასევე მისი ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაცია და მონიტორინგი. ამავდროულად წესის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითი-

თებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს, ხოლო 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სატენდერო კომისიამ დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე განიხილა სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ „...ის“ შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 6 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი SPA ...) ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია და 2019 წლის 12 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ, ხოლო 2019 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით, განახორციელა შპს „ჯ...ის“ ტენდერიდან დისკვალიფიკაცია.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ხოლო ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისია უფლებამოსილია, ხელშეკრულების დადებაამდე შეწყვიტოს ელექტრონული ტენდერი, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ამ წესის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. აღნიშნული წესის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით, აფასებს მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს (არსებობის შემთხვევაში) ან იღებს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მომდევნო პრეტენდენტის წინადადე-

ბის ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სხდომის ოქმი სატენდერო კომისიის მიერ მიღებული იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. ამდენად, NSPA... ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საფუძველი გახდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი რაციონალური ხარჯვისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, ასევე ის გარემოება, რომ ტენდერიდან დისკვალიფიცირებულ იქნა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რაც სატენდერო კომისიას ანიჭებდა უფლებამოსილებას მიეღო გადაწყვეტილება ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-6 და მე-7 მუხლებზე მითითებით, სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივად შებოჭილ თავისუფლებას, ვინაიდან აღნიშნული ისეთი უფლებამოსილებაა, რომელიც ერთი მხრივ, კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მოწესრიგებით, თუმცა შეზღუდულია კანონით დადგენილი ნორმის მიზნითა და ფარგლებით. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სრული სასამართლო კონტროლი გამოიწვევდა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას, სასამართლო კონტროლის მოცულობა შეზღუდულია იმ გარემოებების შემთხვევებით, არსებობდა თუ არა დაშვებული შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის ბოლო წინადადება ადგენს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. განსახილველ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ელექტრონული ტენდერის

შენწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სატენდერო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ადმინისტრაციულ ორგანოს არათავისუფლებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებისაგან. მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების პირობებშია შესაძლებელი დადგინდეს, კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, 96-ე მუხლზე მითითებით, სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის №5 სხდომის ოქმი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საფუძვლების თაობაზე. კერძოდ, გასაჩივრებულ ოქმში არ არის ასახული კომისიის მსჯელობა, თუ რატომ მიიჩნია კომისიამ, რომ შპს „...-ს“ მიერ შეთავაზებული შესყიდვის ფასი (37 582 ლარი) ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, რის გამოც რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტენდერის შეწყვეტის შესახებ. მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ შპს „...-ს“ დაფიქსირებული ჰქონდა შპს „ჯ...ის“ მიერ შეთავაზებულ შესყიდვის ფასზე (33 000 ლარი) 4 582 ლარით მაღალი ფასი, არ ქმნის საკმარის საფუძველს იმის დასადასტურებლად, რომ იგი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას. რაც შეეხება, შესყიდვის ობიექტის მოდელის თაობაზე სატენდერო პირობასთან დაკავშირებით, პრეტენდენტებს შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, რაც სატენდერო კომისიამ დისკრიმინაციულად მიიჩნია, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის №5 სხდომის ოქმის მიღებას წინ უსწრებდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, სადაც დავების განხილვის საბჭომ შპს „...-ს“ საჩივრის საფუძველზე განიხილა ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის – შპს „ჯ...ის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან (სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტთან) შესაბამისობა და მიუთითა, რომ საბჭოს მხრიდან პრეტენდენტის მიერ სადავო პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, მწარმოებელი, მოდელი“ მითითებული ინფორმაცია ვერ იქნებოდა გაიგივებული მოდელთან. გადაწყვეტილებაში არსად არ არის მითითებული, რომ სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტით დადგენილი პირობა იყო ორაზროვანი და პრეტენდენტებს დისკრიმინაცი-

ულ მდგომარეობაში აყენებდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სატენდერო პირობები პრეტენდენტთა მხრიდან სადავოდ არ ყოფილა გამხდარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ოქმი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რატომ წარმოადგენდა სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტით დადგენილი პირობა დისკრიმინაციულ პირობას. მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ კონკრეტულმა პირობამ პრეტენდენტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, უპირობოდ არ წარმოადგენს იმის დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ აღნიშნული პირობა იყო ორაზროვანი და პრეტენდენტთა ნაწილს სხვა პრეტენდენტთან შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული ოქმი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საფუძვლების თაობაზე. ამდენად, სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის №5 სხდომის ოქმი გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ხოლო იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი დასკვნის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ასეთი გამოკვლევის არარსებობის შემთხვევაში კი, სასამართლო ვერ იმსჯელებს იმ მტკიცებულებებზე და გარემოებებზე, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასებისა და გამოკვლევის საგანი არ ყოფილა, რის გამოც უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – სსიპ ... უნივერსიტეტის ... პროექტის – „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით უნივერსიტეტისთვის ...ის შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №5 და დაავალოს სსიპ ... უნივერსიტეტს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკითხის ხელახალი განხილვისას სსიპ ... უნივერსიტეტი ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული

ტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება, იხელმძღვანელოს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით და გადანაცვტილება მიიღოს იმგვარად, რომ არ შეილახოს პირის კანონით გარანტირებული უფლებები. კერძოდ, სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს ელექტრონული ტენდერიდან ყველაზე დაბალი შესყიდვის ფასის მქონე პრეტენდენტის (შპს „ჯ...ი“) დისკვალიფიკაციის შემდგომ, შპს „...-ს“ მიერ შეთავაზებული შესყიდვის ფასი (37 582 ლარი) ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატებოდა თუ არა ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას. ამასთან, კომისიამ უნდა იმსჯელოს რამდენად აყენებდა სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტით დადგენილი პირობა ტენდერში მონაწილე ოთხ პრეტენდენტს შპს „...-სთან“ შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, მხოლოდ იმიტომ, რომ აღნიშნული პირობის შესაბამისი დოკუმენტაცია წარდგენილი იყო მხოლოდ ერთი პრეტენდენტის (შპს „...-ს“) მიერ, ხოლო დანარჩენი ოთხი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა მითითებულ პირობას, რაც რაციონალური ხარჯვის პრინციპთან ერთად ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი გახდა. ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ ... უნივერსიტეტის ... პროექტის – „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით უნივერსიტეტისთვის ...ის შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №5 და სსიპ ... უნივერსიტეტს უნდა დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე მეორე სასარჩელო მოთხოვნით ითხოვს დაეკისროს მოპასუხე – სსიპ ... უნივერსიტეტს შპს „...-სთვის“ მიყენებული ზიანის 9 795.36 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ზიანი წარმოადგენს მატერიალური ხასიათის ზიანს, რომელიც შპს „...-ს“ მიადგა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სსიპ ... უნივერსიტეტმა არ გამოავლინა იგი ტენდერში გამარჯვებულად და არც ხელშეკრულება გაუფორმა. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში კი, მისი სუფთა მოგება იქნებოდა სწორედ 9 795.36 ლარი. ამდენად, შპს „...-ს“ მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არსებითად უკავშირდება ტენდერის შეწყვეტის შესახებ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადანაცვ-

ტილების (2019 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №5) კანონიერებას. იმ პირობებში, როცა სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მისი შესაძლო უკანონობის დადგენა უკავშირდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სადავო საკითხის ხელახლა შეფასებას, ამ ეტაპზე არ არსებობს სადავო აქტის მოქმედებით მოსარჩელისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ... უნივერსიტეტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 სექტემბრის განჩინებით სსიპ ... უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...-მ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...-ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. შპს „...-ს“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ... უნივერსიტეტის ... პროექტის – „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით უნივერსიტეტისთვის ...ის შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №5. დაეკისრა მოპასუხე – სსიპ ... უნივერსიტეტს შპს „...-სთვის“ მიუღებელი შემოსავლის – 4500 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლო არსებითად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც ასევე გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა შემდეგი: ა) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №2153

განკარგულებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ ... უნივერსიტეტს ნება დაერთო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს ...-ის „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ...ის სახელმწიფო შესყიდვა; ბ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №2153 განკარგულების საფუძველზე, სსიპ ... უნივერსიტეტსა და შპს „ჯ...ს“ შორის 2019 წლის 11 სექტემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №..., რომლის მიხედვით, სსიპ ... უნივერსიტეტმა შპს „ჯ...ისგან“, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეიძინა ...ი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 38 553.00 ლარით; გ) შპს „...-ს“ მიერ წარმოდგენილი ინვოისებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის ამონაწერის მიხედვით დგინდება, რომ №SPA... ელექტრონული ტენდერში მითითებული ...ის შეძენა და მისი სრული ტრანსპორტირება ამერიკიდან ... უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულ მისამართამდე შპს „...-ს“ დაუჯდებოდა (86 1+26 794+16) 27 671 ლარი, ხოლო ელექტრონულ ტენდერში შპს „...-ს“ მიერ შეთავაზებული ღირებულებიდან 37 582 ლარიდან, კომპანიის მოგება იქნებოდა (37 582 – 27 671) 9911 ლარი.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სადავო გადაწყვეტილების მიხედვით, სსიპ ... უნივერსიტეტმა №SPA... ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, რომ გადაეხედა, გადაემუშავებინა ტექნიკური დავალება და ჩამოეყალიბებინა ახალი რედაქციით და არა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების შესაბამისად, რომლითაც ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესია დამტკიცებული. განსახილველ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს მითითებული წესის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, კერძოდ, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სატენდერო კომისია უფლებამოსილია, ხელშეკრულების დადებამდე შეწყვიტოს ელექტრონული ტენდერი: ა) თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, ბ) საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და გ) ამ წესის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. რაც შეეხება წესის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტს, იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენ-

დენტის დისკვალიფიკაცია. საყურადღებოა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე სისპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიას დაევალა გააუქმოს 2019 წლის 21 მარტის სხდომის №2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და შპს „ჯ...ს“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება განახორციელოს წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრული დაცვით. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, სატენდერო კომისიის სხდომის 2019 წლის 30 აპრილის №5 ოქმით, ელექტრონულ ტენდერს №SPA... მიენიჭა სტატუსი „შენწყვეტილი“ და სატენდერო წინადადება 2.1.1. პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, თუმცა როგორ, სადავო გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული არ არის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თუ იარსებებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება (ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია), კომისიამ 5 სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით, უნდა შეაფასოს მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი (არსებობის შემთხვევაში) ან მიიღოს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, თუ მომდევნო პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას. მოცემულ შემთხვევაში, რეალურად დარჩენილი იყო ერთადერთი პრეტენდენტი – შპს „...“, რასაც ადასტურებს სადავო აქტით თვითონ სატენდერო კომისია 2019 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში, რომელიც გამოცემულია დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით, სადაც აღნიშნავს, რომ „მიმდინარე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს აქვთ ანალოგიური შემთხვევა და ფასების ცხრილი“ – დანართი 1, მოდელის პოზიციაზე წარმოდგენილი აქვთ, კონფიგურაციით – ... და არა შესაბამისად, პრეტენდენტები იმყოფებიან არათანაბარ კონკურენტულ გარემოში, მით უფრო, რომ ფასით ყველაზე დაბალ პრეტენდენტზე – შპს „ჯ...ზე“ 4 582 ლარით მაღალი ფასი აქვს დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტს – შპს „...-ს“, რომელიც ერთადერთი პრეტენდენტია მოცემულ ტენდერში, რომელსაც „ფასების ცხრილის“ მოდელის პოზიცია შემოთავაზებული აქვს კონფიგურაციით – ..., რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან

და არადის კრიმინაციულობის პრინციპებიდან გამომდინარე“. ამდენად, სადავო აქტით არის დადასტურებული, რომ სატენდერო კომისიას შე-საფასებელი ჰყავდა ერთადერთი პრეტენდენტი – შპს „...-ს“ სახით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, შპს „...-ს“ მითითებული ჰქონდა 4582 ლარით მაღალი ფასი, ვიდრე შპს „ჯ...ს“, რომლის მიმართაც გაუქმდა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება მისი ამ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადების თაობაზე, თუმცა შპს „...-ს“ მიერ შე-თავაზებული თანხა – 37 582.00, შესაბამისობაში იყო სატენდერო კო-მისიის მიერ გამოცხადებულ თანხასთან. ამასთან, ის გარემოება, რომ შპს „...-ს“ მიერ შეთავაზებული ფასი (პრეტენდენტის წინადადების ფა-სი) მიუღებელი იყო ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად ან მნიშ-ვნელოვნად აღემატებოდა ამ შესყიდვის ობიექტის ღირებულებას („ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის მე-5 პუნ-ქტის მოთხოვნა), არც სადავო აქტშია მითითებული და არც სასამარ-თლო განხილვისას დაუსაბუთებია ადმინისტრაციულ ორგანოს. პირი-ქით, სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ტენდერის შეწყვეტის შემდგომ, სსიპ ... უნივერსი-ტეტმა გამარტივებული წარმოების პირობებში შეიძინა იგივე სახეობის ..., რომლის შესასყიდადაც იყო შეწყვეტილი ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული, შეიძინა ტენდერიდან დისკვალიფიცირებული შპს „ჯ...ისგან“ და თანაც შპს „...-ს“ მიერ შეთავაზებულ ფასზე (37582.00 ლარზე) უფრო ძვირად (38 553.00 ლარად). ზემოაღნიშნულიდან გამომ-დინარე ირკვევა, რომ არ არსებობდა ელექტრონული ტენდერის შენ-ყვეტის საფუძვლები, სადავო აქტი არ შეესაბამება „სახელმწიფო შეს-ყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდ-ვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანე-ბით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, სსიპ ... უნივერსიტეტის ... პროექ-ტის – „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენ-დერის საშუალებით უნივერსიტეტისთვის ...ის შესყიდვის მიზნით სა-ტენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №5 არ არის მიღებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მართლსაწინააღ-მდეგოა და უნდა გაუქმდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებზე, 992-ე მუხლზე, 1005-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებ-ზე მითითებით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გა-მომწვევი ქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ,

ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს. ამასთან, ქმედება, რომელმაც პირს ზიანი მიაყენა, უნდა გამომდინარეობდეს პირის სამსახურებრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედებაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს სხვა პირისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლად. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზიანსა და პირის ქმედებას შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ამდენად, უნდა დადგინდეს შემდეგი საფუძვლების ერთობლივი არსებობა: ა) მართლსაწინააღმდეგო ქმედება; ბ) შედეგი – ზიანი; გ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; დ) პირის ბრალეულობა, რაც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობისას უნდა გამოიხატოს განზრახვასა ან უხეშ გაუფრთხილებლობაში. ამასთანავე უნდა დადგინდეს, რომ დაზარალებული შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. სსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლების გათვალისწინებით, ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ დამდგარი ზიანი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც. მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ისაა, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობს მის მიუღებლობაში, მაგრამ სასამართლომ უნდა შეაფასოს, რომ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება, რამდენად მიიღებდა მხარე ამ სარგებელს და რამდენად რეალური იქნებოდა აღნიშნული. ამრიგად, მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ იმ პრეტენდენტებს შორის, რომლებმაც 2019 წლის 6 მარტს, სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ №SPA... ელექტრონული ტენდერში მიიღეს მონაწილეობა, დარჩენილი იყო ერთადერთი პრეტენდენტი – შპს „...“, რომლის შეთავაზებული ფასიც შესაბამისობაში იყო სატენდერო კომისიის მიერ დადგენილ სავარაუდო ფასთან

და რომ არა ტენდერისათვის სტატუსი – „შენწყვეტილია“ მინიჭება, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა შპს „...“ და დაიდებოდა ხელშეკრულება. ამდენად დასტურდება, რომ მოსარჩელემ ვერ მიიღო შემოსავალი, რაც გამოიწვია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილებების არაჯეროვნად განხორციელებამ. სადავო აქტით უსაფუძვლოდ შეწყდა ელექტრონული ტენდერი და შპს „...“, რომელიც ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთა ერთადერთ პრეტენდენტს წარმოადგენდა, სამართლებრივი გზით შეეცადა ზიანი აეცილებინა თავიდან, დარჩა იმ შემოსავლის გარეშე, რომელსაც ის მიიღებდა, რომ არა ადმინისტრაციული ორგანოს არამართლზომიერი ქმედება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საქმეზე დადგენილი ფაქტების ერთობლიობა ასაბუთებს და ამართლებს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, იგი შესაფასებელია სასამართლოს მიერ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“-ს მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ – სსიპ ... უნივერსიტეტს შპს „...“-ს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის – 4500 ლარის ანაზღაურება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ... უნივერსიტეტმა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა, რომ სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ 06.03.2019წ. გამოცხადებულ ტენდერში ტენდერის შეწყვეტამდე დარჩენილი იყო ერთადერთი პრეტენდენტი – შპს „...“ და, რომ არა ტენდერისათვის სტატუსი „შენწყვეტილია“ მინიჭება, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა აღნიშნული კომპანია, რომელთანაც დაიდებოდა შესყიდვის ხელშეკრულება. უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა ხუთი პრეტენდენტი – შპს „...“, შპს „აი...ი“, შპს „ა...ი“, შპს „რ...ი“ და შპს „ჯ...ი“. შესყიდვის ყველაზე დაბალი ფასი წარადგინა შპს „ჯ...მა“ (33 000 ლარი), ხოლო ყველაზე მაღალი – შპს „...-მ“ (37 582 ლარი). სატენდერო კომისიამ 19.04.2019წ. გადაწყვეტილებით განახორციელა შპს „ჯ...ის“ ტენდერიდან დისკვალიფიკაცია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველაზე დაბალი წინადადების

ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში სატენდერო კომისია აფასებს მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს. მითითებული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე შპს „...“-ს “შეფასებამდე უნდა განხორციელებულიყო – შპს „აი...ის“, შპს „ა...ის“ და შპს „რ...ის“ შეფასება, რაც სატენდერო კომისიას არ განუხორციელებია და შესაბამისად, ტენდერის შეწყვეტამდე არ იყო დარჩენილი ერთადერთი პრეტენდენტი – შპს „...“. დაუსაბუთებელია პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, თუ ტენდერი არ შეწყდებოდა, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა შპს „...“ და მასთან დაიდებოდა შესყიდვის ხელშეკრულება. საგრანტო პროექტის დონორის მოთხოვნის შესაბამისად შესყიდვის ობიექტის ოპერატიული სისტემა გადიოდა მხოლოდ ერთ მწარმოებელზე „...-ზე“, რის გამოც შესყიდვა ვერ განხორციელდებოდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით. იგი შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ამდენად, მითითებული საფუძვლით ტენდერი მაინც უნდა შეწყვეტილიყო და შპს „...“ გამარჯვებულად ვერ გამოცხადდებოდა.

სააპელაციო პალატის მოსაზრება შპს „...“-ს“ გამარჯვებასთან დაკავშირებით არის მხოლოდ ვარაუდი, რომელიც არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილებას. ამასთან, საყურადღებოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას და სასამართლოს ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გადაწყვიტა საკითხი, რომელიც მის უფლებამოსილებას არ წარმოადგენდა.

კასატორის განმარტებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის დაკისრება ნაწილშიც, კერძოდ, გაურკვეველია რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით განსაზღვრა სასამართლომ მიუღებელი შემოსავლის ოდენობა 4500 ლარის ოდენობით.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ ... უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 მაისის განჩინებით განისაზღვრა სსიპ ... უნივერსიტეტის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2024 წლის 3 ივლისის განჩინებით სსიპ ... უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ ... უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სსიპ ... უნივერსიტეტისათვის შპს „...-ს“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 4500 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) 2019 წლის 6 მარტს, სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ იქნა №SPA... ელექტრონული ტენდერი ...-ის დაფინანსების ფარგლებში, ...ის შესყიდვის მიზნით. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ერთ-ერთი ტექნიკური მოთხოვნა (მოთხოვნა შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშანთან, პატენტთან, მოდელთან, წარმოშობის წყაროსთან ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით) ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი უნდა შეიცავდეს შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყანა, კომპანია და მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებულ საქონელს არ გააჩნია მოდელი, უნდა მიეთითოს „მოდელი არ აქვს“. ასევე საჭიროების შემთხვევაში Part Number ან/და სერიული ნომერი ან/და შესყიდვის ობიექტის სხვა მაიდენტიფიკირებელი სასაქონლო ნიშანი“. ამავე სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ით დადგინდა ფასების ცხრილის წარმოდგენის ფორმა, რომლის თანახმად, შესასყიდი პროდუქტის მახასიათებლების ერთ-ერთ გრაფად მიეთითა „მწ. ქვეყანა, მწარმოებელი, მოდელი“; ბ) №SPA... ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა: შპს „...-მ“, შპს „აი...იმ“, შპს „ა...მა“, შპს „რ...მა“ და შპს „ჯ...მა“. მათ შორის, ბოლო შეთავაზებისას, შესყიდვის ყველა დაბალი ფასი წარადგინა შპს „ჯ...მა“ (33 000 ლარი), ხოლო ყველაზე მაღალი – შპს „...-მ“ (37 582 ლარი); გ) შპს „...-ს“ მიერ №SPA... ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი ფასების ცხრილის თანახმად, ...ის მახასიათებლებში „მწ. ქვეყნის, მწარმოებლისა და მოდელის“ გრაფაში მითითებული იყო – ჩინეთი ...; ... – ჩინეთი ...; ... – ჩინეთი ...; ... – ჩინეთი ...; დ) შპს „ჯ...ის“

მიერ №SPA... ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი ფასების ცხრილის თანახმად, ...ის მახასიათებლებში „მწ. ქვეყნის, მწარმოებლისა და მოდელის“ გრაფაში მითითებული იყო – ..., ჩინეთი; ... – ..., ჩინეთი; ..., ჩინეთი; ... – ..., ჩინეთი; ..., ჩინეთი; ე) სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმის თანახმად, №SPA... ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯ...“ და არანაკლებ 4 (ოთხი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოწვეული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად. ოქმში მიეთითა, რომ შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილი „ფასების ცხრილი“ – დანართი №1 შესაბამისობაშია შემსყიდველის მიერ სატენდერო განცხადებით მოთხოვნილთან; ვ) 2019 წლის 25 მარტს, შპს „...-მ“ საჩივრით მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მოითხოვა სსიპ ... უნივერსიტეტის ... პროექტის – „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით უნივერსიტეტისათვის ...ის შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა. საჩივარში მიუთითა, რომ შპს „ჯ...ის“ მიერ წარდგენილი ფასების ცხრილი არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტის მოთხოვნებს და ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებული საქონლის მოდელი დაზუსტებას არ ექვემდებარება, სატენდერო კომისიას ნაცვლად იმისა, რომ პრეტენდენტი მოეწვია ხელშეკრულებაზე, უნდა მოეხდინა მისი დისკვალიფიკაცია; ზ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს მიერ 2019 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს „...-ს“ საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა. კომისიამ გადაწყვიტა, რომ სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიას უნდა გაეუქმებინა 2019 წლის 21 მარტის სხდომის №2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და შპს „ჯ...ის“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება განეხორციელებინა წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დავების განხილვის საბჭომ მიუთითა, რომ საბჭომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინტერნეტ საძიებო სისტემის მეშვეობით მოიძია ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ სადავო პროდუქციასთან მიმართებით. წარმოდგენილ პროდუქციაზე მოდელად მითითებულია შემდეგი მონაცემები, კერძოდ: პირველ პოზიციაზე (...) – Model ... (...), მე-2 პოზიციაზე (...) – model number – ..., მე-3 პოზიციაზე (...) – ... Model No:..., მე-4 პოზიციაზე (...) – model ... ამდენად, ყველა შეთავაზებულ პროდუქციას გააჩნია სატენდერო პირობით მოთხოვნილი მო-

დელი, შესაბამისად, საბჭოს მხრიდან პრეტენდენტის მიერ სადავო პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, მწარმოებელი, მოდელი“ მითითებული ინფორმაცია ვერ იქნება გაიგივებული მოდელთან. მოცემულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას სხდომის შესაბამის ოქმში არ აქვს დეტალურად განხილული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში მითითებული ინფორმაციის სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობა/შეუსაბამობა. შესაბამისად, საბჭოსთვის ბუნდოვანია თუ რის საფუძველზე დადგინდა აღნიშნულ დოკუმენტში, მათ შორის სადავოდ გამხდარ პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, მწარმოებელი, მოდელი“ წარმოდგენილი პროდუქციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ „... უნივერსიტეტის“ სატენდერო კომისიამ უნდა გააუქმოს 2019 წლის 21 მარტის სხდომის №2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება, დეტალურად იმსჯელოს თუ რამდენად შეესაბამება/არ შეესაბამება და რატომ პრეტენდენტის – შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში სადავოდ გამხდარ პოზიციებზე მოდელთან დაკავშირებით მითითებული ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მხოლოდ, აღნიშნულ საკითხზე დეტალური მსჯელობის შედეგად მიიღოს შესაბამისი არგუმენტირებული გადაწყვეტილება; თ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, სატენდერო კომისიამ განიხილა 2019 წლის 12 აპრილის სხდომაზე და დაადგინა: 1) შპს „...-ს“ მიერ წარმოდგენილი DIS...-01 საჩივრის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი, მე-3, მე-4 ნაწილების, ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 ნაწილის საფუძველზე, მისი ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებები; 2) „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მიმართვის წერილის მომზადება, ტენდერის სტატუსის შეცვლის თაობაზე, რათა შპს „ჯ...ის“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება განხორციელდეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით. სატენდერო კომისიის 2019 წლის 12 აპრილის №3 სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ ვინაიდან, შპს

„ჯ...ის“ მიერ შემოთავაზებული პროდუქტის მოდელთან დაკავშირებული ინფორმაცია გახდა სადავო, გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, დავების საბჭომ კი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინტერნეტ საძიებო სისტემის ფარგლებში მოიძია ინფორმაცია აღნიშნულ პროდუქციასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პრეტენდენტის მიერ სადავო პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, კომპანია და მოდელი“ მითითებული ინფორმაცია ვერ იქნა გაიგივებული მოდელთან, იმისთვის, რომ შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით განხორციელდეს შპს „ჯ...ის“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება, მიზანშეწონილია გაუქმებული იქნეს 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმი; ი) 2019 წლის 19 აპრილს, სატენდერო კომისიამ განიხილა სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ „...ის“ შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 6 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი SPA ...) ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებდა შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განხორციელდა შპს „ჯ...ის“ ტენდერიდან დისკვალიფიკაცია; კ) 2019 წლის 30 აპრილს შედგა სატენდერო კომისიის სხდომა, რომელზეც კომისიამ განიხილა სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ „...ის“ შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 6 მარტს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი SPA ...) შეწყვეტის საკითხი და დაადგინა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად, ელექტრონულ ტენდერს SPA ... უნდა მიენიჭოს სტატუსი „შენწყვეტილია“ და სატენდერო წინადადების 2.1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. 2019 წლის 30 აპრილის №5 სხდომის ოქმში სატენდერო კომისიამ მიუთითა, რომ შპს „...-ს“ DIS...-01 საჩივრის შედეგად, დავების საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების თანახმად, შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს, კერძოდ, შპს „ჯ...ის“ მიერ შემოთავაზებული პროდუქტის მოდელთან დაკავშირებული ინფორმაცია გახდა სადავო და გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, დავების საბჭოს გადაწყვეტილებით კი, პრეტენდენტის მიერ სადავო

პოზიციებზე გრაფაში – „მწ. ქვეყანა, კომპანია და მოდელი“ მითითებული ინფორმაცია ვერ იქნა გაიგივებული მოდელთან. სატენდერო კომისიამ იმსჯელა და გამოითქვა მოსაზრებები, კერძოდ, აღინიშნა, რომ რადგანაც მოცემულმა დავამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, მიმდინარე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს აქვთ ანალოგიური შემთხვევა და „ფასების ცხრილი“ – დანართი №1, მოდელის პოზიციაზე წარმოდგენილი აქვთ, კონფიგურაციით – ... და არა ..., შესაბამისად, პრეტენდენტები იმყოფებიან არათანაბარ კონკურენტულ გარემოში, მითუფრო, რომ ფასით ყველაზე დაბალ პრეტენდენტზე – შპს „ჯ...ზე“ 4 582 ლარით მაღალი ფასი აქვს დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტს – შპს „...-ს“, რომელიც ერთადერთი პრეტენდენტია მოცემულ ტენდერში, რომელსაც „ფასების ცხრილის“ მოდელი პოზიცია შემოთავაზებული აქვს კონფიგურაციით – ... რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან და არადისკრიმინაციულობის პრინციპებიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, გადაიხედოს, გადამუშავდეს „ტექნიკური დავალება“ აღნიშნული დავის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და ტენდერს მიენიჭოს სტატუსი – „შენწყვეტილია“; ლ) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №2153 განკარგულებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ ... უნივერსიტეტს ნება დაერთო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს ...-ის „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ...ის სახელმწიფო შესყიდვა; მ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №2153 განკარგულების საფუძველზე, სსიპ ... უნივერსიტეტსა და შპს „ჯ...ს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №..., რომლის მიხედვით, სსიპ ... უნივერსიტეტმა შპს „ჯ...ისგან“, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეიძინა ...ი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 38 553 ლარით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტისა და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლების არსებობა. ამასთან, საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილი სსიპ ... უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 სექტემბრის განჩინებით,

ხოლო შპს „...-ს“ საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილი, მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც დაკმაყოფილებულ იქნა შპს „...-ს“ სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს (1.1 მუხლი). კანონის მიზანია: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა; ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა; დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა; ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება (მე-2 მუხლი).

ზემოაღნიშნული კანონის სადავო პერიოდში მოქმედი მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერი არის 5 000 ლარის ან მეტი ღირებულების (გარდა ამ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ პროცედურებს. ამავე კანონის მე-11 მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. კანონის 16¹ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

საკასაციო პალატა მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესზე“, რომელიც შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონ-

ნის შესაბამისად და მისი მიზანია ელექტრონული ტენდერის ჩატარებასთან, ასევე მისი ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაცია და მონიტორინგი (1-ლი მუხლი). აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად, ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას უნდა იყოს დაცული შემდეგი პრინციპები: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა; ბ) შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენცია; გ) შესყიდვის მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორი მოპყრობა; დ) შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული მოთხოვნების დადგენა; ე) საჯაროობა და გამჭვირვალობა.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2019 წლის 6 მარტს, სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ იქნა №SPA... ელექტრონული ტენდერი. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა: შპს „...-მ“, შპს „აი...იმ“, შპს „ა...მა“, შპს „რ...მა“ და შპს „ჯ...მა“. სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმის თანახმად, №SPA... ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯ...ი“ და არანაკლებ 4 (ოთხი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი 23¹ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ელექტრონულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს უფლება აქვს, შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის გადანყვეტილება/ქმედება ამ მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საბჭოში.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სატენდერო პირობები არის სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ინფორმაცია შესყიდვის შესახებ, აგრეთვე შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის მიმართ სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი პირობების/მოთხოვნების ერთობლიობა; ამავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სატენდერო დოკუმენტაცია არის სატენდერო განცხადებას თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს კანონითა და ამ წესით განსაზღვრულ ინფორმაციას და არის სატენდერო პირობების ნაწილი; ხოლო „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ტექნიკური დოკუმენტაცია განიმარტება როგორც დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს სატენდერო პირობებით მოთხოვნილ ინფორმაციას პრეტენდენტისა და შესყიდვის ობიექტის შესახებ. ტექნიკურ დოკუმენტაციას პრეტენდენტი ტვირთავს სისტემის შესაბამის ველში.

ზემოაღნიშნული წესის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას საქმეზე დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების შესახებ, რომ შპს „...-მ“ საჩივრით მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მოითხოვა სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 მარტის №2 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ შპს „ჯ...ის“ მიერ წარდგენილი ფასების ცხრილი არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტის მოთხოვნებს და ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებული საქონლის მოდელი დაზუსტებას არ ექვემდებარება, სატენდერო კომისიას ნაცვლად იმისა, რომ პრეტენდენტი მოენვია ხელშეკრულებაზე, უნდა მოეხდინა მისი დისკვალიფიკაცია. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს მიერ 2019 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს „...-ს“ საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა. კომისიამ გადაწყვიტა, რომ სსიპ ... უნივერსიტეტის სატენდერო კომისიას უნდა გაეუქმებინა 2019 წლის 21 მარტის სხდომის №2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და შპს „ჯ...ის“ ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება განეხორციელებინა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

საკასაციო პალატა მიუთითებს „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, სატენდერო კომისია უფლებამოსილია, ხელშეკრულების დადებამდე შეწყვიტოს ელექტრონული ტენდერი, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ამ წესის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული წესის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით, აფასებს მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს (არსებობის შემთხვევაში) ან იღებს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მომდევნო პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ითვალისწინებს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში თუ ეს აუცილებელი გახდება სატენდერო კომისიისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე თუ ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის პირობებში მომდევნო პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

მოცემულ შემთხვევაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2019 წლის 19 აპრილს, სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ შპს „ჯ...ის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებდა შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განხორციელდა შპს „ჯ...ის“ ტენდერიდან დისკვალიფიკაცია. 2019 წლის 30 აპრილს შედგა სატენდერო კომისიის სხდომა, რომელზეც კომისიამ განიხილა სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ „...ის“ შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 6 მარტს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი SPA ...) შეწყვეტის საკითხი და დაადგინა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად, ელექტრონულ ტენდერს SPA... უნდა მიენიჭოს სტატუსი „შეწყვეტილია“ და სატენდერო წინადადების 2.1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. 2019 წლის 30 აპრილის №5 სხდომის ოქმში სატენდერო კომისიამ მიუთითა, რომ პრეტენდენტები იმყოფებიან არათანაბარ კონკურენტულ გარემოში, მითუფრო, რომ ფასით ყველაზე დაბალ პრეტენდენტზე – შპს „ჯ...ზე“ 4 582 ლარით მაღალი ფასი აქვს დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტს – შპს „...-ს“. ამასთან, რაციონალური ხარჯვისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებიდან გამომდინარე, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, გადაიხედოს, გადამუშავდეს „ტექნიკური დავალება“, აღნიშნული დავის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და ტენდერს მიენი-

ჭოს სტატუსი – „შენწყვეტილია“.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სატენდერო კომისიამ ისე მიიღო ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, რომ სახეზე არ ყოფილა ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა აუცილებელი გახდება სატენდერო კომისიისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საფუძველი არც ის გარემოება გამხდარა, რომ შპს „ჯ...ის“ დისკვალიფიკაციის შემდეგ მომდევნო პრეტენდენტ(ებ)ის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც არ დასტურდება ბაზარზე შეცვლილი გარემოებების არსებობა და ყველაზე მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტის – შპს „...“-ს მიერ შეთავაზებული თანხაც კი – 37 582 ლარი შესაბამისობაში იყო სატენდერო კომისიის მიერ მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №2153 განკარგულებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ ... უნივერსიტეტს ნება დაერთო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს ...-ის „...“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ...ის სახელმწიფო შესყიდვა. 2019 წლის 10 ოქტომბრის №2153 განკარგულების საფუძველზე სსიპ ... უნივერსიტეტსა და შპს „ჯ...ს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, სსიპ ... უნივერსიტეტმა შპს „ჯ...ისგან“, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეიძინა ...ი, ხოლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განსაზღვრული იყო 38 553 ლარით. ამდენად, დადგენილია და მოპასუხე (კასატორი) სადავოდ არ ხდის იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ტენდერის შეწყვეტის შემდგომ, სსიპ ... უნივერსიტეტმა გამარტივებული წარმოების პირობებში შეიძინა იგივე სახეობის ..., რომლის შესასყიდადაც იყო გამოცხადებული 2019 წლის 6 მარტის №SPA... ელექტრონული ტენდერი, ამასთან, შესყიდვა განხორციელდა ტენდერიდან დისკვალიფიცირებული შპს „ჯ...იდან“ და თანაც, შპს „...“-ს მიერ შეთავაზებულ ფასზე (37582.00 ლარზე) უფრო ძვირად (38 553.00 ლარად).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობდა ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის წინაპირობები, შესაბამისად, სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის

სხდომის №5 ოქმი კანონსაწინააღმდეგოა და მართებულია სააპელაციო პალატის დასკვნა აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების ნაწილში, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, კოდექსის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს ზიანის მიყენების ფაქტისა და მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადასტურება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე განმარტავს, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მისი სუფთა მოგება იქნებოდა 9795.36 ლარი. შესაბამისად, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სისპ ... უნივერსიტეტმა არ გამოავლინა იგი ტენდერში გამარჯვებულად და არც ხელშეკრულება გაუფორმა, მას მიადგა ზიანი ზემოაღნიშნული თანხის ოდენობით. ამდენად, მოსარჩელის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხა თავისი არსით წარმოადგენს მიუღებელ შემოსავალს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით განსაზღვრული მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ ქონებრივ ნამეტს, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. სავარაუდოა შემოსავალი, რომლის მიღებაც მოსალოდნელი იყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების ისეთი ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან

დაკავშირებით ეჭვის საფუძველს. მხედველობაშია მისაღები მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს აკისრია. ამასთან, მოსალოდნელი შემოსავალი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით. შემოსავლის მიუღებლობა დასტურდება იმგვარი მტკიცებულებებით, რომლებიც ქმნიან ქონებრივი ნამეტის მიღების მოსალოდნელობასთან დაკავშირებით ობიექტურ, რეალურ სურათს და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე (სუსგ 2019 წლის 16 მაისის საქმე №ბს-740-736(კ-17)).

საკასაციო პალატა მიუთითებს „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს: ა) სატენდერო კომისიის დასახელება; ბ) სხდომის დრო და ადგილი; გ) სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა (მათ შორის, დათქმა იმ წევრზე, რომელიც არ ესწრება სხდომას); დ) განხილვის საგანი; ე) სატენდერო კომისიის მსჯელობა; ვ) სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული ექსპერტებისა და კონსულტანტების მოსაზრება (არსებობის შემთხვევაში); ზ) ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომელსაც ეყრდნობა სატენდერო კომისია; თ) კენჭისყრის შედეგები; ი) მიღებული გადაწყვეტილება. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმს. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება მხოლოდ სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმის ხელმოწერის შემდეგ.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, თუ არ მოხდებოდა ტენდერისათვის სტატუსის – „შენწყვეტილია“ მინიჭება, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა შპს „...“ და მასთან დაიდებოდა ხელშეკრულება. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად სააპელაციო პალატამ მიიჩნია სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი, კერძოდ, კომისიის მითითება იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ ერთადერთი პრეტენდენტია მოცემულ ტენდერში, რომელსაც „ფასების ცხრილის“ მოდელის პოზიცია შემოთავაზებული აქვს კონფი-

გურაციით – ...

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას ტენდერში მონაწილე სხვა პრეტენდენტებისთვის არ მიუნიჭებია დისკვალიფიკაცია და აღნიშნულის შესახებ არ მიუღია გადაწყვეტილება, როგორც ეს გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმებით. კომისიის სხდომის ოქმში არსებული ზოგადი მითითება მხოლოდ შპს „...-ს“ მიერ მოდელის პოზიციაზე შემოთავაზებული კონფიგურაციის სისწორის შესახებ, სხვა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გარეშე, არ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ შპს „...“ იყო ერთადერთი დარჩენილი პრეტენდენტი და ის ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ შპს „ჯ...ის“ დისკვალიფიკაციის შემდეგ შპს „...“ არ იყო „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, ვინაიდან შპს „აი...ის“ (34 000 ლარი), შპს „ა...ს“ (35 900 ლარი) და შპს „რ...ს“ (35 750 ლარი) სატენდერო კომისიისათვის შეთავაზებული ჰქონდათ შპს „...-ზე“ (37 582 ლარი) დაბალი ფასები.

ამდენად, დადგენილია, რომ №SPA... ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა: შპს „...-მ“, შპს „აი...იმ“, შპს „ა...მა“, შპს „რ...მა“ და შპს „ჯ...მა“, რომელთაგანაც ყველაზე მცირე ფასი დაფიქსირებული ჰქონდა შპს „ჯ...ს“, ხოლო ყველაზე მაღალი – შპს „...-ს“. სატენდერო კომისიის მიერ განხორციელდა შპს „ჯ...ის“ ტენდერიდან დისკვალიფიკაცია, თუმცა საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც სატენდერო კომისიის მხრიდან სხვა პრეტენდენტთა შესახებ დისკვალიფიკაციის მიღების გადაწყვეტილებას დაადასტურებდა. აღნიშნული კი „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიის სხდომის ოქმით/გადაწყვეტილებით უნდა განხორციელებულიყო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 161 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის ან მის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, განიხილოს საუკეთესო ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის მე-5 პუნქტზე,

რომლის თანახმად, ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით, აფასებს მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს (არსებობის შემთხვევაში) ან იღებს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადანყვებილებას, თუ მომდევნო პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 29-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, გარდა ამ წესის მე-40 მუხლის მე-13 პუნქტითა და 41-ე მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, გამარჯვებულად ითვლება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი შეესაბამება სატენდერო პირობებს.

საკასაციო პალატის განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმები ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის პირობებში ითვალისწინებს მომდევნო ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის შეფასებას, რომელიც გამარჯვებულად გამოცხადდება მხოლოდ ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნისა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში. გარდა იმ გარემოებისა, რომ სატენდერო კომისიას არ მიუღია გადანყვებილება მშს „...-ზე“ დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესახებ, საქმის მასალებით არ დასტურდება სატენდერო კომისიის მხრიდან მოსარჩელის ტექნიკური დოკუმენტაციის სხვა კომპონენტების (გარდა „ფასების ცხრილის“ მოდელის პოზიციისა) შეფასება და აღნიშნულის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენა. მითითებული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნის უსაფუძვლობას იმის შესახებ, რომ ტენდერში გამარჯვებული იქნებოდა მშს „...“ და მასთან გაფორმდებოდა ხელშეკრულება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანი შესაბამისმა სახელმწიფო დაწესებულებამ უნდა აანაზღაუროს სრულად. ამასთან, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის უნდა დადასტურდეს ნორმატიულად განსაზღვრული შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა: სახელმწიფო ორგანოს

თანამშრომლის ქმედების უკანონობა; პირისთვის ზიანის მიყენება; მიზეზმდეგობრივი კავშირის არსებობა დამდგარ შედეგსა და სახელმწიფო ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, ასევე, სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეულობა. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას სატენდერო კომისიის 2019 წლის 30 აპრილის სხდომის №5 ოქმის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მოსარჩელის მიერ უტყუარად არ არის დადასტურებული, რომ ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის გარეშე მიიღებდა შემოსავალს, შესაბამისად, არ დასტურდება უკანონო აქტით ზიანის მიყენების ფაქტი. აღნიშნული კი, გამორიცხავს ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება სსიპ ... უნივერსიტეტისათვის შპს „...-ს“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 4500 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, დავის საგნის ფასი განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში შპს „...-ს“ მიერ სარჩელზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, ხოლო მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 392 ლარის ოდენობით, რო-

მელიც ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. რაც შეეხება სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ 300 ლარს, აღნიშნული თანხის ანაზღაურება უნდა დაეკისროს შპს „...-ს“ კასატორის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 410-ე, 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. სსიპ ... უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება სსიპ ... უნივერსიტეტისათვის შპს „...-ს“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 4500 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...-ს“ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება;

5. შპს „...-ს“ სსიპ ... უნივერსიტეტის სასარგებლოდ დაეკისროს, სსიპ ... უნივერსიტეტის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

მატერიალური ზიანის სახით სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის მომსახურების საფასური გადახდა

გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო

№ბს-726(2კ-24)

27 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: რეაბილიტირებული პირისთვის ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ჩ-ამ 19.06.2023წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის საქართველოს გენერალური პროკურატურის და მესამე პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 25 000 ლარის და მატერიალური ზიანის სახით 4800 აშშ დოლარის დაკისრება. მოსარჩელემ აგრეთვე მოითხოვა განსაზღვრულ ადმინისტრაციულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების ხარჯის 3000 ლარის ოდენობით მოპასუხისთვის დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ უკანონოდ და დაუსაბუთებლად წარედგინა ბრალი სსკ-ის 180.3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.11.2022წ. განაჩენით იგი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში. წარდგენილი ბრალდების გამო ის თავს გრძნობდა დამცირებულად, ამასთან თავისი ყოფილი მეუღლე ავრცელებდა ჭორებს იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ ჩადენილი თაღლითობის მსხვერპლი იყო. აღნიშნულის გამო ს. ჩ-ას მიადგა მორალური ზიანი. სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია აგრეთვე

სსკ-ის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ს. ჩ-ამ უდანაშაულობის დასამტკიცებლად გაიღო ხარჯი და თავისი უდანაშაულობა ადვოკატის დახმარებით დაამტკიცა. მოსარჩელემ აგრეთვე მიუთითა სკ-ის 1005-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებზე. ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე „კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ და „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“ მიიჩნია, რომ უფლების ხელმყოფ პირს ადვოკატის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურება ეკისრება ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სამართალწარმოებაში მონაწილე პირს ადვოკატის მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხა არ გადაუხდია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა ადვოკატის ხარჯს მონაწილემ მხარეს აკუთვნებს წერილობითი მტკიცებულების არარსებობისას იმ შემთხვევაშიც, თუ კასატორის საკასაციო პრეტენზია განუხილველი დარჩა დაუშვებლობის გამო (სუსგ 30.10.2015წ. საქმე №ას-444-423-2015). სამივე ინსტანციის სასამართლოში ერთი და იგივე ადვოკატის მონაწილეობა ადასტურებს საადვოკატო მომსახურების თაობაზე გარიგების დადებისა და არსებობის ფაქტს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.02.2024წ. გადაწყვეტილებით ს. ჩ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას ს. ჩ-ას სასარგებლოდ დაეკისრა არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას ს. ჩ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 02.11.2022წ. განაჩენით ს. ჩ-ა ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (განაჩენი უცვლელი დარჩა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ), შესაბამისად, მოსარჩელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განხორციელდა უკანონოდ. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ასევე გულისხმობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მორალური ზიანი არაქონებრივ ზიანს წარმოადგენს და მას ქონებრივი ექვივალენტი არ გა-

აჩნია. იგი დაკავშირებულია პირის პატივისა და ღირსების შელახვასთან, განცდილ სტრესთან, შიშთან, უარყოფით ემოციებთან და ა.შ.. მორალური ზიანის ანაზღაურება ვერ უზრუნველყოფს პირისათვის მიყენებული ფსიქო-ემოციური ზიანის სრულად აღმოფხვრას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, მაგრამ მის მიზანს განცდილი სტრესით, შიშით, უარყოფითი ემოციებით მიღებული მდგომარეობის შემსუბუქება წარმოადგენს და მის ოდენობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რიგი ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრავს სასამართლო. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში მოსარჩელის მიერ განცდილი სტრესის, შიშის და უარყოფითი ემოციების ხარისხის გათვალისწინებით მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნილი 25 000 ლარი არ წარმოადგენს ადეკვატურ ოდენობას, რის გამოც ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 1 500 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში დაცული იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებების თანახმად ადვოკატის ჰონორარი სისხლის სამართლის საქმეზე ჯამში შეადგენს 4 800 აშშ დოლარს. ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯი შეიძლება ანაზღაურდეს იმ პირობებშიც, როდესაც არ არის წარმოდგენილი ხარჯის განწევის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია თავად განსაზღვროს გაწეული ხარჯის ოდენობა გონივრულ ფარგლებში. უკანონო ბრალდების გამო მოსარჩელეს საადვოკატო მომსახურებისთვის თანხის გაღების აუცილებლობა წარმოეშვა, შესაბამისად, არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ფულად ზარალსა და მოპასუხის ქმედებას შორის. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელისთვის მატერიალური ზიანის (საადვოკატო ჰონორარის ნაწილში) ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის დახმარებისთვის გადახდილი თანხის 3000 ლარის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლომ აღნიშნა, დასახელებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში წარმოდგენილი არ არის, თუმცა მოსარჩელის ინტერესებს სასამართლოში საქმის წარმოებისას იცავდა ადვოკატი, რომლის მომსახურებაც როგორც წესი სასყიდლიანია. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ადვოკატის მომსახურების ღირებულება უნდა აუნაზღაურდეს გონივრული ოდენობით და იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი ნაწილობ-

რივ დაკმაყოფილდა. წარმომადგენლის დახმარებისთვის განუული ხარჯის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დავის საგანი (საქმის კატეგორია), საქმის სირთულე, განხილვის ხანგრძლივობა და ა.შ.. საქალაქო სასამართლომ გონივრულად მიიჩნია მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურებისთვის განუული ხარჯის 300 ლარის ოდენობით დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.02.2024წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ს. ჩ-ას და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ.

აპელანტის (მოსარჩელის) ს. ჩ-ას წარმომადგენელმა გ. გ-ემ 16.04.2024წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის აცილების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.2024წ. განჩინებით ს. ჩ-ას წარმომადგენლის გ. გ-ის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსამართლის ობიექტურობასთან დაკავშირებით მხარის პრეტენზია, რომელიც არ არის გამყარებული ფაქტით/მტკიცებულებით, მხოლოდ სუბიექტური შეფასებაა, რაც ვერ გახდება მოსამართლის საქმის განხილვისაგან აცილების ლეგიტიმური საფუძველი. მხარის ზოგადი მითითება, რომ მოსამართლე მიკერძოებულია, მისი ოჯახის წევრი იყო პროკურორი და დღემდე მუშაობს საჯარო სამსახურში, რის გამოც მოსამართლე სიმპათიით არის განწყობილი პროკურატურის მიმართ, საფუძველს მოკლებულია. მოსამართლის ოჯახის წევრის პროკურატურაში ან სხვა საჯარო სამსახურში საქმიანობა არ წარმოადგენს საქმის განხილვისაგან მოსამართლის აცილების უპირობო საფუძველს. სხვა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილება, რომელსაც არანაირი შემხებლობა არ აქვს განსახილველ დავასთან, ასევე არ შეიძლება გახდეს მოსამართლის აცილების საფუძველი. აცილების საფუძველები ამომწურავად არის ჩამოთვლილი საპროცესო კანონმდებლობაში, რომელიც არ მოიცავს შუამდგომლობის ავტორის მიერ დასახელებულ გარემოებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.2024წ. გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ს. ჩ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.02.2024წ. გადაწყვეტილება საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი) და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს გენერალურ პროკურატუ-

რას ს. ჩ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.02.2024წ. გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო პალატამ მიუთითა სკ-ის 1005.3 მუხლზე და აღნიშნა, რომ პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობისას მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. მართალია, პროკურატურა, როგორც საგამოძიებო ორგანო, წინასწარ ვერ განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი საქმის შედეგს, თუმცა ინდივიდს, რომლის მიმართაც დადგა გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა დარღვეული უფლება აღიდგინოს სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისთვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობას წყვეტს სასამართლო. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით სასამართლოს მიერ განსაზღვრული მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობა – 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით ადეკვატურია და შეესაბამება მოსარჩელის მიერ განცდილი მორალური ზიანის სიმძაფრეს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის (მატერიალური ზიანის სახით) მოპასუხეზე დაკისრებული ოდენობა არ არის მოსარჩელისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციული და არ ექვევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში. მატერიალური ზიანის სახით საქართველოს გენერალურ პროკურატურას ს. ჩ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2000 (ორი ათასი) ლარის გადახდა. წინამდებარე დავაზე საადვოკატო მომსახურების სახით გაწეულ ხარჯთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავის სირთულისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ნაწილის – 300 (სამასი) ლარის ოდენობით განსაზღვრა წარმოადგენს გონივრულ ოდენობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 29.04.2024წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გენერალური პროკურატურის და ს. ჩ-ას მიერ. კასატორმა ს. ჩ-ამ აგრეთვე მოითხოვა აცილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.04.2024წ. განჩინების გაუქმება.

კასატორმა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნა, რომ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ეფუძნებოდა კანონს და კანონის საფუძველზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტებს, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ქმედებით ზიანის მიყენებად. სკ-ის 1005.3 მუხლის დანაწესი ცხადყოფს, რომ პირს ზიანი უნდა მიადგეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით, ასევე უნდა არსებობდეს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას პროკურატურა წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს კომპეტენციაშია. თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას ამ უკანასკნელის მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები, გატარდება კანონშესაბამისი ღონისძიებები, საბოლოოდ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მარეაბილიტირებელი საფუძვლით დამთავრების შემთხვევაშიც სახეზე არ არის პროკურატურის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერი საფუძველი. პირისთვის ბრალდების წაყენებისა თუ სხვა იძულების ღონისძიების გამოყენებისას „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტზე დაყრდნობით შესრულებული მოქმედებები ვერ გადაიქცევა უკანონოდ შემდეგში სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ მოსარჩელე დაკავებული არ ყოფილა. ის გამართლდა პირველივე ინსტანციის სასამართლოში და მის მიმართ თავისუფლების შეზღუდვას ან სხვა სასჯელის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია. მორალური ზიანის საკითხის განხილვისას სასამართლოს, გარდა მოსარჩელის განმარტებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა, მხედველობაში უნდა მიეღო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით დადგენილი პრაქტიკა, ასევე საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ანალოგიურ საქმეებზე. კასატორმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე და აღნიშნა, რომ პროკურა-

ტურისტების მორალური ზიანის სახით 1500 ლარის დაკისრება არ გამომდინარეობს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტიკური შემთხვევებიდან.

კასატორმა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნა, რომ მხარის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის გაღებული ხარჯის უპირობოდ სრულად ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. მატერიალური ზიანის სახით ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში მხარეს აუნაზღაურდება არა ნებისმიერი ხარჯი, არამედ აუცილებლად გასანევი ხარჯი სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და სხვა მტკიცებულებების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე არ ექვემდებარებოდა სავალდებულო დაცვას და სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატის მონაწილეობა არ იყო აუცილებელი, შესაბამისად, ამ უფლების რეალიზება არ შეიძლება ჩაითვალოს პროკურატურის მიერ მოსარჩელისთვის ზიანის მიყენებად და არ წარმოადგენს დაქირავებული ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საფუძველს. უსაფუძვლოდ განხორციელდა ასევე მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციულ საქმეზე ადვოკატისთვის გადახდილი თანხის მოპასუხისთვის დაკისრება, ვინაიდან ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე (სუსგ საქმე №ბს-776-768((2კ-4კს-15)).

კასატორმა ს. ჩ-მ აღნიშნა, რომ უკანონო ბრალდების გამო სისხლის სამართლის საქმეზე საერთო სასამართლოებში საქმის განხილვა მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში. საქმეში წარმოდგენილია საადვოკატო მომსახურების განევის დამადასტურებელი ქვითრები. კასატორმა მიუთითა მოპასუხეზე დაკისრებული 2000 ლარის არასაკმარისობაზე და ადვოკატის მიერ ანაზღაურების მიღების უფლებაზე, ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სრულად უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ ადვოკატისთვის გადახდილი თანხის ოდენობა. კასატორის მითითებით მოსამართლესა და მხარეებს შორის მოქმედებს პრინციპი „მომეცი ფაქტები და მოგცემ სამართალს“. აღნიშნული პრინციპის თანახმად, მოსამართლემ უნდა იცოდეს სამართალი, უნდა განმარტოს და გამოიყენოს იგი. საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება (სუსგ 30.06.2009წ. საქმე №ბს-1635-1589(კ-08)). მოსარჩელე არ არის ვალდებული იურიდიულად დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა, რამეთუ სასამართლო არაა შებოჭილი მოსარჩელის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველით და სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოსარჩელი-

სეული იურიდიული კვალიფიკაციით, სასამართლო თავად აძლევს კვალიფიკაციას სადავო სამართლებრივ ურთიერთობას (სუსგ 14.03.2005წ. საქმე №ას-973-1208-04).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) და საკასაციო საჩივრების საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ს. ჩ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი სარჩელი ეფუძნება მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტს, რაც გამომწვეულია მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობით (სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანით). საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლის თანახმად ყველასთვის არის გარანტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება. აღნიშნული კონსტიტუციური დებულების შესაბამისად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით პირს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სზაკ-ის 208.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთანავე, სზაკ-ის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს რეაბილიტირებული პირისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის შედეგად მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებას. მოცემულ შემთხვევაში პროკურატურისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივ საფუძველს მითითებული ნორმა ქმნის, რომლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ზიანი ანაზღაურდება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძვლად განიხილება ქმედების უკანონობა და პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. სისხლის სამართლებრივი დევნა იწყება პირის ბრალდებულად ცნობისთანავე (სსსკ-ის 167.1 მუხ.). საქმის მასალებში და-

ცული პირის ბრალდების შესახებ პროკურორის 03.08.2021წ. დადგენილებით ს. ჩ-ა ცნობილი იქნა ბრალდებულად, შესაბამისად მითითებული დადგენილების მიღებით მოსარჩელე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა. კანონმდებლობა არ შეიცავს მარეაბილიტირებელი გარემოების ჩამონათვალს, თუმცა უდავოა, რომ ასეთ გარემოებას განეკუთვნება გამამართლებელი განაჩენის არსებობა, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 02.11.2022წ. განაჩენით, ს. ჩ-ა სისხლის სამართლის კოდექსის 180.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა, ასევე მას განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ანალოგიურ განმარტებას შეიცავს აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 10.02.2023წ. განაჩენი. სსკ-ის 270.1 მუხლის თანახმად, გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტებლობას. ს. ჩ-ას დამნაშავედ ცნობის შესახებ არ უდევს უტყუარ მტკიცებულებათა საკმარისი ბაზა, ბრალდებულის ქმედებაში არ არსებობდა მოცუებისა და დაზარალებულის კუთვნილი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა და არა სისხლის სამართლის დანაშაული, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საკმარისობისა და უტყუარობის კრიტერიუმის დაუძლეველობის გათვალისწინებით გამოირიცხა ს. ჩ-ასთვის ბრალად წარდგენილი ქმედების დადასტურება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 10.02.2023წ. განაჩენით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.11.2022წ. განაჩენი დარჩა უცვლელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 14.06.2023წ. განჩინებით, პროკურორის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.02.2023წ. განაჩენის გაუქმების თაობაზე არ იქნა დაშვებული განსახილველად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალური ასევე მორალური ზიანი, რადგან პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემას, უკანონო ბრალდებას, როგორც წესი, თან სდევს პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა. არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვ., თუმცა ანაზღაურებას ექვემდებარება არა

ყველა სახის მორალური ზიანი, არამედ მხოლოდ ის, რომლის ანაზღაურებაც მოქმედი კანონმდებლობით (სკ-ის 413-ე მუხ.) არის გათვალისწინებული (სუსგ 04.06.2015წ.№ბს-485-474(2კ-14)).

განსახილველ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა (უკანონო ბრალდება), გამამართლებელი განაჩენი განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას. სკ-ის 1005.3 მუხლი მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას, კერძოდ, გამართლებული პირისთვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას (სუსგ №ბს-485-474(2კ-14), 04.06.2015წ.). მორალური ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად კასატორის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ პროკურატურის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები ეფუძნებოდა კანონს და ამიტომ კასატორის მოსაზრებით გამოირიცხავს პროკურატურის მიერ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას – არის დაუსაბუთებელი და არ ქმნის საკასაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. სსსკ-ის 9.1 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა, რომელიც ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას (32-ე მუხ.). გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება (37.3 მუხ.), თავის მხრივ გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად (37.2 მუხ.). მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს აწევს, რომელიც ვალდებულია წარადგინოს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისთვის საკმარისი მტკიცებულებები („Barbera, Messegue and Jabardo v. Spain“, §77; „Janosevic v. Sweden“, §97), ამასთან მსჯავრდების დასასაბუთებლად უფრო მეტი მტკიცებულებებია საჭირო, ვიდრე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ეტაპზე დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის – „საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობის დასამტკიცებლად. სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა (25.2 მუხ.). შეჯიბრებითობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მხარეებისთვის შექმნას შესაძლებლობა, წარმოადგინონ სისხლის სამართლის საქმის მოვლენათა განვითარება.

რების საკუთარი ვერსია, აღნიშნული ვერსიის ხელშემწყობი არგუმენტები და მტკიცებულებები, ასევე გამოთქვან მოსაზრებები, გაეცნონ მონინალმდევე მხარის მტკიცებულებებს, გამოხატონ პოზიციები აღნიშნულ მტკიცებულებებზე ან/და საქმესთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებზე, გააქარწყლონ მონინალმდევე მხარის ყველა მტკიცებულება და არგუმენტი, რომელზეც სასამართლომ შეიძლება დააფუძნოს თავისი მოსაზრება, აგრეთვე დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში და გავლენა მოახდინონ დასაბუთებული, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.12.2018წ. №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „რ. მიქელაძე და გ. ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-75). სასამართლოა ის ორგანო, რომელიც როგორც ნეიტრალური არბიტრი, ორგანიზებას უწევს, ზედამხედველობს, აკვირდება და აკონტროლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვას, მათ შორის, მტკიცებულებების გამოკვლევას, რათა უზრუნველყოს სამართლიანი, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს დაფუძნებული პროცესი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 28.12.2021წ. გადაწყვეტილება საქმეზე №3/2/1478, II-37). შეჯიბრებითი მოდელის მქონე სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში სამართალწარმოების მხარეებისა და გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტების როლები გამიჯნულია, მოსამართლის როლი შემოიფარგლება ნეიტრალური არბიტრის ფუნქციით, ხოლო ბრალდების დამატყუარებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის ინიციატივა მხარეებზეა მინდობილი, რამდენადაც მიიჩნევა, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29.09.2015წ. გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/608, 609 II-15). ამდენად, სისხლის სამართლოწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის მიერ გამოყენებული მტკიცებულების ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალდების მხარეს, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე – პროკურატურა არ მიუთითებს იმ ფაქტებიანი საპროცესო მექანიზმების არსებობაზე, რომელთა სასამართლოს მხრიდან გამოუყენებლობას მოსარჩელის უფლებების დარღვევის გამოწვევა შეეძლო. აღნიშნულის საპირისპიროდ, მხოლოდ პროკურატურის კომპეტენციას წარმოადგენდა დანაშაულის გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება (სუსგ 20.07.2022წ. საქმე №ბს-628(2კ-20)). ამდე-

ნად, კასატორის (მოპასუხის) მითითება პროკურატურის მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არარსებობის შესახებ არ არის დასაბუთებული, შესაბამისად არ არსებობს საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 5.5 მუხლზე. კონვენციის აღნიშნული მუხლი ადგენს კომპენსაციის მიღების უფლებას უკანონო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში. განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული მასალებით მოსარჩელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებული არ ყოფილა. პროკურორის დადგენილებით მოსარჩელე ს. ჩ-ა ბრალდებულად იქნა ცნობილი 30.08.2021წ.. იმავე დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის განჩინებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო, რომლის შეტანის ვადად განისაზღვრა 30 დღე. გირაოს უზრუნველყოფის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.09.2021წ. №12/17489 განჩინებით ყადაღა დაედო გ. ნ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთს (საკადასტრო კოდი ...), რომელიც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 02.11.2022წ. გამამართლებელი განაჩენით, ამდენად, არ დასტურდება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების ფაქტი და კონვენციის მითითებული მუხლის საფუძველზე კომპენსაციის მიღების უფლება. მოსარჩელე აგრეთვე მიუთითებს თავისი ყოფილი მეუღლის მიერ ჭორების გავრცელების გამო მიყენებულ მორალურ ზიანზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პირის პირად არაქონებრივ უფლებებს. მითითებული ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. მითითებული ნორმის ფარგლებში სამართალურთიერთობის შეფასებისას შემოწმებას შესაძლოა დაექვემდებაროს სადავო გამონათქვამის ან პირის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შინაარსი, გამოთქმის ფორმა, კონტექსტი და ა.შ., თუმცა განსახილველ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ უკანონო ბრალდების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, დავის საგანს არ შეადგენს სიმართლესთან შეუსაბამო ინფორმაციის გავრცელების გამო მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების დადგენა, ამასთან მოსარჩელის ყოფილი მეუღლის მიერ მცდარი ან სიმართლესთან შეუსაბამო ცნობების

გავრცელება, რამაც მოსარჩელისთვის მორალური ზიანის მიყენება გამოიწვია, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ექცევა და ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების წესით შეფასებას ან/და გადანყვეტას არ ექვემდებარება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მხოლოდ პირის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის ფაქტის დადგენით ვერ კომპენსირდება უკანონო ბრალდებით მიყენებული მორალური ზიანი, შესაბამისად, არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი (სუსგ 26.09.2023წ. საქმე №ბს-495(კ-23), 28.09.2023წ. საქმე №ბს-612(კ-23), 21.03.2024წ. №ბს-1272(კ-23)). სკ-ის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს დაზარალებულის განცდების სიღრმის, ინტენსივობის და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას, შესაბამისად, კასატორის (მოპასუხის) მითითება სხვა საქმეებზე უსაფუძვლოა, ვინაიდან მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ინდივიდუალური საქმის ობიექტურ გარემოებებს. მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხისთვის ასანაზღაურებლად დაცხადებული არაქონებრივი ზიანის ოდენობა პასუხობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფუნქციებს, პასუხობს ინდივიდუალური (ზემოქმედება ზიანის მიმყენებელზე) და ზოგადი (უფლების ხელყოფისაგან თავის შეკავება სხვა პირის მიერ) პრევენციის მიზნებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანიტ გამონვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამონვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქტურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 08.04.2009წ.). ს. ჩ-ას ბრალი დაედო განზრახი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენაში, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად არასაპატიმრო სასჯელთან ერთად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით. ბრალდების სიმძიმის გათვალისწინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.08.2021წ. განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა გირაოს გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ გაზიარებული იქნა. საკასაციო პა-

ლატა მიუთითებს, რომ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და სისხლის სამართლებრივი დევნა დაკავშირებულია ნეგატიურ განცდებთან და პირს დისკომფორტს უქმნის, თუმცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მყოფი პირი, გონივრულ ფარგლებში, ვალდებულია ითმინოს ამ პროცესის ნეგატიური შედეგები. ზიანის ოდენობის შეფასება განსაკუთრებით რთულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც დავის საგანი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური სახის პირად ტანჯვას შეეხება, ფიზიკური დისკომფორტის თუ ფსიქოლოგიური ტანჯვის ფულის თვალსაზრისით შეფასების სტანდარტი არ არსებობს („Firstov v. Russia“, §35, 20.02.2014წ.). განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე არსებობს მოპასუხის მიერ იმ მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამოწვეულია მარეაბილიტირებელი გარემოებით – მოსარჩელის მიმართ საბოლოოდ გამამართლებელი განაჩენის მიღებით, ამასთანავე, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის (მოსარჩელეს შეეფარდა გირაო, რომლის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო უძრავ ნივთს), სისხლის სამართლის საქმის საერთო ხანგრძლივობის (მოსარჩელე ბრალდებულად იქნა ცნობილი 30.08.2021წ., პირველი ინსტანციის მიერ გამამართლებელი განაჩენი მიღებული იქნა 02.11.2022წ., საქმე დასრულდა 14.06.2023წ. საკასაციო სასამართლოს განჩინებით), პირველივე ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელის უდანაშაულოდ ცნობისა და საბოლოოდ გამამართლებელი განაჩენის ძალაში დატოვების გათვალისწინებით, კასატორები ვერ ასაბუთებენ იმ გარემოებას, რომ მორალური ზიანის სახით მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ოდენობა დარღვეული უფლების არაპროპორციულია.

ს. ჩ-ამ სარჩელით აგრეთვე მოითხოვა მატერიალური ზიანის სახით სისხლის სამართლის საქმეზე და განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეზე განეული ადვოკატის მომსახურების საფასურის მოპასუხეზე დაკისრება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. ჩ-ას და ადვოკატს გ. გ-ეს შორის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იურიდიული მომსახურების განევის მიზნით დაიდო 30.08.2021წ. ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა იურიდიული მომსახურების საფასურის 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდა და 08.02.2023წ. ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის ვალდებულებას იურიდიული მომსახურების საფასურის (ჰონორარის) სახით 2300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ადვოკატისთვის გადახდის თაობაზე. ამდენად, სისხლის სამართლის განეული იურიდიული მომსახურების ღირებულება 4800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში განისაზღვრა. ადმინისტრაციულ საქმეზე იურიდიული მომსახურების განევისთან და-

კავშირებით ს. ჩ-ასა და ადვოკატ გ. გ-ეს შორის 20.06.2023წ. დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ადვოკატის იურიდიული მომსახურების ანაზღაურებას (პონორარს) 3 000 ლარის ოდენობით განსაზღვრავს. სს „...ბანკის“ ამონაწერების თანახმად, ანგარიშის მფლობელის გ. გ-ის ანგარიშზე ს. ჩ-ას მიერ 04.10.2021წ. ჩარიცხულია 1 000 აშშ დოლარი, 18.09.202წ. – 900 აშშ დოლარი, 25.09.2021წ. – 100 აშშ დოლარი, 05.09.2021წ. – 500 აშშ დოლარი, 04.02.2023წ. – 300 აშშ დოლარი, 09.02.2023წ. გ. გ-ის მიერ თავისივე ანგარიშზე ს. ჩ-ას საადვოკატო მომსახურების დანიშნულებით ჩაირიცხა 2 000 აშშ დოლარი. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში შეფასებას საჭიროებს, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე გაწეული ადვოკატის მომსახურების საფასურის ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხეზე დაკისრების საფუძველების არსებობა, ასევე განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეზე გაწეული იურიდიული მომსახურების საფასურის ანაზღაურების საფუძველიანობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 37.3 მუხლიდან გამომდინარე მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსკ-ის 37.3 მუხ.). იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით (სსკ-ის 47.2 მუხ.). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამასთანავე, მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს გაწეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარემ პროცესის მეორე მხარისთვის სასამართლო ხარჯების მის სასარგებლოდ დაკისრების მოთხოვნის შესახებ უნდა მიუთითოს ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მას პრეტენზია პროცესების ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნია. ამასთან, მხარეებს არ ეზღუდებათ უფლება პროცესის ხარჯების მოთხოვნის საკითხი დასვან საქმის მომზადების დასრულების შემდგომ ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუ-

კი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა (სუსგ 14.07.2016წ., საქმე №ბს-776-768(2კ-4კს-15)). განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ საქმეზე განეული მომსახურების ხარჯის ანაზღაურება მოსარჩელემ მოითხოვა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში განეული საადვოკატო მომსახურებისთვის, ამ ნაწილში (ე.ი. პირველ ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებული მომსახურების თანხის ოდენობის ნაწილში) მის მიერ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები გასაჩივრდა სრულად. ადმინისტრაციულ საქმეზე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე იქნა განხილული. მოსარჩელეს არ მოუთხოვია საქმის განხილვის სააპელაციო ან/და საკასაციო ეტაპზე განეული ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, შესაბამისად საკასაციო პალატა მსჯელობას იქონიებს მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში განეული იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურების მართებულებაზე, ვინაიდან სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია. საქმის მასალებში დაცული 22.03.2023წ. მინდობილობით ს. ჩ-ამ გ. გ-ეს მიანიჭა სასამართლოში თავისი ინტერესების წარდგენისა და დაცვის უფლებამოსილება. 20.06.2023წ. ს. ჩ-ასა და ადვოკატ გ. გ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება ადმინისტრაციულ საქმეზე იურიდიული მომსახურების განევის მიზნით. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების საფასურზე 3 000 ლარზე (მე-4 მუხ.) და მისი გადახდის წესზე (მე-7 მუხ.), კერძოდ, თანხის სრულად დაფარვა უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 6 თვეში ან მანამდე ნებისმიერ დროს (თუნდაც ნაწილ-ნაწილ), ასევე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას ნაღდი ანგარიშსწორებით მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში, მომსახურების საფასურის თანხა ადვოკატის მიერ გადარიცხული იქნება თავის ანგარიშზე. საქმის მასალებში დაცულია სს „... ბანკის“ მიერ გაცემული საგადახდო დოკუმენტი, რომლითაც გ. გ-ემ თავის ანგარიშზე ჩარიცხა 2 000 აშშ დოლარი. მართალია, საგადახდო დოკუმენტის დანიშნულების გრაფაში მითითებულია ს. ჩ-ას საადვოკატო მომსახურება, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ ადასტურებს ნაღდი ანგარიშსწორებით იურიდიული მომსახურების საფასურის გადახდას. მსგავსი არაპირდაპირი სახის მტკიცებულების წარმოდგენის შემთხვევაში გადახდის ფაქტის დადასტურების მტკიცების ტვირთი ანევეს იმ პირს, რომელიც ამგვარი ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვს. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15.04.2006წ.) თანახმად, ადვოკატმა

უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (8.12 მუხ.). აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკის მიერ გაცემულ საგადახდო დოკუმენტში მითითებული თანხა საგრძნობლად აღემატება მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ოდენობას. როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად საადვოკატო მომსახურების ხარჯის განევის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობისა, აღნიშნული გარემოება არ ქმნიდა ადმინისტრაციულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებაზე სრულად უარის თქმის საფუძველს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლო ხარჯების ანაზღაურების საკითხის გადასაწვეტად გამოყოფს რამდენიმე პრინციპს, კერძოდ, ხარჯები უნდა იყოს ფაქტობრივად გაწეული, უნდა იყოს აუცილებელი უფლების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, უნდა იყოს გონივრული და დადასტურებული მტკიცებულებებით. ადვოკატის ჰონორარის ანაზღაურების მოთხოვნისას განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს, რომ ჰონორარი გადახდილია ან ევალემა მისი გადახდა. უკეთუ მხარეს ხელშეკრულებით აკისრია ადვოკატის მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება, ამგვარი ხარჯის განევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაშიც, აღნიშნული ხარჯი მიიჩნევა „ფაქტობრივად გაწეულ“ ხარჯად („Tebieti Mühafize Cemiyetind Israfilov v. Azerbaijan“, §106, 08.10.2009; Savin v. Ukraine, §57, 16.02.2012; „Belousov v. Ukraine“, §115, 07.11.2013; „Drozyk and Mikula v. Ukraine“, §67, 24.10.2024). ამდენად, გადახდის ქვითრის, საგადახდო დავალების შესრულების დოკუმენტის წარმოდგენლობა არ გამორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (სუსგ 09.02.2012წ., №ბს-1330-1315(კ-11); 30.10.15წ. №ას-444-423-2015; 25.03.2016წ. №ას-12-12-2016წ., 17.01.2019წ. №ბს-809-805(3კ-17); 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17)). საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება ადმინისტრაციულ საქმეზე მოსარჩელისათვის ადვოკატ გ. გ-ის მიერ იურიდიული მომსახურების განევა, მიმდინარე დავის ფარგლებში ადვოკატი მოსარჩელის წარმომადგენლობას ახორციელებს სამივე ინსტანციის სასამართლოში, რის გამოც შეფასებას ექვემდებარება ადვოკატისთვის არა უკვე გაწეული ხარჯის ანაზღაურების საკითხი, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება, არამედ საქმის მასალებით დადასტურებული ადვოკატის მიერ მოსარჩელისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების მოპასუხისთვის დაკისრების საფუძვლების არსებობა. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პროცენტული ცენზი და თანხა წარმოადგენს იმ მაქსიმალურ საკანონმდებლო ზღვარს, რომელიც ნაგებულ მხარეს შესაძლოა დაეკისროს მოგებული მხარის სასარგებლოდ, ამასთან

ნავე სასამართლომ ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის სირთულე, უფლების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ინსტანციურობა და სხვ.. სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. სასამართლოს მიერ ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ზღვარის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (სუს 11.02.08წ. №ას-792-1114-07 განჩინება). მითითებული საკანონმდებლო დანაწესისა და საქმეზე არსებული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება ადმინისტრაციული დავის ფარგლებში გაწეული ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანია, მითითებულ ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, ხოლო ს. ჩ-ას საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე პრეტენზიას საერთოდ არ შეიცავს. საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში და საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან გამომდინარე (სსკ-ის 404-ე მუხ.). გასაჩივრების საფუძველები უნდა იყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კონკრეტული მოტივების გამაქარწყლებელი. იგი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ზოგადი მითითებებით გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ნაწილში ს. ჩ-ას საკასაციო საჩივარი არ შეიცავს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველების კონკრეტულ კრიტიკას, კონკრეტულ უსწორობებზე მითითებას. აღნიშნულ ნაწილში ს. ჩ-ას საკასაციო საჩივრის დაუსაბუთებლობის გამო საკასაციო პალატა მოკლებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების კონკრეტული საფუძველების შემოწმებისა და ს. ჩ-ას საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას შეადგენს მატერიალური ზიანის სახით სისხლის სამართლის საქმეზე გაწეული ადვოკატის მომსახურების საფასურის მოპასუხეზე დაკისრება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლოწარმოების ფარგლებში, შეთანხმებით დაცვის შემთხვევაში, გამართლებულის მიერ ადვოკატისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს ადმინის-

ტრაციული სასამართლოწარმოების წესით (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარში მოყვანილი ის მოსაზრება, რომ მოსარჩელე არ ექვემდებარება სავალდებულო დაცვას – თავისთავად არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატის მიერ განეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას. საქართველოს კონსტიტუციის 31.3 მუხლის თანახმად გარანტირებულია დაცვის უფლება, ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი აგრეთვე უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას ეფექტური მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში როგორც პირადად, ასევე დამცველის მეშვეობით (6.3 მუხ. „ც“ ქვ.პ.). დაცვის უფლება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ბრალდებულის შესაძლებლობას იყოლიოს დამცველი, რომელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩევს. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც იღებს ჰონორარს განეული იურიდიული მომსახურების საფუძველზე. ადვოკატი მარწმუნებლისთვის არის სამართლებრივი რჩევის მიმცემი პირი, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობისას თუ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების დროს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კლიენტის იურიდიულ ბედს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 04.11.2022წ. გადაწყვეტილება №1/6/1424,1490 საქმეზე „ლ. ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 17, 19). ბრალდებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა ჯეროვნად და ეფექტიანად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისაგან, ეფექტიანად დაცვის განხორციელებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბრალდებულსა და ადვოკატს შორის არსებული ნდობის ფაქტორის არსებობა. ყველა პირს აქვს უფლება მოითხოვოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება თავისი უფლებების სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე დაცვისათვის, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა პირისათვის საადვოკატო მომსახურების ეფექტიანი და თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი სოციალური კუთვნილებისა და ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად („გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“, 1990), ამასთან, დაცვა არის სისხლის სამართლებრივი დევნის საწინააღმდეგო ფუნქცია, სწორედ ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის პრინციპის (9.1 მუხ.) სრულ რეალიზებას და ბრალდებულის ინტერესების არსებით დაცვას. როგორც წესი, სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებული თავად იღებს გადაწყვეტილებას წარდგენილი ბრალდებისაგან პირადად ან ადვოკატის მეშვეობით დაცვის თაობაზე. ბრალ-

დებულს აქვს ადვოკატის მომსახურებაზე უარის თქმისა და დამოუკიდებლად თავის დაცვის უფლება, მაგრამ მას არ შეუძლია უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუ არსებობს კანონით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა (სსსკ-ის 38.6 მუხ.). ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება (სსსკ-ის 38.5 მუხ.), ამასთან პირის ბრალდების შესახებ 30.08.2021წ. დადგენილებით ბრალდებულს განემარტა, რომ მას აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის უფლება. კონვენციის 6.3 მუხლის „ც“ ქვეპუნქტით გარანტირებული უფლება (დაცვა პირადად ან არჩეული დამცველის მეშვეობით) დაცული უნდა იყოს სასამართლოს განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში („*Imbrioscia v. Switzerland*“, §37; „*Pakelli v. Germany*“, §29). დაუშვებელია ბრალდებულის იძულება პირადად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისაგან, შესაბამისად, კასატორის (მოპასუხის) მითითება ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საფუძვლების არარსებობაზე კანონით მინიჭებული უფლებით – ადვოკატის აყვანის უფლებით (დაცვა შეთანხმებით) სარგებლობის გამო, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

როგორც უკვე აღინიშნა, იურიდიული მომსახურების ხარჯების განევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობა იმთავითვე არ გამორიცხავს ამგვარი ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას უკეთუ აშკარაა, რომ პირის უფლების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება განეულია, თუმცა აგრეთვე ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაშიც შეფასებას საჭიროებს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის გონივრულობა, სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მისი პროპორციულობა განეულ მომსახურებასთან. დაცვის უფლების სრულყოფილი და ეფექტიანი რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადვოკატის მიმართ ბრალდებულის ნდობის ხარისხზე. ამდენად, სახელმწიფოს მიერ დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფა გულისხმობს არა მხოლოდ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის პროცესში ჩართვას, არამედ ბრალდებულისათვის თავისი ხარჯით კონკრეტული, მისთვის მისაღები ადვოკატის მოწვევის ხელშეშლის აკრძალვას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ადვოკატის პროცესში დაშვების აკრძალვა ეფუძნება ნორმატიულ საფუძველს). სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის მიერ ადვოკატის საკუთარი ხარჯით აყვანა (სსსკ-ის 91.1 მუხ.) არ გამორიცხავს მომავალში, ბრალდებულის გამართლების შემთხვევაში, ამ თანხის იმ სუბიექტის მიერ ანაზღაურებას, რომლის ქმედებებმაც წარმოშვა ბრალდებულის მიერ კონკრეტული ხარჯის განევის საჭიროება. სათანადო მოთხოვნის

არსებობისას სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს გამართლებული-სათვის ადვოკატის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების სა-კითხზე (სუსგ 07.02.2019წ. საქმე №ბს-432-429(2კ-17)). საკასაციო პა-ლატა მიუთითებს, რომ განსახილველ დავაში ერთმნიშვნელოვნად გა-მოირიცხება სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის მიერ მოსარჩე-ლის ინტერესების დაცვის უსასყიდლოდ განხორციელება. საქმის მასა-ლებში დაცული სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენით/განჩინებ(ებ)ით უდავოდ დასტურდება სამივე ინსტანციის სასამარ-თლოში მოსარჩელისთვის ადვოკატ გ. გ-ის მიერ იურიდიული მომსახუ-რების გაწევა. იურიდიული მომსახურების გაწევის შემთხვევაში ივარა-უდება მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არ-სებობა, სანინალმდეგო დამტკიცებას საჭიროებს (სუსგ 14.07.2016წ. საქმე №ბს-776-768(2კ-4კს-15)). სსკ-ის 41-ე მუხლის თანახმად, ად-ვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული. ადვოკატის უმთავრესი ფუნ-ქციაა მაქსიმალურად დაიცვას მარნმუხებლის ინტერესები, უზრუნ-ველყოს წარმომადგენლობა სასამართლოში, არბიტრაჟსა და საგამო-ძიებო ორგანოებში („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხ.), რაც უნ-და განხორციელდეს კანონიერების, დამოუკიდებლობის, კეთილსინდი-სიერების, გულისხმიერებისა და ეთიკის ნორმების ზედმიწევნით დაც-ვით („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.), თუმცა აღნიშნული არ არის ადვოკატთა ფინანსური დაინტერესების გამომრიცხავი გარემოე-ბა, რადგან საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული ფინანსური შემო-სავალი, როგორც წესი, ქმნის ადვოკატის საქმიანობის ფინანსურ სა-ფუძველს. ადვოკატი, მართალია არ არის „დასაქმებული“ ტრადიციუ-ლი გაგებით, თუმცა იგი ახორციელებს კლიენტისათვის იურიდიული მომსახურების გაწევას სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შეთანხმება, ან კანონისმიერი დათქმა მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შესახებ). კანონმდებლო-ბა არ ზღუდავს მხარეებს შეთანხმდნენ ჰონორარის წინასწარ, პერიო-დულ ან სამომავლო გადახდაზე (სუსგ 07.02.2019წ. საქმე №ბს-432-429(2კ-17)). საქმის მასალებში დაცულია ს. ჩ-ასა და ადვოკატ გ. გ-ეს შორის 30.08.2021წ. და 08.02.2023წ. დადებული ხელშეკრულებები სისხლის სა-მართლის საქმეზე მოსარჩელისთვის იურიდიული მომსახურების თაო-ბაზე. აღნიშნული ხელშეკრულებებით განისაზღვრა საადვოკატო მომ-სახურების ოდენობა, ანაზღაურების წესი და პირობები, მოსარჩელე აგრეთვე მიუთითებს გადახდის ქვითრებზე. განსახილველ შემთხვევა-ში დგინდება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე სამივე ინსტანციის სასამართლოში ს. ჩ-ას ინტერესებს წარმომადგენდა ადვოკატი გ. გ-ე, ამასთან საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე ადვოკატ გ. გ-ეს წარდგენილი ჰქონდა შესაგებ-

ლები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიული მომსახურების განვითარების შესახებ ხელშეკრულებით შეთანხმებული თანხა, აგრეთვე მარნმუხნებლის მიერ წარმომადგენლისთვის გადახდილი თანხის ოდენობა განუელი მომსახურებისთვის, არ არის სავალდებულო სასამართლოსთვის ადვოკატის მომსახურების განვითარების თანხის ოდენობის განსაზღვრისთვის. სასამართლო ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში იღებს საქმის სირთულეს, უფლების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობას, ხანგრძლივობას, ინსტანციურობას და სხვ.. აღნიშნული გარემოებები შეფასებას საჭიროებს არა მხოლოდ ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის, არამედ აგრეთვე ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ადვოკატისთვის გადახდილი ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თანხა არაადეკვატურია და აშკარად აღემატება წარმომადგენლის მიერ საქმეზე განუელი მომსახურების ღირებულებას (სუსგ 20.07.2022წ. საქმე №ბს-628(2კ-20)). უკანონო ბრალდებისაგან თავის დასაცავად მხარის მიერ განუელი სასამართლო ხარჯები, მათ შორის საადვოკატო მომსახურების ხარჯები, ანაზღაურებას შესაძლოა დაექვემდებაროს გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. ასეთი სახის ხარჯები რეალურად უნდა იქნეს განუელი ან იურიდიული მომსახურების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე უნდა არსებობდეს ასეთი ხარჯის განვითარების ვალდებულება. ამდენად, ზოგადი წესის თანახმად დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის ან ასეთი ვალდებულების არსებობის ფაქტს, წარმოშობს ამ ხარჯის ანაზღაურების საფუძველს. ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) მიერ დამტკიცებული „ადვოკატთა ქცევის კოდექსის“ თანახმად, ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ანაზღაურება უნდა იყოს სამართლიანი და გონივრული (მუხ. 3). მარნმუხნებელსა და ადვოკატს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მატერიალური საფუძველი დავალების ხელშეკრულებაა (სკ-ის 709-ე მუხ.). მარნმუხნებელი ვალდებულია გადაუხადოს რმმუხნებულს გასამრჯელო ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სკ-ის 710-ე მუხ.). ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე მხარეები თავად განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსს, თანხმდებიან მის პირობებზე და საფასურის ოდენობაზე. ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის სრული ოდენობით ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომელიც კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა და ადმინისტრაცი-

ული სასამართლოწარმოების წესით არ განიხილება. უკეთეს პირი ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვს სისხლის სამართლის საქმეზე უკვე განეული ან გასაწვეი საადვოკატო მოსახურების საფასურის მონინალმდეგე მხარის მიერ ანაზღაურებას, სასამართლო საკუთარი მიხედულების ფარგლებში და საქმის ინდივიდუალური გარემოებებისა და გონივრულობის პრინციპის საფუძველზე წყვეტს აღნიშნულ საკითხს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე გამართლდა პირველივე ინსტანციის სასამართლოს მიერ, რაც უცვლელი დარჩა სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ხოლო საკასაციო სასამართლომ პროკურორის საჩივრის დასაშვებობის საკითხი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული მომსახურების საფასური იმთავითვე არ ქმნის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის ოდენობის მონინალმდეგე მხარეზე დაკისრების საფუძველს, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. მოთხოვნილი საადვოკატო მომსახურების თანხის გონივრულობას სასამართლო აფასებს მიუხედავად ამ ხარჯის გადახდის დამატატურებელი მტკიცებულებების წარდგენისა. ასეთი სახის ხარჯების განევის საჭიროების მიუხედავად სასამართლო „აუცილებლობის“ და „გონივრულობის“ გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას გაღებული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე („Société Colas Est and Others v. France“, §56, 16.04.2002წ.). განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი გარემოებებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განეული იურიდიული მომსახურების ანაზღაურება უნდა დაეკისროს 4 000 ლარის ოდენობით.

კასატორი (მოსარჩელე, აპელანტი) წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით აგრეთვე მოითხოვს მოსამართლის ხ. ა-ის აცილებაზე უარის თქმის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს 29.04.2021წ. განჩინების გაუქმებას, თუმცა საკასაციო საჩივარში მითითებული არ არის აცილებისა და მითითებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებას, ასევე სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებას. სასამართლოს მიმართ ნდობის განსამტკიცებლად მნიშ-

ენელოვან ფაქტორს წარმოადგენს ისეთი საკანონმდებლო პროცედურების არსებობა, რომელიც მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს, კერძოდ, ანესრიგებს მოსამართლის აცილების წესსა და შემთხვევებს („*Micallef v. Malta*“, §99-100). ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ასკ-ის 31-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის აცილების საფუძვლებს, შესაბამისად აცილების თაობაზე განცხადების დასაკმაყოფილებლად სახეზე უნდა იყოს მითითებული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევა. „სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების“ 2.5 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება შეექმნას წარმოდგენა, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი. საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, არამედ აღქმა იმისა (საზოგადოების, განსაკუთრებით მხარეთა მხრიდან), რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. კონვენციის 6.1 მუხლით დაცული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება მოითხოვს საქმის განხილვას მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. მიუკერძოებლობის არსებობა განისაზღვრება სუბიექტური და ობიექტური ტესტების მეშვეობით („*Morice v. France*“, 2015, §73-78; „*Denisov v. Ukraine*“, 2018, §61-65). სუბიექტური ტესტით ფასდება მოსამართლის პირადი მოსაზრებები და ქცევა, მოცემული საქმის შედეგით მოსამართლის პირადი დაინტერესების ან წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულების არსებობა, ხოლო ობიექტური ტესტით დგინდება სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიების უზრუნველყოფის არსებობა („*O. Volkov v. Ukraine*“, 2013, §104). სუბიექტური ტესტის თვალსაზრისით საკითხის შემომწევისას მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობა პრეზუმირდება სანინალმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში („*Kyprianou v. Cyprus*“, §119). განსახილველ შემთხვევაში საქმის შედეგით მოსამართლის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება და მისი სუბიექტური მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ არ იკვეთება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსამართლე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა იყოს (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და მოვალეობების შესახებ“

(2010)). აცილების საკითხის შეფასებისას მხარის პოზიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი, ვინაიდან დაინტერესებული მხარის შიში ობიექტურად გამართლებული უნდა იყოს („S. Lomines v. France“, §63). სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში აპელანტმა (მოსარჩელემ) აცილება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ საქმის გამხილველი მოსამართლის ოჯახის წევრი წარსულში მუშაობდა პროკურატურაში, ამჟამად მუშაობს საჯარო სამსახურში, რაც აპელანტის მოსაზრებით მოსამართლის სიმპათიას ადასტურებდა მოპასუხის მიმართ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება არ ქმნიდა აცილების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს. საქმეზე „Ramljak v. Croatia“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსამართლის ნათესაური კავშირი იმ იურიდიული ოფისის თანამშრომლებთან, რომელიც წარმოადგენს მხარეს სასამართლოწარმოებაში, ავტომატურად არ არის მოსამართლის აცილების საფუძველი (§29). ნათესაური კავშირის დადგენის შემთხვევაში შეფასებას საჭიროებს ისეთი საკითხები, როგორიცაა მოსამართლესთან ნათესაური კავშირის მქონე პირის უშუალო მონაწილეობა განსახილველ საქმეში, მისი პოზიცია დაწესებულებაში, დაწესებულების სიდიდე, შინაგანი ორგანიზაციული მოწყობა და ა. შ. („Nicholas v. Cyprus“, §62). ევროპულმა სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა ქვეყნის მასშტაბზე, იურიდიული დაწესებულებებისა და მოსამართლეთა რაოდენობაზე, ამ მხრივ მსგავსი შემთხვევების სიხშირის ალბათობაზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე (აპელანტი) არ მიუთითებს სააპელაციო ინსტანციაში საქმის განმხილველი მოსამართლის ხ. ა-ის ოჯახის წევრის ამჟამად მოპასუხე ორგანოში მუშაობის ფაქტზე, განსახილველ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების რაიმე სახის გავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე. რაც შეეხება საჯარო სამსახურში მუშაობას, გაუგებარია მოსამართლის ოჯახის წევრის საჯარო სამსახურში მუშაობისა და ამ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების ურთიერთგავლენა და კავშირი, შესაბამისად მხოლოდ საჯარო სამსახურში მუშაობის ფაქტი არ არის საკმარისი საფუძველი აცილების თაობაზე განცხადების დასაკმაყოფილებლად. აპელანტმა (მოსარჩელემ) აცილების საფუძველად სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში ასევე მიუთითა მოსამართლის ხ. ა-ის მიერ სხვა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც არ იქნა გათვალისწინებული მისი მოთხოვნა ხარჯების სრულად ანაზღაურების თაობაზე. ფაქტი იმის შესახებ, რომ მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ანალოგიურ საქმეზე სხვა სასამართლოწარმოების ფარგლებში, არ არის საკმარისი მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შესატანად („Kreigisch v. Germany“, §544), მხარის მოთხოვნის სრულად დაუკმაყოფილებლობა და მისთვის არასასურ-

ველი შედეგი არ წარმოადგენს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების საფუძველს. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადანყვეტილების მოტივების უარყოფელ სამართლებრივად დასაბუთებულ არგუმენტაციას. მოცემულ შემთხვევაში აცილებაზე უარის თქმის თაობაზე განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივარი დასაბუთებას საერთოდ არ შეიცავს, კასატორი არ მიუთითებს ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების უსწორობებზე, შესაბამისად ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით არ არსებობს აცილებაზე უარის თქმის თაობაზე სააპელაციო პალატის 29.04.2024წ. განჩინების გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს გენერალური პროკურორატურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ს. ჩ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების (2 000 ლარის) ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.04.2024წ. გადანყვეტილების გაუქმებით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადანყვეტილება ამ ნაწილში მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 4 000 ლარის დაკისრების თაობაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში (მორალური ზიანის სახით 1500 ლარის და ადმინისტრაციულ საქმეზე ადვოკატის მიერ განეული მომსახურებისათვის 300 ლარის დაკისრების ნაწილში) გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელი, ასევე უცვლელი უნდა დარჩეს აცილებაზე უარის თქმის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.04.2024წ. განჩინება.

სსკ-ის 46-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან დანესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე. სსკ-ის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავ-

შირებით განეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ს. ჩ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.2024წ. გადაწყვეტილება სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს გენერალურ პროკურატურას ს. ჩ-ას სასარგებლოდ დაეკისროს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება – 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.2024წ. გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;

5. უცვლელი დარჩეს აცილებაზე უარის თქმის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.2024წ. განჩინება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამომწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი

გადანყვებითლება საქართველოს სახელით

№ბს-1170(კ-19)

18 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვით გამოწვეუ-
ლი მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. რ-ამ 26.04.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქარ-
თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმე-
თა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, საქართვე-
ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტა-
მენტის ძველი თბილისის სამმართველოსა და საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი
თბილისის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების მიმართ
მოპასუხეებისთვის 1500 ლარის ოდენობით არაქონებრივი (მორალუ-
რი) ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

გ. რ-ამ აღნიშნა, რომ იგი დააკავეს 2016 წლის 26 მარტს ადმინის-
ტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის დარღვე-
ვის გამო, რაზედაც შედგა 26.03.2016წ. ადმინისტრაციული დაკავების
ოქმი. გ. რ-ას მიმართ ასევე შედგა 08.04.2016წ. ადმინისტრაციული სა-
მართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების (თვითმმარ-
თველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) ჩადენის გამო, ოქმის თა-
ნახმად გ. რ-ა ასრულებდა წარწერას ნაგვის ურნაზე. თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ.
დადგენილებით, გ. რ-ას მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალ-

დარღვევის საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. მოსარჩელე, სასამართლოს 26.04.2016წ. დადგენილებაზე მითითებით, აღნიშნავს, რომ მის მიმართ ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ გამოყენებით მას მიადგა არაქონებრივი (მორალური) ზიანი, რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ. გ. რ-ა დაკავებულ მდგომარეობაში შეიყვანეს შსს ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში და სწორედ დაკავებულ მდგომარეობაში წარსდგა ის სასამართლოს წინაშე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ. №4/2237-16 დადგენილებით გ. რ-ას მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, მის ქმედებაში სამართალდარღვევის ნიშნების არარსებობისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. სასამართლოს დადგენილება კანონიერ ძალაშია შესული, ის არ გასაჩივრებულა დამკავებელი და ოქმის შემდგენელი ორგანოს მიერ. სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან კანონით დადგენილ ვადაში მოსარჩელემ მისი დაკავება გაასაჩივრა ზემდგომ ორგანოში და პროკურორთან, რომლითაც მოითხოვა დაკავების/პირადი გასინჯვის უკანონოდ ცნობა და ზიანის ანაზღაურება. გ. რ-ამ გასაჩივრების საფუძველად მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. გ. რ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით, პოლიციის ორგანოებში გადაყვანა – იძულებითი წარდგენით, მან განიცადა უსამართლობის შიში, განიცადა სულიერი ტკივილი, მას დაუფულა უსამართლობის და დაუცველობის განცდა, მის მიმართ მტკიცებულებათა წარუდგენლობით თავი იგრძნო შეურაცხყოფილად, უსამართლო დევნილად, შეელახა პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია.

მოსარჩელემ საქართველოს კონსტიტუციის მე-18, 42-ე მუხლებზე, აგრეთვე სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 317-ე, 1005-ე მუხლებზე, ევროპული კონვენციის მე-3, მე-5 მუხლებზე მითითებით მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. განსახილველი დავის ფარგლებში უნდა განიმარტოს სკ-ის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ადმინისტრაციული წესით დაკავებულ

პირზე, უნდა გაირკვეს აგრეთვე დაკავების უკანონობის ცნობის შესაძლებლობა. იმ პირობებში, როდესაც შსს და პროკურატურაში გასაჩივრების შედეგად ადმინისტრაციული დაკავება უკანონოდ ცნობილი არ ყოფილა, უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საჯარო ინტერესი და მეორე მხრივ, პოლიციელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის აუცილებლობას შორის. დაკავების დროს იზრდება დასაბუთებულობის მოთხოვნაც. უფლების შეზღუდვის მიზანი არის სხვა სიკეთის დაცვა, ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანაზომიერების დაცვას. დაკავების გასაჩივრებისა და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება სამართალდამრღვევად. საპროცესო აქტი, რომლითაც მოსარჩელე გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილი არიან სამართალდარღვევის აღკვეთისათვის საჭირო ფართო უფლებამოსილებებით, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგენ პირის მიმართ ზემოქმედების ისეთი ზომების გამოყენებას, რომლებიც იწვევს პირისათვის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეზღუდვას. სკ-ის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისათვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღება, ვინაიდან ამით დასტურდება, რომ პირს არ ჩაუდენია სამართალდარღვევა.

მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით მოსარჩელე აღნიშნავს, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დაზარალებულის დაკმაყოფილება, ზიანის მიმყენებელზე ზემოქმედების მოხდება და სხვა პირის მიერ უფლების ხელყოფის თავიდან აცილება. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია დადებითი ემოციების გამოწვევა, თანხა უსამართლო და შეუსაბამოდ არაგონივრული არ უნდა იყოს, უნდა საბუთებოდეს მისი გამოთვლის რაიმე წესი, ამასთანავე მოცულობამ უნდა შეაკავოს მოპასუხეები სამომავლოდ, მხარეს უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ მის მიმართ განხორციელებულ უკანონობაზე ბრალეულმა პირმა აგო პასუხი არა ბუტაფორულად, ზიანის მიმყენებლასაც უნდა დარჩეს განცდა, რომ მან აგო პასუხი უკანონო მოქმედების გამო, მოცულობამ მას სამომავლო ქცევა უნდა შეუცვალოს.

მოსარჩელემ მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის სო-

ლიდარულად ადვოკატის დახმარებისათვის თანხის ანაზღაურება. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული ხარჯის, სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩელის და მისი წარმომადგენლის სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების გამო ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯის, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე, მტკიცებულებათა ასლების დამზადებაზე, აკინძვაზე, საფოსტო კავშირზე, კვებაზე დახარჯული ხარჯების, აგრეთვე სასამართლოში მოცდენილი დროის ანაზღაურება, აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება.

შს სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საქალაქო სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში აღინიშნა, რომ სკ-ის 1005-ე მუხლი შეიცავს მითითებას კონკრეტული საფუძვლით ზიანის მიყენების ფაქტობრივ გარემოებებზე და ვერ იქნება ანალოგიით გამოყენებული ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემისა და ადმინისტრაციული წესით დაკავების დროს. ანალოგიის გამოყენების წინაპირობა არის კანონის დაუგეგმავი წინასწარ გაუთვალისწინებელი არასრულყოფილება. იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელი ურთიერთობას მოწესრიგების გარეშე შეგნებულად ტოვებს კანონის ანალოგია არ გამოიყენება. ნორმა ანალოგიურია თუ არა უნდა გადაწყდეს ნორმის განმარტების საფუძველზე. ამდენად, განმარტება და ანალოგია სამართლის მეთოდოლოგიის ცენტრალური ინსტიტუტებია. ანალოგიის გამოყენების დასაშვებობაზე პასუხს იძლევა კანონის მიზანი. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ აღნიშნული არის საგამონაკლისო ნორმა. სპეციალური ხასიათის ნორმა, რომელიც სპეციალურ სუბიექტთა ურთიერთობას აწესრიგებს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სპეციალური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ანალოგიის სახით. ადმინისტრაციული პატიმრობა შეუძლებელია გაიგივებულ იქნეს ადმინისტრაციულ დაკავებასთან. აღნიშნული ორი ინსტიტუტი ცალსახად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციული დაკავება თავისი არსით არის უზრუნველყოფის ღონისძიება და არა საბოლოო შედეგი. სკ-ის 1005.3 მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობის შემთხვევაში რეაბილიტაციის შესაძლებლობას და არა ადმინისტრაციული დაკავების დროს. ადმინისტრაციული დაკავება თავისი არსით იმდენად მცირე ჩარევაა ადამიანის თავისუფალი გადაადგილების უფლებაში, რომ იგი კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ დაპატიმრების რეგულაციის სფეროში არ ხვდება. ადმინისტრაციული დაკავება არ შეიძლება გაიგივდეს ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, ვინაიდან ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ აღემატება 12 საათს, ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება

და ამდენად, იგი ვერ იქნება მიჩნეული კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის იმგვარ ფორმად, რომელიც სკ-ის 1005.3 მუხლის დეფინიციის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ადმინისტრაციული დაკავება არის დანაშაულის პრევენციის, მისი დროული აღკვეთის და გამოვლენის მექანიზმი, ადმინისტრაციული დაკავების ტესტი არის „საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის“ – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად („პოლიციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ.). საკანონმდებლო რეგულაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ვარაუდი იქცეს საფუძველად, თუმცა აპრიორი არ გულისხმობს ვარაუდის ჭეშმარიტებას. შესაგებლის ავტორი თვლის, რომ სარჩელში განმარტებული მიდგომის სასამართლო პრაქტიკად ქცევა ზიანის მომტანი იქნება საჯარო ინტერესისათვის. შესაგებლის ავტორი ასევე თვლის, რომ მორალური ზიანის მოთხოვნილი მოცულობა არაგონივრულია და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.02.2019წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. რ-ას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინებით გ. რ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.02.2019წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: 26.03.2016წ., 05:05 საათზე, შედგა ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული წესით დააკავეს გ. რ-ა კერძოდ, ნავის ურნაზე საღებავებით სხვადასხვა სახის წარწერებისა და ნახატების შესრულების მოტივით. მას ჩაუტარდა პირადი გასინჯვა. გ. რ-ა შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში წარადგინეს 26.03.2016წ. 05:12 საათზე, ხოლო გათავისუფლდა 26.03.2016წ., 06:36 საათზე. სასკ-ის 150-ე მუხლის საფუძველზე, 08.04.2016წ., გ. რ-ას მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ. დადგენილებით გ. რ-ას მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, ვინაიდან არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. გ. რ-ას წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, სა-

ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს, ქ. თბილისის პროკურორსა და სახალხო დამცველს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარება/ცნობის მოთხოვნით, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან საჩივრები არ იქნა დაკმაყოფილებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის სკ-ის 1005.3 მუხლით დაკმაყოფილების საფუძველი. აღნიშნული ნორმა რეაბილიტირებული პირისთვის ზიანის ასანაზღაურებლად ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებს, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მხოლოდ „ვ“ (გამასწორებელი სამუშაო) და „ზ“ (ადმინისტრაციული პატიმრობა) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ძირითადი ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. გ. რ-ას მიმართ არ ჰქონია ადგილი სკ-ის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული და შესაბამისად ანაზღაურებას დაქვემდებარებული ღონისძიების (გამასწორებელი სამუშაოს ან ადმინისტრაციული პატიმრობის) გამოყენებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს თორმეტ საათზე მეტ ხანს და აღნიშნა, რომ მოსარჩელის ადმინისტრაციული დაკავება სულ გრძელდებოდა 1 (ერთი) საათი და 31 (ოცდათერთმეტი) წუთი. ამდენად, აღნიშნული ნორმის მოთხოვნა არ დარღვეულა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის სკ-ის 1005.1 მუხლით დაკმაყოფილების საფუძველი. აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გადამწყვეტი იყო არა მოსარჩელის მხრიდან სამართალდარღვევის ფაქტის არ არსებობა, არამედ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის არსებობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საკასაციო სასამართლოს №ბს-1143-1137(2კ-17) საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან გ. რ-ას დაკავების ფაქტი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჩივრის განხილვის ფარგლებში არ ყოფილა უკანონოდ ცნობილი, ამასთან, ადმინისტრაციული წესით დაკავების კანონიერება მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდარა არც სასარჩელო წესით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილი პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით დაკავება იყო კანონშესაბამისი, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების

სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, პალატამ აღნიშნა, რომ ასეთ სასარჩელო მოთხოვნაზე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მტკიცებულებას წარმოადგენდა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული პოლიციური ღონისძიების – ადმინისტრაციული დაკავების კანონით დადგენილი წესით გასაჩივრების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება და რაც შემდგომ საფუძველად დაედებოდა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ უშუალოდ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაზე სასარჩელო წარმოებისას სასამართლოს არ გააჩნდა მოსამსახურის მიერ მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის დადგენის შესაძლებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. რ.-ას წარმომადგენელმა.

კასატორის თვლის, რომ ადმინისტრაციული დაკავება ექცევა სკ-ის 1005.3 მუხლით გათვალისწინებულ ფაქტობრივ შემადგენლობაში. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, რაც ავტომატურად განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. სკ-ის 1005.3 მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, რადგან ამგვარი აქტი ადასტურებს, რომ გამართლებულ პირს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, რაც თავის მხრივ განაპირობებს მის უფლებებში აღდგენას – რეაბილიტაციას. აღნიშნული გარემოების არსებობა საკმარისია პირისთვის ზიანის ანაზღაურებისთვის. სარჩელი საფუძვლიანია მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ არაა აღიარებული ადმინისტრაციული დაკავების უკანონობა და არაა დადგენილი პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით ზიანის მიყენება. აუცილებელი არ არის, პირს გასაჩივრებული ჰქონდეს ადმინისტრაციული დაკავება ან დაკავება უკანონოდ იქნეს აღიარებული შესაბამისი ორგანოს მიერ. კასატორმა მიუთითა სამართლებრივი ნორმებით დაცულ არაქონებრივ უფლებებზე, რომელთა ხელყოფა წარმოშობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს. კასატორი ითხოვს ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრებას

ყველა მოპასუხისთვის. ადმინისტრაციული დაკავება განახორციელებს სამინისტროს თანამშრომლებმა, შესაბამისად, ზიანის მიმყენებლებს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისივე პოლიციის დეპარტამენტი და დასახლებული ყველა სხვა მოპასუხე.

კასატორმა მოითხოვა მოპასუხეებისთვის სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის გადახდის დაკისრება, კერძოდ: ადვოკატის დახმარებისთვის 9 400 ლარი; მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადებების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამონმებისთვის გაღებული სანოტარო ხარჯი – 70 ლარის ოდენობით; საკასაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას აპელანტებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯი – 100 ლარის ოდენობით; მტკიცებულებათა მოძიებამოპოვებაზე გაღებული ხარჯი, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 20 ლარის ოდენობით; საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად მეორე ინსტანციის სასამართლოში საჩივრის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისთვის – 70 ლარი; საკასაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯები – 40 ლარი; მათ აკინძვაზე დახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯი – 0.1 ლარი; საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯი – 60 ლარი; საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯის – 10 ლარი; ასევე კასატორის და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეული გაზრდილი დანახარჯები – 100 ლარი; სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება – 5 000 ლარის ოდენობით; საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 200 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ.რ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. რ.-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაკისრების საკითხი. მოცემული დავის ფარგლებში დასადგენია არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმომშობი ნორმა, შესაფასებელია სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლო დადგენილების მარეაბილიტირებელ გარემოებად მიჩნევის საკითხი, ასევე შესაფასებელია უშუალოდ ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრების მნიშვნელობა მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, დასადგენია ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და ასევე ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244.1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავება წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი სამართლებრივ ღონისძიებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის 1-ელი ნაწილის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს თორმეტ საათზე მეტ ხანს. გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული აუცილებლობის გამო, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები. ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ძირითადი უფლება იცავს პირს თავისუფლების ნებისმიერი ხანგრძლივობით უკანონო აღკვეთისას, რაოდენ ხანმოკლეც უნდა იყოს იგი (*Krupko and Others v. Russia*, no. 26587/07, §35, 26.06.2014). საპოლიციო ღონისძიება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ფიზიკური თავისუფლების აღკვეთად, თუნდაც იგი გრძელდებოდეს ძალიან მოკლე დროით (*Creangă v. Romania [GC]*, no. 29226/03, §§91-93, 23.02.2012; *Foka v. Turkey*, no. 28940/95, §75, 24.06.2008). ასე მაგ. თავისუფლების აღკვეთად იქნა მიჩნეული პირის მიერ პოლიციის განყოფილებაში 45 წუთის განმავლობაში ყოფნა (*Shimovolos v. Russia*, no. 30194/09, §48, 57, 21.06.2011), ასევე შემთხვევა, როდესაც პირის პოლიციის ოფისში მიყვანა, შემონმება და იზოლაციაში მოთავსება არ აღემატებოდა ერთ საათს (*Novotka v. Slovakia (dec.)*, no. 47244/99, §ა, §2, 04.11.2003). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ღონისძიების ხანგრძლივობის მიუხედავად, თავისუფლების აღკვეთას წარმოადგენს პირის ნების საწინააღმდეგოდ მისი მიყვანა პოლიციის

ოფისში, იზოლატორში მოთავსებით (Ostendorf v. Germany, no. 15598/08, §64, 07.03.2013) ან იზოლატორში მოთავსების გარეშე (Krupko and Others v. Russia, no. 26587/07, §36, 26.06.2014). ღონისძიების თავისუფლების აღკვეთად დაკვალიფიცირებისთვის გადამწყვეტია იძულების, ძალდატანების ელემენტის არსებობა. ასეთ დროს, პირს არ გააჩნია, ფაქტობრივი და/ან სამართლებრივი თვალსაზრისით, შესაძლებლობა მიიღოს თავისუფალი გადაწყვეტილება პოლიციის ოფისში მისვლაზე უარის თქმის თაობაზე ან მისვლის შემთხვევაში, ოფისის ნებისმიერ მომენტში დატოვების შესახებ ისე, რომ მის მიმართ არ დადგეს არახელსაყრელი შედეგები (Creangă v. Romania [GC], no. 29226/03, §§94-100, 23.02.2012; Rozhkov v. Russia (no. 2), no. 38898/04, §79, 31.01.2017). 26.03.2016წ. ღონისძიების ფიზიკური თავისუფლების აღკვეთად მიჩნევისთვის მეორე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს პირის მოთავსება (გადაყვანა) სახელმწიფოს მიერ შერჩეულ შემოზღუდულ სივრცეში. პირი დაკავებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მას ფიზიკური თავისუფლება დახურულ სივრცეში გადაყვანის მიზნით შეეზღუდება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლ. იზორია და დ.-მ. შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. №1/2/503,513 გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ დაკავებად კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენ ხანს – წუთსა თუ საათს გასტანა დაკავებამ. სასამართლო მიუთითებს, რომ ნათელი უნდა იყოს უფლების შეზღუდვის მიზნები, მისი საფუძვლები, ასევე განჭვრეტადი უნდა იყოს ის შედეგებიც, რომლებიც შესაძლებელია უფლებაში ჩარევას მოჰყვეს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. №1/2/503,513 გადაწყვეტილება). საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების თანახმად, გ. რ.-ა 05:05 საათზე დააკავეს (ამ დროს არის შედგენილი გ. რ.-ას მიმართ ადმინისტრაციული დაკავების ოქმი), 05:12 საათზე გ. რ.-ა გადაიყვანეს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში, იმავე დღის 06:36 საათზე გ. რ.-ამ დატოვა ადმინისტრაციული შენობა. ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების გამომძიებლის 26.03.2016წ. პატაკის თანახმად, დაკავება განახორციელეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა, ამასთან მოპასუხე არ მიუთითებს გარემოებებზე, რომლებიც დაადასტურებდნენ გ. რ.-ას ადმინისტრაციულ შენობაში ნებაყოფლობით მისვლასა და შენობის დატოვებაზე ნებაყოფლობით უარის თქმას. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. რ.-ას აღეკვეთა ფიზიკური თავისუფლება 1 (ერთი) საათისა და 31 (ოცდათერთმეტი) წუთის განმავლობაში.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექცევა სკ-ის 1005.3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. „დაკავება“ თავისი არსით, თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ნაკლებად მძიმე ფორმაა, რომელიც მოქცეულია კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებში, ექვემდებარება დამოუკიდებელ შემოწმებას. დაკავება, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ხანმოკლე ფორმა, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაკავება წინ უსწრებს ამავე კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების – წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას და თავისი შინაარსით განსხვავდება თავისუფლების აღკვეთისაგან, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელის სახეს წარმოადგენს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ დაკავებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244.1 მუხლის შესაბამისად პირის ადმინისტრაციული დაკავება დასაშვებია საკანონმდებლო აქტით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები პიროვნების დასადგენად. სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად (ადგილზე შედგენის შეუძლებლობის შემთხვევაში), საქმის დროულად და სწორად განხილვისა და საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, კონკრეტულ პირთან მიმართებით არსებობს იმ სახის ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნულმა პირმა ეს კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა (სისხლის სამართლის პროცესში პირის მიმართ დაკავების ღონისძიების გამოყენების ეტაპზე მოქმედებს „გონივრული ეჭვის“ სტანდარტი, რომელიც ხაზს უსვამს მხოლოდ გამოძიების წარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მცდელობას – სარწმუნო მტკიცებულებებით დაადასტუროს შესაძლო დანაშაულის არსებობა. გონივრული ეჭვის სტანდარტს ბრალდების მხარე იყენებს პირისათვის ბრალდების წარდგენის შესახებ გადანყვეტილების მისაღებად). ადმინისტრაციული დაკავების საკანონმდებლო ფორმულირება არ შეიცავს მინიშნებას გონივრული ეჭვის თაობაზე, თუმცა უდავოა, რომ აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვის ფორმის გამოყენებისას დაკავებაზე უფლებამოსილი პირი არ უნდა მოქმედებდეს ინტუიციით, სუბიექტური განცდით. პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილნი

არიან სამართალდარღვევის აღკვეთისთვის საჭირო ფართო უფლება-
 მოსილებებით, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ პირის
 მიმართ დაკავების ღონისძიების გამოყენებას. საკასაციო პალატა აღ-
 ნიშნავს, რომ თავისუფლების შემზღუდავი სხვა ღონისძიებების მსგავ-
 სად, ადმინისტრაციული დაკავებაც სამართალდარღვევის საქმეთა წარ-
 მოებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირისათვის რეაგირების უკი-
 დურეს საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. სკ-ის 1005.3 მუხლი პირ-
 დაპირ არ შეიცავს მითითებას რეაბილიტირებული პირისათვის ადმი-
 ნისტრაციული წესით უკანონოდ დაკავების შედეგად მიყენებული ზი-
 ანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების შესაძლებლობაზე. სკ-ის
 1005.3 მუხლში არსებული პირის მარეაბილიტირებელი გარემოებების
 არსებობის პირობებში „უკანონოდ შეფასებადი“ ქმედებების ჩამონათ-
 ვალი უკავშირდება როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაცი-
 ულ სამართალდარღვევათა სფეროს („მსჯავრდება“, „სისხლის სამარ-
 თლის პასუხისგებაში მიცემა“, „აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმ-
 რობის გამოყენება“, „ადმინისტრაციული პატიმრობა“, „დისციპლინუ-
 რი პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრა-
 ციული სახდელის დაკისრება“). ამასთანავე, სისხლის სამართლის საქ-
 მეებზე გამოყენებად თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიებებთან მი-
 მართებაში ნორმა უფრო დეტალიზებულია – შეიცავს მითითებას პი-
 რის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემიდან მისთვის სასჯე-
 ლის შეფარდების ჩათვლით კანონით გათვალისწინებულ ღონისძიება-
 თა ჩამონათვალს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვე-
 ვათა კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, სკ-ის 1005.3 მუხ-
 ლი შეიცავს მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელების – „ადმინისტრა-
 ციული პატიმრობისა“ და „გამასწორებელი სამუშაოების“ შესახებ ჩა-
 ნაწერს. „ადმინისტრაციული დაკავება“, როგორც სამართალდარღვე-
 ვის საქმეზე რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ მისაჩნევი ზე-
 მოქმედების ღონისძიება, ნორმაში მითითებული არ არის. საკასაციო
 სასამართლოს თვლის, რომ სკ-ის 1005.3 მუხლში „ადმინისტრაციული
 დაკავების“ შესახებ ჩანაწერის არარსებობა არ ადასტურებს, რომ ად-
 მინისტრაციულ დაკავებას, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ფორ-
 მას, არ გააჩნია მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზ-
 ნებისათვის. ადმინისტრაციულ დაკავებასა და სკ-ის 1005.3 მუხლში მი-
 თითებულ ადმინისტრაციულ პატიმრობას შორის გასხვავება არის მის
 ინტენსივობაში, ხანგრძლივობასა და ხარისხში, ამასთან, ადმინისტრა-
 ციული დაკავება არის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო ადმინის-
 ტრაციული პატიმრობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის სა-
 ხეს, თუმცა თავისი არსით და დამდგარი ნეგატიური შედეგებით, რაც
 გამოიხატება დახურულ სივრცეში გარკვეული დროით მოთავსებაში,

უარყოფითი განცდების წარმოქმნაში, ისინი ერთმანეთს ჰგვანან. ფიზიკური თავისუფლების შემზღუდველი ადმინისტრაციული დაკავების ინსტიტუტი გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით და შესაბამისად მისი მომწესრიგებელი ნორმები უნდა განიმარტოს ნორმატიული ძალით იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი სამართლებრივი აქტების მხედველობაში მიღებით. ადამიანის (ფიზიკური) თავისუფლება დაცულია ძირითადი უფლებების რანგით, რაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს, მისი უკანონოდ აღკვეთა წარმოშობს გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ადამიანის (ფიზიკური) თავისუფლება დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. საქართველოს კონსტიტუციის 13.1 მუხლის მიხედვით, ადამიანის თავისუფლება დაცულია, ხოლო 13.3 მუხლის თანახმად, ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ხელშეუხებლობის დაცვა განსაკუთრებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიებს საჭიროებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19.10.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დ. მაღანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-33). „ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს, როგორც *ultima ratio*“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლის მიხედვით, არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად გარდა შემთხვევებისა, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავადაა მითითებული კონვენციის 5.1 მუხლის a-f ქვეპუნქტებში. კონვენციის მე-5 მუხლი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებთან ერთობლიობაში, მიეკუთვნება იმ ძირითადი უფლებების კატეგორიას, რომელიც პირის ფიზიკურ უსაფრთხოებას იცავს და მას აქვს უმაღლესი მნიშვნელობა. მისი ძირითადი მიზანი თავისუფლების თვითნებური ან გაუმართლებელი აღკვეთის პრევენციაა (Lukanov v. Bulgaria, 20 March 1997, §41, Reports 1997-II; Assanidze v. Georgia [GC], no. 71503/01, §171, ECHR 2004-II; and Ilaşcu and Others v. Moldova and Russia [GC], no. 48787/99, §461, ECHR 2004-VII). ამდენად, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საგამონაკლისო შემთხვევები, რომ-

ლებიც გათვალისწინებულია კონვენციის 5.1 მუხლის a-f ქვეპუნქტებით და რომელთა დროსაც გამართლებულია თავისუფლების აღკვეთა, დაყოფილი არაა სამართლის დარგების მიხედვით, რის გამოც მათი მოქმედება ვრცელდება ფიზიკურ თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევის მიმართ განურჩევლად თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების სამართლის დარგისადმი კუთვნილებისა, რაც დასტურდება კონვენციის მაგალითად 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებით (Engel and Others v. the Netherlands, 08.06.1976, §68, Series A no. 22). კონვენციის მე-5 მუხლში მითითებული ტერმინი „თავისუფლების აღკვეთა“ ზოგადი მნიშვნელობისაა და მოიცავს ნებისმიერი სახის დაკავებას, დაპატიმრებას თუ სხვაგვარ თავისუფლების შეზღუდვას. მე-5 მუხლთან მიმართებაში ევროპული სასამართლო გასცდა კონვენციის ტერმინების სიტყვასიტყვით განმარტებას, ასე მაგ. დისციპლინური სახდელი, რომელიც უკავშირდება ჰაუბტვახტში მოთავსებას, სტრასბურგის სასამართლოს მიერ შემუშავებული სტანდარტებით ერთმნიშვნელოვნად ხვდება ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოქმედების არეში (იხ. „ენგელი და სხვები ნოდერლანდების წინააღმდეგ“, Engel and others v. the Netherlands, 08.06. 1976), მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შეზღუდვის ფორმაზე კონვენციის მე-5 მუხლში ჩანანერი არ არსებობს).

ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებზე ხორციელდება სასამართლო კონტროლი უფლების როგორც პირველადი, ასევე მეორადი დაცვის სამართლებრივი საშუალებებით, მათ შორის ზიანის ანაზღაურების გზით. საქართველოს კონსტიტუციის 13.6 მუხლის მეორე წინადადების თანახმად, უკანონოდ თავისუფლებაზეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. თვითნებური დაკავება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილთან, რომლითაც სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი არის ზოგადი ხასიათის ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირს შეუქმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორ-

მეზი. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული უფლების რესტიტუციის შესაძლებლობას იძლევა „პოლიციის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მითითება, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი წესრიგდება სზაკ-ის XIV თავით დადგენილი ნორმებით. სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სზაკ-ის 208-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, სზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. კონვენციის 5.5 მუხლის მიხედვით, ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება. აღნიშნული გარანტიების ქმედითი რეალიზების მიზნით სკ-ის 1005.3 მუხლში მითითებულია ყველა სახელისუფლებო ღონისძიება, რომელიც ზღუდავს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას გარდა ადმინისტრაციული დაკავებისა. მიუხედავად ამისა, ფიზიკური თავისუფლების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით და ნორმის სისტემური განმარტების საფუძველზე, რომლის ამოსავალია მართლწესრიგის ერთიანობა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სკ-ის 1005.3 მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 13.6 მუხლის მეორე წინადადებასთან ერთობლიობაში, წარმოშობს უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

სკ-ის 1005.3 მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: ზიანის დადგომა, ქმედების მართლწინააღმდეგობა – ფიზიკური თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიების უკანონობა, მიზეზობრივი კავშირი უკანონო ღონისძიებასა და დამდგარ ზიანს შორის, აგრეთვე პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ სა-

სამართლო დადგენილება, რომელიც ადასტურებს პირის არაბრალეულობასა და სამართალდარღვევის ჩაუდენლობის ფაქტს, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, წარმოადგენს მარეაბილიტირებელ გარემოებას. სკ-ის 1005-ე მუხლი არ შეიცავს მარეაბილიტირებელ გარემოებათა ჩამონათვალს, ნორმა ანიჭებს რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავს მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად რეაბილიტაციის საფუძვლის არსებობა სასამართლოს დასადგენია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, რაც განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას, შეწყვეტის თანმდევი შედეგია ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის მსგავსად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება შეიცავს სასამართლოს დასკვნას პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედების დაუდასტურებლობის შესახებ და მათ შორის არ არსებობს განსხვავება დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის თვალსაზრისით, რადგან ორივე საფუძველი წარმოადგენს პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მარეაბილიტირებელ გარემოებას. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.16წ. დადგენილება წარმოადგენს მოსარჩელის რეაბილიტაციის საფუძველს, რადგან თანმდევი შედეგის სახით უტყუარად დასტურდება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემის უსაფუძვლობა და პირის მიმართ გამოყენებული თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიების არამართლზომიერება. მართალია, გ. რ-ას მიმართ დაკავება განხორციელდა ფორმალურად კანონიერების პრინციპის დაცვით, თუმცა შეწყდა რა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოება, დადასტურდა, რომ მოსარჩელეს მოუწია კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებზე შემზღუდავი ზემოქმედების ატანა, ვინაიდან მოსარჩელე არ იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი. რეაბილიტაცია არის იმ პირის უფლებების და თავისუფლებების აღდგენა, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებლად დაექვემდებარა პასუხისმგებლობას. პირის რეაბილიტაციის იურიდიული საფუძველია გამამართლებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული დაკავების, ადმინისტრაციული პატიმრობის საკითხები, სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან გან-

სხვაგვებით, წყდება არა სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული იუსტიციის იურისდიქციის ფარგლებში, ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში ადმინისტრაციული დაკავების (დაპატიმრების) და ადმინისტრაციული კატეგორიის სხვა საქმეების განხილვა, არსებული სასამართლო პროცედურის ამბივალენტობის გამო, განსხვავებულ პრინციპებს ემყარება, თუ უკანასკნელის მიმართ მოქმედებს ადმინისტრაციის ბრალის პრეზუმფცია, პირველის მიმართ მოქმედებს პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, გადაცდომის ნაკლები მნიშვნელობის გამო არ დაიშვება პირის პასუხისგებაში მიცემის გარანტიების ჩამორთმევა. მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში პირს უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან პირის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ „სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას“. სახელმწიფოს მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში სახელმწიფო სახსრებიდან ზიანის ანაზღაურება აღიარებულია (საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 5.5 მუხლი, კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლი, სზაკ-ის 207-ე, 208-ე მუხლები).

საქმის განმხილველი სასამართლო ვერ გამოიკვლევს გამართლების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს, პირის სრულად გამართლების ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სრულად შეწყვეტის შემთხვევაში ყოველი დაპატიმრება ან დაკავება, რომელიც წინ უძღოდა გამამართლებელ განაჩენს ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტას, თანმდევი შედეგის სახით, გამოიწვევს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას. გამოჩაქვლის წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი, რამდენიმე ქმედების ჩადენისათვის არის პასუხისგებაში მიცემული და სასამართლოს დასკვნა გამართლების ან საქმის შეწყვეტის შესახებ ეხება მხოლოდ ერთ ეპიზოდს ან ერთი ქმედების შემადგენლობას და გამოყენებული თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიება – დაკავება (დაპატიმრება) შესაძლოა მიეკუთვნოს ქმედების იმ შემადგენლობას, რომელშიც პირი

დამნაშავედ ან სამართალდარღვევად იქნა ცნობილი, თუმცა თითოეული ასეთი შემთხვევა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და სამართლომ რეაბილიტაციის საფუძვლის არსებობის მიუხედავად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს დასახელებული გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ამ საკითხის შეფასების წინაშე არ დგას, რადგან მოსარჩელის მიმართ სრულიად შეწყდა საქმის წარმოება სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. როგორც გამამართლებელი განაჩენის, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო ვერ იმსჯელებს „არსებულ ან ჯერ კიდევ არსებულ ეჭვებზე“, ასევე ვერ შეაფასებს დაკავების მიზეზებს და გამამართლებელი განაჩენის მიღების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს, რამეთუ ეჭვი (ვარაუდი) დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, როგორც დაკავების კანონიერების მტკიცების საფუძველი, ვერ იქნება გათვალისწინებული სრულად გამამართლებელი განაჩენის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების სრულად შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ (სუსგ 23.05.23წ. №ბს-1340(კ-20)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დელიქტური სარჩელის განხილვა არ ქმნის კანონიერ ძალაში მყოფი პროცესუალური აქტის (საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების) კანონიერების გადამოწმების, მისი გაუქმების პირობას. კანონიერ ძალაში მყოფი დადგენილებით შეწყდა საქმის წარმოება სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო, ამდენად, დადგენილებით დადასტურდა მოსარჩელის არაბრალეულობა, სახეზეა მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა (უკანონო დაკავება), შესაბამისად წარმოიშვა სკ-ის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის მიხედვითაც ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ პოლიციისთვის არაპრაქტიკული გახდეს მათი მოვალეობის შესრულება შეინარჩუნონ წესრიგი და დაიცვან საზოგადოება, იმ პირობით, რომ ღონისძიება შესაბამემა ნორმის გამოკვეთილ პრინციპს, – დაიცვას ფიზიკური პირი სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისგან (Austin and Others v. the United Kingdom [GC], nos. 39692/09 and 2 others, §56, ECHR 2012). პოლიცია უნდა სარგებლობდეს გარკვეული თავისუფლებით (დისკრეციით) ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. ამგვარი გადაწყვეტილებები როგორც წესი რთულია და პოლიცია ყოველთვის საუკეთესო პოზიციაში იქნება მათ მისაღებად, რადგან იგი ფლობს იმ ინფორმაციასა და ოპერატიულ მასალას, რომელიც ხელმიუწვდომელია

საზოგადოებისთვის (P.F. and E.F. v. the United Kingdom (dec.), no. 28326/09, §41, 23.11.2010). „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 16.1 მუხლის თანახმად, „პოლიციის ძირითადი ფუნქციაა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილება“. იმავე კანონის 18.1 და 18.2 მუხლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ახორციელებს არამხოლოდ სამართალდარღვევაზე რეაგირების, არამედ მისი პრევენციის ღონისძიებებს. სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიება პირდაპირ უკავშირდება წარსულში (თავისუფლების აღკვეთამდე) დაწყებულ ქმედებას/სამართალდარღვევის ფაქტს და მიზნად ისახავს დამრღვევის მიმართ სამართლებრივი დევნის განხორციელებას, მის დასჯას აკრძალული ქმედების ჩადენის გამო. პრევენციული ღონისძიებებით სახელმწიფო იცავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს, რომელიც მოიცავს ქვეყნის შიგნით სიმშვიდის შენარჩუნების ვალდებულებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ფიზიკური თავისუფლების კანონიერი ან უკანონო აღკვეთის შემთხვევებისგან განსხვავდება ისეთი ადმინისტრაციული შეზღუდვა, რომლის დროსაც სახელისუფლებო ღონისძიებით უზრალოდ იზღუდება მიმოსვლის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის 14.2 მუხლის თანახმად, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. უნდა გაიმიჯნოს თავისუფლების აღკვეთა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის გაგებით და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა, რომელსაც მოიცავს კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მეორე მუხლი (ადამიანის თავისუფლებას შეეხება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი, ხოლო მიმოსვლის თავისუფლებას – მე-14 მუხლი). თავისუფლების შეზღუდვისას სახელმწიფოს მკაცრი მოთხოვნები წაყენება, თავისუფლების შეზღუდვა მოიცავს გადაადგილების თავისუფლების აღკვეთასაც, თუმცა კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული სიკეთისაგან განსხვავებით, ხასიათდება ჩარევის მაღალი ინტენსივობით, ამასთან, მე-14 მუხლით გარანტირებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას პირს არ აქვს აკრძალული გარესამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობა მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთისას დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეზღუდული აქვს გარეშე პირებთან ურთიერთობა. პირისთვის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის დასადგენად მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ სიტუაციას, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სადავო ღონისძიების სახეობა, ხანგრძლივობა, აღსრულების შედეგები და მეთოდი (Guzzardi

v. Italy, 6 November 1980, 92, Series A no. 39). ღონისძიების ფიზიკური თავისუფლების აღკვეთად დაკვალიფიცირებისთვის სახეზე უნდა იყოს ორი გარემოება კუმულატიურად: იძულების ელემენტის არსებობა და პირის მოთავსება (გადაყვანა) სახელმწიფო ორგანოს მიერ შერჩეულ შემოზღუდულ სივრცეში, რასაც ადგილი არ აქვს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვისას, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში იგი იმყოფება მის მიერ შერჩეულ სივრცეში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი (ამჟამად მოქმედი რედაქციის 13.1 მუხლი) განამტკიცებს ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის, მისი პირადი თავისუფლების უფლებას, ის ფუნდამენტური უფლებების ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს და კონსტიტუციის თანახმად საგანგებო დაცვას ექვემდებარება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. № 1/2/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლ. იზორია და დ.-მ. შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დადგენილი ერთ-ერთი ძირითადი სტანდარტია ის, რომ ამომწურავი სახითაა ჩამოყალიბებული ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის საგამონაკლისო შემთხვევები (საფუძვლები), რომლებიც მკაცრად უნდა განიმარტოს (*Buzadji v. the Republic of Moldova* [GC], no. 23755/07, §84, 05.07.2016). კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემომწების სიმკაცრის ხარისხს ზრდის ის გარემოებაც, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა – თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). გ. რ.-ას დაკავება არ შეესაბამებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. აღნიშნული ნორმა შეიცავს იმ კონკრეტული სამართალდარღვევების ჩამონათვალს, რომელთა ჩადენის შემთხვევაში შინაგან საქმეთა ორგანოებს, 244.1 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით, შეუძლიათ ადმინისტრაციული დაკავების გამოყენება. შესაბამისად, ადმინისტრაციული დაკავების გამოსაყენებლად უნდა არსებობდეს ორივე გარემოება კუმულატიურად – როგორც დაკავების საფუძველი (244.1 მუხლი), ასევე საკანონმდებლო აქტით უშუალოდ გათვალისწინებული კონკრეტული სამართალდარღვევა, რომლის შემთხვევაშიც შესაძლებელია დაკავება (246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული პატიმრობა არის ადმინისტრაციული სახდე-

ლის სახე, ანუ სამართლებრივი შედეგი, ხოლო ადმინისტრაციული დაკავება არის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როდესაც ამონურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად (244.1 მუხ.). თავისუფლების ძირითად უფლებაში ჩარევა კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად ემსახურება ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორიცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა, საქმის დროული და სწორი განხილვა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული დადგენილების აღსრულება. აღსანიშნავია ისიც, რომ პირის ადმინისტრაციულ დაკავებას კანონი მხოლოდ მას შემდეგ ითვალისწინებს, როცა ამოიწურება ზემოქმედების სხვა ზომები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 26.03.2016წ. შედგენილი №... ადმინისტრაციული დაკავების ოქმში არ არის მითითებული თუ რატომ იქნა მიღებული დაკავების გადაწყვეტილება, არაა მითითებული თუ რა საფუძველი არსებობდა დაკავებისათვის. ოქმის „დაკავების მოტივის“ გრაფაში გადატანილია არა დაკავების საფუძვლები, არამედ მასში გადატანილია 08.04.2016წ. სამართალდარღვევის არსი, სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებები.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამოიწიბავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარებაზე/ცნობაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ უარის თქმა, ასევე ასეთი უარის სასარჩელო წესით გაუსაჩივრებლობა. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 56.3 მუხლის თანახმად, საპოლიციო ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე ხორციელდება, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. სკ-ის 1005.2 მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. მითითებული ნორ-

მა ზიანის ანაზღაურების სამართალში თანაბრალეულობის პრინციპის გამოვლინების განსაკუთრებული ფორმაა, რომლის ფუნქციაა უფლების დაცვის პირველად სამართლებრივ საშუალებებთან მიმართებით ზიანის ანაზღაურების როგორც მეორადი ვალდებულებისთვის დახმარებითი მექანიზმის ბუნების განმტკიცება და ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ღონისძიებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის დაქვემდებარება. არ არსებობს პირის არჩევანის თავისუფლება უფლების პირველადი (როგორიცაა მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების კენ მიმართული სარჩელი) და მეორადი (როგორიცაა მოქმედების განხორციელებით გამოწვეული შედეგების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის კენ მიმართული მოთხოვნა) დაცვის საშუალებების გამოყენებას შორის. აღნიშნული სტანდარტი შეეხება შემთხვევებს, როდესაც ღონისძიების წინააღმდეგ მიმართული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება იქნება ფაქტობრივი შედეგის მომტანი ანუ გამოიწვევს ღონისძიების განხორციელებაზე უარის თქმას ან მისი შემდგომი გაგრძელებისგან შეწყვეტას. აღსრულებული ღონისძიების მიმართ პირს გააჩნია მისი უკანონობის დადასტურების ინტერესი, რაც შემდგომ საფუძველად დაედება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების მიზნით წარდგენილ საჩივარზე მიღებულ დადებით გადაწყვეტილებას შესაძლოა მიენიჭოს მარეაბილიტირებელი გარემოების სტატუსი. მოცემულ შემთხვევაში, გ. რ.-ას მიმართ ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა შეადგენდა 01 საათსა და 31 წუთს. არც საქმის მასალებით დასტურდება და არც მხარე მიუთითებს იმის შესახებ, რომ მოსარჩელისთვის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის პერიოდში არსებობდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ საჩივრის განხილვის დაწყებისა და გადაწყვეტის შესაძლებლობა, რათა უფლების დაცვის პირველად საშუალებას მოეტანა ფაქტობრივი შედეგი. ადმინისტრაციული წესით თავისუფლების შეზღუდვის წინასწარ სანქცირებაში ან გადაუდებელ შემთხვევაში მისი გამოყენებისას – შემდგომში კანონიერად ცნობაში სასამართლო არ მონაწილეობს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად, სასამართლო კონტროლი ასრულებს თავისუფლების და უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტიის, დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ სასამართლოს გარეშე დაკავებული პირის ბედის განსაზღვრის პრევენციის ფუნქციას, თუმცა ადმინისტრაციული წესით დაკავების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი იმწუთიერად გამოყენების საჭიროებისა და ხშირად დაკავების მცირე დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, შეუძლებელი ხდება ადმინისტრაციული სახდელის დადების საკითხის გადანყვებამდე, მითი-

თებულ პროცედურაში სასამართლოს ჩართულობა. ამდენად, დაუსაბუთებელია განსახილველ შემთხვევაზე სკ-ის 1005.2 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის გამომრიცხავი გარემოების გავრცლება. სკ-ის 1005.3 მუხლის საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია ერთი მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ. დადგენილება წარმოადგენს მარეაბილიტირებელ გარემოებას. ამდენად, აუცილებელი არაა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან საჩივრის დაკმაყოფილებით ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარება/ცნობა. კასატორს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის და დაკავების უკანონოდ აღიარების მიმართ კანონიერი ინტერესი არ გააჩნია, ვინაიდან მის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა, საქმის წარმოების შეწყვეტით გამოირიცხა მოსარჩელის მიერ იმ ქმედების ჩადენა, რომლის აღკვეთის მიზანსაც ემსახურებოდა ადმინისტრაციული დაკავება, აღნიშნული ფაქტი საკმარისია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარების და ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის აუცილებლობის გარეშე, მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა თავისთავად წარმოშობს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს დადგენილება ადასტურებს პირის მიერ სამართალდარღვევის არჩადენას, რომლის აღკვეთის მიზანსაც ემსახურებოდა ადმინისტრაციული დაკავება, წარმოების შეწყვეტა საკმარისია ზიანის ანაზღაურების საკითხის დასმისათვის, აღნიშნულის პირობა არ არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 251-ე მუხლით გათვალისწინებული წესის, უცილობლად გამოყენება, რომლის თანახმად ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირმა შეიძლება გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხსენებული მუხლის საფუძველზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დაკავების უკანონოდ ცნობისა და უკანონოდ აღიარების მოთხოვნით საჩივრით მიმართა შსს გენინსპექციას, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს, ქ. თბილისის პროკურორს, საჩივრები არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ გარემოებას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელობა ორგანოს მუშაკის დისციპლინური დევნისათვის. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მიზნებს, აღნიშნულს მაშინ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა,

როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, რაც იმთავითვე არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონობას, როდესაც დასტურდება პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თუმცა მის მიმართ დაირღვა ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების მატერიალური ან ფორმალურ-სამართლებრივი (პროცედურული) ნორმები. განსახილველ შემთხვევაში კასატორის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია, აღნიშნულს არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შედეგი, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველასათვის, სასამართლო გადაწყვეტილებით არ დადასტურდა გ. რ.-ას მიერ სამართალდარღვევის ჩადენა, რაც განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. ამდენად, მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლების არსებობის პირობებში, აღარ დასტურდება მოსარჩელის ინტერესი შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მიმართ, რამდენადაც მოსარჩელის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე სასამართლოს აქტით შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სკ-ის 1005-ე მუხლის მოიაზრებს როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებას (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). სკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უკავშირდება რეაბილიტირებული პირისათვის, არ დაიშვება ნორმის ისეთი განმარტება, რომ გამართლებულ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ქმედითი შესაძლებლობა („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონ-

ვენციის“ მე-13 მუხ.). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის შედეგად კომპენსაციის მიღების უფლებას ასევე განამტკიცებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი. საქმეზე „პოლოსიანი და ბაღდასარიანი სომხეთის წინააღმდეგ (Case of Pogosyan and Bagdasaryan v. Armenia, 12.09.2012წ., განაცხადი N22999/06) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ უკანონო მსჯავრდების დადასტურებისას, პირისათვის დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული დანაწესის არარსებობის შემთხვევაშიც (§51). საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით გარანტირებული სტანდარტები არ იზღუდება სამართლის ერთი დარგით ან ერთი კონკრეტული საკანონმდებლო აქტით. 13.3 მუხლის მიხედვით, პირის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. ამ შემთხვევაში ტერმინი „დაკავება“ კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა სახის დაკავებას გულისხმობს, შესაბამისად, ამავე მუხლის საფუძველზე სასამართლოსადმი წარდგენის საპროცესო გარანტია ყველა სახის დაკავებულ თუ სხვაგვარად თავისუფლებაზე ზღუდულ პირზე ვრცელდება. კონსტიტუციით გარანტირებული დაცვა ვრცელდება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებასა და დაპატიმრებაზე, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოწესრიგებულ იმავე ურთიერთობაზეც (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415, 04.02.2005წ. №2/1/263 გადაწყვეტილებები). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უკანონო დაკავება ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი არაქონებრივი უფლების რესტიტუცია, რადგან მას ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს. სამოქალაქო კოდექსის 413.1 მუხლში

მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს, ამ გარემოებათა შორისაა ბრალის ხარისხი და სხვ. (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 08.04.2009წ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფიზიკური თავისუფლების უკანონო აღკვეთით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების საქმეებზე ასანაზღაურებელი ოდენობის გამოანგარიშებისთვის ამოსავალ გარემოებას წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პირს უწევდა ნეგატიური შედეგების თმენა, სოციალურ ურთიერთობებში მონაწილეობის განთავის შეკავება. ამასთან, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრად დამატებით მხედველობაშია მისაღები პირისთვის შესაძლო სამართალდარღვევად შერაცხული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების სიმსუბუქე დანაშაულთან შედარებით, რაც გავლენას ახდენს ადამიანის მორალური განცდების სიღრმეზე, ინსტენსიუობაზე, ორგანოს ბრალის ხარისხი, ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის პერიოდში დაკავებულის უფლებების სხვა ქმედებებით ხელყოფა. მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ოდენობის გამოანგარიშების მიზნით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: მოსარჩელეს შესაძლო სამართალდარღვევად შეერაცხა მსუბუქი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედება („მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ტერიტორიის იერსახის დამახინჯება“), ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა შეადგენდა 91 წუთს, აღნიშნულ პერიოდში ადგილი არ ქონია ორგანოს სხვა ქმედებებით დაკავებულის უფლებების ხელყოფას, მხარეს არ წარმოუდგენია ცნობები მისი ქონებრივი და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ წყდება, მორალური ზიანის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (სუსგ 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17)). საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნილი თანხა (1500ლ) მიყენებული მორალური ზიანის რელევანტური, გონივრული და სამართლიანი არ არის, მოთხოვნილი თანხა არ არის განცდების სიღრმის, დამდგარი ზიანის, გამოყენებული იძულების ფორმის სიმძიმის პროპორციული. მორალური ზიანის შეფასებისას სასამარ-

თლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის ობიექტური გარემოებები და დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ. მოსარჩელის მიმართ გამოყენებული თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიების ნაკლებად ინსტენსიური ხასიათის, თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობის და საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, მახასიათებლები და თავისებურებები, მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიჩნეულ უნდა იქნეს – 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად ეკისრება მის მიერ მითითებულ ყველა მოპასუხეს. სკ-ის 998.1 მუხლის მიხედვით, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საზიანო შედეგის დადგომაში ორგანოს მონაწილეობის საკითხის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამსახურებრივი მოვალეობის საკითხს, კერძოდ იმას, თუ რომელი ორგანოსთვის დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით, შესრულებით ან შეუსრულებლობით (უმოქმედობით) წარმოიშვა ზიანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს უშუალოდ ამ ზიანის გამომწვევ ოქმის შემდგენ, დამკავებელ და სასამართლოში წარმდგენ ორგანოს. ოქმის შემდგენი და მოსარჩელის დამკავებელი პირები მოქმედებდნენ მათთვის სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, შს მინისტრის 30.09.2015წ. №747 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ (ძალადაკარგულია – „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 01.02.2019წ. №9 ბრძანებით) და შს მინისტრის 31.12.2013წ. №993 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ზიანის დადგომა გამოიწვია ადმინისტრაციულმა დაკავებამ, რომელიც 26.03.2016წ. №... ოქმის თანახმად, განახორციელა ძველი თბილისის სამმართველოს I-მა განყოფილებამ. ოქმის შემდგენელი აღასრულებდა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტისთვის და არა უშუალოდ სამინისტროსთვის მინიჭებულ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს. დაკავების მომენტში მოქმედი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 30.09.2015წ. №747 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ 5.2 მუხ-

ლის თანახმად, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი და მასში შემავალი დანაყოფები ახორციელებენ პატრულირებას იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორიები. შესაბამისად, უფლებამოსილებები სამინისტროსა და სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს შორის გამიჯნულია ტერიტორიულობის პრინციპით. ამავე დებულების 5.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას შეადგენდა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის გამოვლენა, თავიდან აცილება და აღკვეთა. დებულების 8.2 მუხლის თანახმად, დეპარტამენტის რაიონული დანაყოფი იყო ძველი თბილისის სამმართველო. ამდენად, იგი აღასრულებდა ტერიტორიული ორგანოსთვის მინიჭებულ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს. დებულების 2.2 მუხლიდან გამომდინარე, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს მინიჭებულ ჰქონდა სახაზინო კოდიც. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საზიანო შედეგის დადგომაში მონაწილეობდა მხოლოდ სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი, რის გამოც მხოლოდ ეს უკანასკნელია სათანადო მოპასუხე, ხოლო დანარჩენი ორგანოები (1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველო, 3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილება) – არასათანადოა. სსკ-ის 178.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოსარჩელე განსაზღვრავს პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია როგორც სათანადო მოპასუხის (სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის), ასევე სხვა არასათანადო მოპასუხეების მიმართ, რის გამოც სარჩელი შესაძლოა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, ხოლო სხვა მოპასუხეებთან მიმართებით არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას

მიაჩნია, რომ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება თავისუფლების უკანონო აღკვეთით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინება, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. რას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და დაეკისროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 150 (ასორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

კასატორმა მოითხოვა მოპასუხეებისთვის სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის გადახდის დაკისრება. სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სასამართლოს გარეშე ხარჯების განაწილების მთლიან პროცესში, მათი პროპორციულად განაწილების მიზნით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა ადვოკატის დახმარებისთვის 9 400 ლარის ანაზღაურების თაობაზე. სსკ-ის 53.1 მუხლის მესამე წინადადების თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. მითითებული ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა

შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი, ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. საკასაციო პალატა თვლის, რომ ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ოდენობა უნდა განისაზღვროს სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგის – მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების გათვალისწინებით. ამასთან, ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები საქმის სირთულე, უფლებების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ასევე ის გარემოებები, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის ეტაპზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, ხოლო პირველი ინსტანციით სამართალწარმოებისას გამართულ სხდომებს მოსარჩელის წარმომადგენელი არ დასწრებია. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხე – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს უნდა დაეკისროს ადვოკატის მომსახურების ხარჯი 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა სასამართლოს გარეშე იმ სხვა ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც არ უკავშირდებიან ადვოკატის დახმარებას. სსკ-ის 37.3 მუხლის თანახმად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს გარეშე ხარჯად მიიჩნევა მხარის მიერ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ფაქტობრივად განეული არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ აუცილებელი ხარჯი. ამასთან, სსკ-ის 215.1 მუხლის თანახმად, მხარე ვალდებულია სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით, მან უნდა წარადგინოს მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, მტკიცებულება მოთხოვნილი ოდენობით ხარჯის რეალურად განევის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიც-

ცების ტვირთს ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს, თუმცა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მეორე მხარე არ თავისუფლდება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულებისაგან, რომლებზეც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას თუ შესაგებელს. ამდენად, კანონის მითითებული დანაწესი მოსარჩელეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან ამტკიცოს მის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა/კანონშესაბამისობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისი ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა ვერ წარმოადგინა მოთხოვნის – ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაუსაბუთებელია კასატორის მითითება გადაადგილების გამო ტრანსპორტირების ხარჯების გაწევის, ასევე დროის მოცდენისა და ამ საფუძვლით ხარჯის ანაზღაურების თაობაზე. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის ეტაპზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, ხოლო პირველი ინსტანციით სამართალწარმოებისას გამართულ სხდომებს (თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.07.2018წ., 28.09.2018წ., 03.12.2018წ., 06.01.2019წ., 11.02.2019წ. სხდომებს) მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი არ დასწრებიან, ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება ჩაბარების მიზნით ეგზავნებათ მხარეებს, რის გამოც ასეთი დოკუმენტის ჩასაბარებლად აუცილებელი არაა პირის მიერ რაიმე ხარჯის გაღება. დაუსაბუთებელია ასევე სააღსრულებო ხარჯის გაწევაზე მითითება, რადგან ამ ეტაპზე არ დასტურდება მოპასუხის მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაზე უარის თქმა. კასატორს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა ხარჯების გაწევასა და ოდენობას ქალაქდთან, ასლების გადაღებასთან, მასალის აკინძვასთან, დოკუმენტების მოძიება მოპოვებასთან დაკავშირებით. საქმის მასალებში წარმოდგენილია სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუმცა არ დასტურდება, რომ მინდობილობა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოცემული დავის წარმოების მიზნით არის გაცემული, შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ვერ იქნება მიჩნეული უშუალოდ განსახილველ საქმეზე განეულ ხარჯად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. გ. რ.-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. რ.-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს გ. რ.-ას სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
5. გ. რ.-ას სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს გ. რ.-ას სასარგებლოდ დაეკისროს ხარჯების გადახდა საადვოკატო მომსახურებისთვის 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;
7. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მუნიციპალიტეტის მერიისთვის მოსარჩელის
სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების
დაკისრება**

**გადანყვებითლება
საქართველოს სახელით**

№ბს-977(კ-23)

20 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე**

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 20 დეკემბერს ა. ციმა და მ. წიმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და შპს „ჯ...ს“ მიმართ. სარჩელის დაზუსტების შემდგომ მოსარჩელებმა მოითხოვეს: 1. დაევალოს ქ. თბილისის მერიას უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა და მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ, საფრთხის შემცველი ტერიტორია – თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარედ, ე.წ. ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე ტერიტორია, შემოსაზღვრული იყოს 2.5 მ. სიმაღლის ჯებირით, რომელსაც გასდევს მავთულხლართი. ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდეს სამაშველო სამსახურის საგუშაგო და განხორციელდეს მაშველების პატრულირება. ასევე, დამონტაჟდეს საინფორმაციო აბრები, სადაც გარკვევით იქნება აღნიშნული ბანაობის აკრძალვა, საშიშროებიდან გამომდინარე; 2. დაევალოს შპს „ჯ...ს“ უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა და მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ, საფრთხის შემცველი ტერიტორია – თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარედ, ე.წ. ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე ტერიტორია, შემოსაზღვრული იყოს 2.5 მ. სიმაღლის ჯებირით, რომელსაც გასდევს მავთულხლართი. ასევე დამონტაჟდეს აბრები, სადაც გარკვევით იქნება აღნიშნული ბანაობის აკრძალვა, საშიშროებიდან გამომდინარე. ადგილზე დამონტაჟდეს ვიდეოთვალეები, რომელთა მეშვეობითაც დაცვის პო-

ლიციის დეპარტამენტი განახორციელებს ეფექტურ კონტროლს; 3. მოპასუხე მხარეს სოლიდარულად დაეკისროს ზიანის ანაზღაურება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით.

მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ 2017 წლის 3 ივლისს ც. ც-ი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა თ...ზე. ც. ბავშვობიდან სპორტით იყო დაკავებული, აქტიურად თამაშობდა კალათბურთს და გატაცებული იყო პარკურით. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ც. ც-იმა ჩამოაყალიბა პარკურის კლუბი „...“. ც. ც-ი ცურვის დროს მორევმა ჩაითრია და ადგილზე მისულმა მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2015 წლიდან ყოველ წელს, ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება არაერთი ადამიანის გარდაცვალების ფაქტი, რასაც სწორედ იქ არსებული მორევი იწვევს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ადგილას არც სამაშველო სამსახურის საგუშაგოა განთავსებული და არც ტერიტორიაა შემოსაზღვრული, უფრო მეტიც, ინფორმაციის შემცველი აბრაც კი ჩამოვარდნილი იყო ზემოაღნიშნული შემთხვევის დროს.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, თბილისის წყალსაცავი („თ...“), მისი ძირითადი ფუნქციების მიუხედავად (თბილისის წყალმომარაგება და მელიორაცია), ქალაქის ძირითად რეკრეაციულ ზონად ჩამოყალიბდა. დღეისათვის, წყალსაცავი და მისი ინფრასტრუქტურა სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო კომპანიების მიერ დაუგეგმავად, ფრაგმენტულად და სტიქიურად იმართება, რაც სრულ შეუსაბამობაშია მსგავსი დატვირთვის მქონე რეკრეაციული ობიექტის მართვის სტანდარტებთან. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული ნორმატიული აქტი „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის და მისი უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“, დღემდე არ არის მიღებული. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლსა და ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლზე მითითებით მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოსახლეობა იმ საფრთხისაგან, რაც მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, გააფრთხილოს მოსახლეობა ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხის შემქმნელი ვითარების არსებობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, ა. ც-ისა და მ. წ-ის სარჩელი მოპასუხე – მპს „ჯ...ს“ მიმართ, მპს „ჯ...სთვის“ უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფისა და მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების დავალების ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გა-

დაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, ა. ც-ისა და მ. ნ-ის სარჩელი დარჩენილი სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში, მიღებული იქნა წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 ივნისის განჩინებით, საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმულ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 28 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე მხარემ დააზუსტა პირველი სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის დავალება, კერძოდ: საფრთხის შემცველი ტერიტორია – თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარედ, ე.წ. ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე ტერიტორია (ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალისწინებით), შემოსაზღვრული იყოს 2.5 მ სიმაღლის ჯებირით, რომელსაც გასდევს მავთულხლართი. ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდეს სამაშველო სამსახურის საგუშაგო და განხორციელდეს მაშველების პატრულირება. ასევე, დამონტაჟდეს საინფორმაციო აბრები, სადაც გარკვევით იქნება აღნიშნული ბანაობის აკრძალვა, საშიშროებიდან გამომდინარე; ამასთან, მოსარჩელე მხარის მეორე სასარჩელო მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ჯ...სათვის“ 100 000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრების თაობაზე, დარჩა უცვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით, ა. ც-ისა და მ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ქმედების განხორციელება, კერძოდ: თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია (ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე – ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალისწინებით) შემოსაზღვროს ჯებირით და დაამონტაჟოს საინფორმაციო აბრები, რომლებზეც აღნიშნული იქნება საშიშროებიდან გამომდინარე ბანაობის აკრძალვა; დანარჩენ ნაწილში ა. ც-ისა და მ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარეობს თბილისის წყალსაცავის შემავსებელი არხი, სადაც

მიედინება მდინარე იორი. №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს „ჯ...“, ხოლო №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. ვიდრე მდინარე იორი შეუერთდება წყალსაცავს, იქმნება ე.წ. ჩანჩქერი და არის სწრაფი დინება. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ც. ც-ი 2017 წლის 3 ივლისს, სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე დაიღუპა. განსახილველი დავის ფარგლებში, სასამართლოს მიერ მოხდა ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, რა დროსაც საინფორმაციო დაფა არ იყო განთავსებული, ასევე საფრთხის შემცველი ტერიტორიაც არ იყო სრულყოფილად შემოსაზღვრული და ნებისმიერ მსურველ პირს ჰქონდა წყალში შესვლის შესაძლებლობა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირების კუთხით სიცოცხლისთვის საფრთხის აღკვეთის ეფექტური ღონისძიებები არ იყო გატარებული.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტებზე, მე-3 პუნქტზე და ყურადღება გაამახვილა ამავე კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტზე, მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით. საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004წ. №515 დადგენილებით) მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე, საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა მოცემულ ეტაპზე ცალსახად არ აკისრებს ვალდებულებას კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სიცოცხლისთვის საფრთხის აღკვეთის ღონისძიებათა გატარების მიზნით და ამასთან, საფრთხე ექმნება სწორედ აღნიშნული ტერიტორიით მოსარგებლე პირებს, სწორედ ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოს წარმოეშობა უფლებამოსილება დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში სიცოცხლისთვის საფრთხის აღკვეთის მიზნით მნიშვნელოვანია შეიზღუდოს მოსახლეობის დაშვება საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე. აღნიშნული მიზნით კი, კონკრეტული ტერიტორიის ჯებირით შემოსაზღვრა და საინფორმაციო აბრეშის განთავსება, წარმოადგენს დასახული მიზნის მიღწევის ეფექტურ საშუალებას. რაც შეეხება

საგუშაგოს განთავსებას და მაშველების პატრულირებას, საქალაქო სა-სამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების საჭი-როება იქმნება იმ ადგილებზე, სადაც ნებადართულია წყალში შესვლა. ვინაიდან, თბილისის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტო-რია შეფასდა, როგორც საფრთხის შემცველი ტერიტორია დამსვენე-ბელთათვის, შესაბამისად, უნდა აიკრძალოს მითითებულ ადგილზე წყალში შესვლა, რაც საგუშაგოების განთავსებისა და პატრულირე-ბის საჭიროებას აღარ ქმნის.

ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელე მხარის მოთხოვნასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონ-სტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის 317-ე, 992-ე, 1005-ე მუხლებზე და ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შე-სახებ დადგენილებაზე, სადაც გამოძიების შეწყვეტის საფუძველად მი-თითებულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმდე-ბათა არარსებობა. ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა გამოძი-ების ეტაპზე გამოკითხულ პირთა ჩვენებებზე, სადაც აღნიშნულია, რომ ც. ც-იმა არ იცოდა ცურვა, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, იგი მა-ინც შევიდა ღრმა წყალში, რაც გახდა მისი დაღუპვის მიზეზი. გამოკით-ხვის ოქმებში ასევე აღნიშნულია, რომ ტრაგიკული შემთხვევის დღემ-დეც ისინი რამდენჯერმე იმყოფებოდნენ და ბანაობდნენ იგივე ტერი-ტორიაზე, თუმცა ც. ც-ი ღრმად წყალში არ შედიოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოძიების ეტაპზე დადგენილი გარემოებები გამორიც-ხავს დამდგარ ზიანსა და მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმდე-ბას (უმოქმედობას) შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას. ც. ც-ის გარდაცვალება წარმოადგენს უბედურ შემთხვევას, რაც გა-მონევეულია ცურვის არცოდნის პირობებში ღრმა წყალში შესვლით. სა-ქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია ქალაქ თბილისის მუნი-ციპალიტეტის მერიას დაეკისრა საფრთხისშემცველ ტერიტორიაზე პრევენციული ზომების გატარება, თუმცა აღნიშნული, ზემოთ მითი-თებული სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, ვერ გახდება მო-სარჩელე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ჩატარებუ-ლი საგამოძიებო მოქმედებებით არ დადგინდა სხვა პირის ბრალეულო-ბა დამდგარ შედეგთან მიმართებით. შესაბამისად, ადგილი არ აქვს მო-პასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რამაც ზიანი გამოიწვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2019 წლის წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება მოპასუხეების-თვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, საა-

პელაციო წესით გასაჩივრდა ა. ც-ის მიერ. ა. ც-მა მითითებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ჯ...სათვის“ 50 000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში, სააპელაციო წესით გასაჩივრდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. აპელანტმა მითითებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ა. ც-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ა. ც-ის და მ. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და დაევალა მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ქმედების განხორციელება, კერძოდ: თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია (ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე – ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალისწინებით) შემოსაზღვროს ჯვბირით და დაამონტაჟოს საინფორმაციო აბრები, რომლებზეც აღნიშნული იქნება საშიშროებიდან გამომდინარე ბანაობის აკრძალვა; ასევე გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ, მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 50 (ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1, 2, მე-4 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ც-ის და მ. წ-ის სარჩელის მოთხოვნა – დაევალოს მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ქმედების განხორციელება, კერძოდ: თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია (ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე – ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალისწინებით) შემოსაზღვროს ჯვბირით და დაამონტაჟოს საინფორმაციო აბრები, რომლებზეც აღნიშნული იქნება საშიშროებიდან გამომდინარე ბანაობის აკრძალვა – არ დაკმაყოფილდა; მოსარჩეეების ა. ც-ის და მ. წ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პირველ, მე-2, მე-5, მე-7, მე-15, მე-16, 50-ე, 61-ე მუხლებზე, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალადაკარგულია 2018 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს 06/27/2018 №2608 კანონით ვებ-გვერდი, 12/06/2014 სარეგისტრაციო კოდი 140070000.05.001.017468) პირველ, მე-3, 56-ე, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის (ამოქმედდა 2018 წლის 27 ივნისის №2608-III კანონით) პირველ, მე-10, 44¹ მუხლებზე და მითითებული ნორმების საფუძველზე განმარტა, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით (ძალადაკარგულია 2018 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს 06/27/2018 №2608 კანონით) და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოების: 2017 წლის 7 დეკემბრამდე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2018 წლის 31 დეკემბრამდე – საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან – საქართველოს მთავრობის ვალდებულება წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე. შესაბამისად, ითვლება, რომ აღნიშნულ ნაწილში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება შეზღუდულია და საკითხის გადაწყვეტა სადავო სამართალურთიერთობის პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (27.12.2017 წლამდე), საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (31.12.2018 წლამდე) და საქართველოს მთავრობის (01.01.2019 წლიდან დღემდე) უფლებამოსილებას.

აღნიშნულიდან გადმომდინარე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები მოსარჩელების: ა. ც-ისა და მ. წ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ: თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია (ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე – ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის

გათვალისწინებით) შემოსაზღვროს ჯგებირით და დაამონტაჟოს საინფორმაციო აბრები, რომლებზეც აღნიშნული იქნება საშიშროებიდან გამომდინარე ბანაობის აკრძალვა – ენინალმდეგება ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და არის კანონშეუსაბამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას, მოწინააღმდეგე მხარის შპს „ჯ...ს“ მიერ, სასამართლო დავალების საფუძველზე, დამატებით იქნა წარმოდგენილი მათთან დაცული დოკუმენტაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის 15/04/2021 წერილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.03.2021 №53100976 გადაწყვეტილება (ნომენკლატურა I კლასი, 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობა), 29.04.2021 №53100976 გადაწყვეტილება (ნომენკლატურა I კლასი, 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობა), 10.04.2021 №5308020 გადაწყვეტილება (ნომენკლატურა I კლასი, 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის რეკონსტრუქცია), შპს „ჯ...ს“ ღრმადელის საფილტრო სადგურის ტერიტორიის შემოღობვის ალბომი 1 – ზღვის მხარე ტერიტორიის შემოღობვა (არქიტექტურულ-სამშენებლო და კონსტრუქციული ნაწილი); ალბომი 2 – საფილტრის მხარე ტერიტორიის შემოღობვა (არქიტექტურულ-სამშენებლო და კონსტრუქციული ნაწილი) (მუშა პროექტი, თბილისი 2020 წელი) და დანართი ფოტო მასალა. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება (მხარეებიც სადავოდ არ ხდიან და აპელანტი ა. ც-იც ადასტურებს), რომ დღეის მდგომარეობით №..., ს/კ ..., საკადასტრო კოდზე განთავსებულ შპს „ჯ...ს“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, აგრეთვე №... საკადასტრო კოდზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მათ შორის თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია (ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე – ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალისწინებით)) განხორციელდა 4 მეტრი არაყრუ დამცავი ღობის მშენებლობა და ტერიტორია შემოფარგლულია რკინის კონსტრუქციის ღობითა და მავთულხლართებით, ღობეზე განთავსებულია სხვადასხვა შინაარსის ბანერები – „ფრთხილად დახრჩობის საფრთხეა“, საშიში ზონაა, ბანაობა აკრძალულია და ა.შ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე და მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც ამ ნაწილში მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნიდა.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების შესახებ ა. ც-ის სასარჩელო მოთ-

ხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-2, მე-6 მუხლებზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე, 209-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე, 992-ე, 1005-ე, 1008-ე მუხლებზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე, 105-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2017 წლის 29 ივლისის დადგენილების (სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ) თანახმად, სისხლის სამართლის №001030717008 საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ამავე დადგენილებით დასტურდება, რომ მოსარჩელის შვილი და მისი მეგობრები დაკავებული იყვნენ ექსტრემალური სპორტით – პარკურით და ვარჯიშობდნენ. გარდაცვლილმა კარგად არ იცოდა ცურვა, გადახტა წყალში და ნაპირზე გამოსვლა ვეღარ მოახერხა. ამდენად, მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ჯ...ს“ ქმედებასა და დამდგარ შედეგს (ც. ც-ის გარდაცვალება) შორის. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ა. ც-ის მიერ.

კასატორი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-10, 29-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან არ იქნა შესრულებული პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყო საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის ეფექტური დაცვა. კასატორის განმარტებით, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის ზღვის აკვატორიაში 2015-2016 წლებში დაფიქსირდა 3-3 ადამიანის გარდაცვალების ფაქტი, ხოლო 2017 წელს – 5 ადამიანის გარდაცვალების ფაქტი. ამასთან, თბილისის ზღვის წყალსაცავსა და მდინარე არაგვის წყლის შემავსებელი არხის, ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე 2016-2017 წლებში დაიღუპა 3-3 ადამიანი. კასატორის მითითებით, აღნიშნული ხაზს უსვამს იმას, რომ ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია საფრთხის შემ-

ცველია.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ 2014 წელს მიღებული „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობას დაეკისრა ვალდებულება დადგენილებით მიეღო ნორმატიული აქტი „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“. იმის მიუხედავად, რომ კანონის მიხედვით, ფორმალურად, სახელმწიფოს აღნიშნული აქტის მისაღებად ვადა 2015 წლის 31 დეკემბრამდე ჰქონდა მიცემული, უკვე მომხდარი არაერთი ფატალური შემთხვევის ფონზე, აღნიშნული ნორმატიული აქტი დღემდე არ არის მიღებული. 8 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ხდება მისი მიღების ვადის გადანევა, ასევე იცვლება მიმღები ორგანო. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კასატორი დამატებით განმარტავს, რომ ახალგაზრდა შვილის გარდაცვალებით მშობელი განიცდის მნიშვნელოვან მორალურ ტკივილს, რაც დაკავშირებულია განგრძობად მორალურ განცდებთან და სტრესულ მდგომარეობასთან. ამდენად, კასატორს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს გასაჩივრებული გადანეცილებების გაუქმებისა და ახალი გადანეცილებით ა. ც-ის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ც-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, ა. ც-ის საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ოქტომბრის გადანეცილებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მხარეთა დასწრებით საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადანეცილებების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ც-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მოსარჩელე ა. ც-ი არის ... წლის ... დაბადებული ც. ც-ის მამა. ც. ც-ი გარდაიცვალა 2017 წლის 3 ივლისს.

2017 წლის 3 ივლისს, საქართველოს შსს გლდანი-ნაძალადევის სამართველოს მე-6 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე №001030717008, ც. ც-ის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2017 წლის 29 ივლისის დადგენილებით, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. დადგენილებაში მითითებულია, რომ ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა ც. ც-ის თვითმკვლელობამდე მიყვანის ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ც. ც-ი, რომელიც მეგობრებთან ერთად წავიდა თ...ზე და კარგად არ იცოდა ცურვა, თ...ში ჩამავალი ჩანჩქერიდან გადახტა და ცურვის არცოდნის გამო ვერ მიაღწია ნაპირამდე, რის გამოც წყალში ჩაიძირა და გარდაიცვალა.

საქმის მასალებში წარმოდგენილი სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2017 წლის 7 სექტემბრის წერილის თანახმად, თბილისის ზღვის აკვატორიაში 2015-2016 წლებში დაფიქსირდა 3-3 ადამიანის გარდაცვალების ფაქტი, ხოლო 2017 წელს – 5 ადამიანის გარდაცვალების ფაქტი. ამასთან, თბილისის ზღვის წყალსაცავის და მდინარე არაგვის წყლის შემავსებელი არხის, ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე 2016-2017 წლებში დაიღუპა 3-3 ადამიანი. ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის წერილით დგინდება, რომ სამსახურის საინფორმაციო ბაზაში აღრიცხული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2015 წლიდან 2020 წლის 21 ივნისის მდგომარეობით, თ...ში გარდაიცვალა 2015 წელს – 4 ადამიანი (მათ შორის 1 არასრულწლოვანი), 2016 წელს – 6 ადამიანი (მათ შორის 2 არასრულწლოვანი), 2017 წელს – 9 ადამიანი (მათ შორის – 2 არასრულწლოვანი), 2018 წელს – 5 ადამიანი (მათ შორის 2 არასრულწლოვანი), 2019 წელს – 4 ადამიანი (მათ შორის 1 არასრულწლოვანი).

საჯარო რეესტრის ამონაწერების (მომზადების თარიღები: 26.10.2015 წელი, 23.12.2015 წელი) თანახმად, №... საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 937 490 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მდებარე: ქალაქი თბილისი, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი ...), მესაკუთრეს წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო №... საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 23 506 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მდებარე: ქალაქი თბილისი, ... (ნაკვ. ...), მესაკუთრედ კი აღრიცხულია შპს „ჯ...“. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ორთოფოტოთი დგინდება, რომ №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირე-

ბულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარეობს არხი, რომელიც უერთდება თბილისის ზღვის წყალსაცავს.

საქმის მასალებში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის წერილი, რომლითაც სამსახური მიმართავს შპს „ჯ...ს“ და განუმარტავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურისთვის ცნობილი გახდა შპს „ჯ...ს“ მიერ თბილისის ზღვის მიმდებარედ (ს/კ ...), მის საკუთრებაში არსებული ღრმაღელის საფილტრე სადგურის სანიტარული ზონის შემოღობვის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯ...ს“ ეთხოვა მათი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ყოფილიყო თ...ში ჩამავალი არხის შემოღობვის სამუშაოები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) მხრიდან. ამასთან, ვინაიდან საპროექტო ღირებულების კონტურს უნდა გაეცლო ქალაქ თბილისის მერიის კუთვნილ ტერიტორიაზე, შპს „ჯ...ს“ ეთხოვა სამშენებლო ნებართვის ასაღებად მიემართა ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურისთვის, რაზედაც ქალაქ თბილისის მერიის მხრიდან მოხდებოდა შუამდგომლობა.

ამასთან, საქმის მასალებში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 4 მარტის, 10 მარტის და 29 აპრილის გადაწყვეტილებები №... (მესაკუთრე – სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი), №... (მესაკუთრე – შპს „ჯ...“) და №... (მესაკუთრე – შპს „ჯ...“) საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების წარმოების, კერძოდ, 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მოწყობის შეთანხმების თაობაზე. ასევე, საქმეში წარმოდგენილია აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების პროექტები და ფოტოსურათები, რომლებზეც ასახულია რკინის კონსტრუქციის ღობე და მავთულხლართები. ღობეზე განთავსებულია სხვადასხვა შინაარსის ბანერები – „ფრთხილად!!! დახრჩობის საფრთხეა“, „საშიში ზონა! ბანაობა აკრძალულია“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ა. ც-ის პირველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ქმედების განხორციელების დავალება. კერძოდ, თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიის (ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე – ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალისწინებით) ჯებირით შემოსაზღვრა და საინფორმაციო აბრების დამონტაჟება, რომლებზეც აღნიშნული იქნება საშიშროებიდან გამომდინა-

რეზანაობის აკრძალვა. მოსარჩელის განმარტებით, მითითებული ტერიტორია საშიში ზონაა, სახელმწიფოს მხრიდან კი არ იქნა შესრულებული მისი პოზიტიური ვალდებულება, საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის თაობაზე (ამ შემთხვევაში, საშიში ზონის შემოსაზღვრა და გამაფრთხილებელი აბრების განთავსება), რასაც მისი არასრულწლოვანი შვილის გარდაცვალება მოჰყვა. თავის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ქმედების განხორციელება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას არ მიეკუთვნება და ამგვარ ვალდებულებას თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოქმედი კანონმდებლობის არცერთი ნორმა არ აკისრებს. მეტიც, ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ამ ეტაპისთვის ა. ც-ის მიერ მითითებული ტერიტორია შემოსაზღვრულია ღობით და მასზე შესაბამისი აბრებიც არის განთავსებული.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ადამიანის სიცოცხლე დაცულია. ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება ადგენს, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას არა მხოლოდ თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახ და უკანონო ხელყოფისგან, არამედ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები თავისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფთა სიცოცხლის დასაცავად (*L.C.B. v. the United Kingdom*, 9 June 1998, § 36, *Reports of Judgments and Decisions* 1998-III; *Osman v. the United Kingdom*, 28 October 1998, § 115, *Reports* 1998-VIII; and *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, no. 46477/99, § 71, *ECHR* 2002-II). კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულების მიზნით, საშუალებების არჩევა ექცევა ხელშემკვრელი სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში. კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველსაყოფად რამდენიმე გზა არსებობს. მაშინაც, როცა სახელმწიფომ ვერ გამოიყენა ერთი კონკრეტული ღონისძიება, რომელსაც ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მას შეუძლია თავისი პოზიტიური ვალდებულება შესრულოს სხვა საშუალებების გამოყენებით (იხილეთ *Ylbeyi Kemalodlu and Meriye Kemalodlu v. Turkey*, no. 19986/06, § 37, 10 April 2012, and *Ciechońska*, cited above, § 65).

ამდენად, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა სახელმწიფოს აკისრებს არამხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას არ ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც – იზრუნოს სიცოცხლისთვის საფრთხის ასაცილებლად და დაიც-

ვას იგი სხვა პირთა მხრიდან ხელყოფისაგან. აღნიშნული უფლების დაცვა გარანტირებული უნდა იყოს როგორც ადეკვატური კანონმდებლობის არსებობით, ისე მისი ეფექტური გამოყენებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონზე (ამოქმედდა 2014 წლის 12 ივნისიდან. ძალადაკარგულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონით, 2018 წლის 1 აგვისტოდან), რომელიც განსაზღვრავდა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური პირების და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს (პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი). აღნიშნული კანონის 56-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) მე-11 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ადგენდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყო „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის და მისი უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის გამოცემა, თუმცა აღნიშნულ ნორმაში 2015-2016 წლებში განხორციელებული ცვლილების შედეგად, მითითებულმა ვადამ გადაინია ჯერ 2016 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო შემდეგ – 2017 წლის 31 დეკემბრამდე. ამასთან, ამავე ნორმაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებით, „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის და მისი უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღების ვალდებულება დაეკისრა საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი ძალადაკარგულია 2018 წლის 1 აგვისტოდან, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონის საფუძველზე, რომელიც დღემდე მოქმედ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებას, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილებებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პი-

რების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონის თავდაპირველი რედაქციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ადგენდა, რომ საქართველოს მთავრობას 2019 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყო „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიღება. აღნიშნულ ნორმაში 2018-2021 წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი, მითითებულია ვადაშვად გადანიშნა ჯერ 2020 წლის 1 იანვრამდე, შემდეგ – 2021 წლის 1 იანვრამდე, შემდეგ – 2022 წლის 1 იანვრამდე, ხოლო შემდეგ – 2023 წლის 1 იანვრამდე, საბოლოოდ კი 2022 წელს განხორციელებული ცვლილებით, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონის 72-ე მუხლი ამოღებულ იქნა და აღნიშნულ კანონს დაემატა 44¹ მუხლი (სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავება), რომლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით საქართველოს მთავრობა ადგენს წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესს.

ამდენად, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 29 მაისის და 2018 წლის 27 ივნისის კანონების ზემოაღნიშნული ნორმების ურთიერთშეჯერების შედეგად დგინდება, რომ სახელმწიფოს, მიუხედავად შესაბამისი კონკრეტული რეგულაციების განსაზღვრის საჭიროებაზე მითითებისა, 2015 წლიდან დღემდე არ აქვს მიღებული წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის შესახებ ნორმატიული აქტი. ამდენად, მართალია სახელმწიფო ერთი მხრივ, აანალიზებს საკითხის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების საჭიროებას, თუმცა მეორე მხრივ, გატარებული ღონისძიებები არ არის ეფექტური. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)ზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება ამ დრომდე ძალაში არ შესულა, თუმცა წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროება დროთა განმავლობაში მეტად მწვავედება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ჯევრიოლლუ თურქეთის წინააღმდეგ“ (CEVRÝOĐLU v. TURKEY (საჩივარი ნო. 69546/12), 04.10.2016 წელი),

სადაც განმცხადებლის არასრულწლოვანი შვილი კერძო სამშენებლო მოედანზე არსებულ წყლით სავსე, დიდ ორმოში ჩავარდნის შედეგად გარდაიცვალა, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დაადგინა იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ მართალია უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით არსებობდა გარკვეული რეგულაციები, რაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამშენებლო ობიექტზე და რასაც შეეძლო დაეცვა მომჩივნის შვილის სიცოცხლე, თუმცა იმ პერიოდში მოქმედმა სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ, ვერ უზრუნველყო სამშენებლო საქმიანობიდან მომდინარე სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი რისკების თავიდან აცილება, რადგან არ არსებობდა ადეკვატური და განსაზღვრული საზედამხედველო მექანიზმი, რომელიც პრაქტიკაში ეფექტიანად იფუნქციონირებდა და ეფექტიანად იქნებოდა აღსრულებული შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, უსაფრთხოების რელევანტური ღონისძიებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

მოცემულ შემთხვევაში, ა. ც-ის პირველი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილებასა და კომპეტენციასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიაზე (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004წ. №515 დადგენილებით), რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. აღნიშნული ქარტიის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, როგორც წესი, სახელმწიფო უფლებამოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით. კონსტიტუციის 75-ე მუხლის

პირველი პუნქტის შესაბამისად კი, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია კანონმდებლობის დაცვით თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ან ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას და რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც კანონით არ გამოირიცხება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებიდან. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით - ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

მითითებული ნორმების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებას წარმოადგენს მიიღოს იმგვარი გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონმდებლობით პირდაპირ არ არის დაკისრებული თვითმმარ-

თველობის ორგანოსთვის, თუმცა არ მიეკუთვნება სხვა უწყების განსაკუთრებულ კომპეტენციათა რიცხვს და ამავდროულად საკითხი შეეხება თვითმმართველობის ორგანოს იურისდიქციის ფარგლებში მყოფ მოსახლეობას. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა მოცემულ ეტაპზე ცალსახად არ აკისრებს ვალდებულებას კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სიცოცხლის საფრთხის აღკვეთის ღონისძიებათა გატარების მიზნით, მითითებული ტერიტორია წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას და ამასთან, საფრთხე ექმნება სწორედ აღნიშნული ტერიტორიით მოსარგებლე პირებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოს წარმოეშობა უფლებამოსილება დაარეგულიროს არსებული საკითხი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება შეზღუდულია და საკითხის გადაწყვეტა სადავო სამართალურთიერთობის პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (27.12.2017 წლამდე), საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (31.12.2018 წლამდე) და საქართველოს მთავრობის (01.01.2019 წლიდან დღემდე) უფლებამოსილებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს კანონმდებლობით ეკისრებოდათ „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღება, რაც დღეის მდგომარეობითაც არ არის მიღებული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას კი, როგორც იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომლის მომიჯნავედაც მდებარეობს საფრთხის შემცველი ზონა (თბილისის ზღვის წყალსაცავი ე.წ. ჩანჩქერი), ეკისრება შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარების ვალდებულება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლიდან დღემდე თბილისის ზღვის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე არაერთი ადამიანი დაიხრჩო წყალში, რაც ადასტურებს, რომ მითითებული ტერიტორია, თავისი ბუნებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს უსაფრთხოების ზომების გატარებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერების (მომზადების თარიღები: 26.10.2015 წელი, 23.12.2015 წელი) თანახმად, №... საკადასტრო კოდზე

რეგისტრირებული 937 490 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მდებარე: ქალაქი თბილისი, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი ...), მესაკუთრეს წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, სწორედ ამ მიწის ნაკვეთს ესაზღვრება არხი, რომელიც უერთდება თბილისის ზღვის წყალსაცავს, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ ქალაქ თბილისის მერიას ეკისრებოდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება.

ამასთან, რაც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ ა. ც-ის მიერ სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული ტერიტორია ამ დროისთვის შემოსაზღვრულია ღობით და მასზე შესაბამისი აბრებიც არის განთავსებული, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც საქმის მასალებით დასტურდება და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ, აღნიშნული სამუშაოები განხორციელებულია არა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, არამედ შპს „ჯ...ს“ მიერ. საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე, შპს „ჯ...ს“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ღობის მოწყობა და აბრების განთავსება განხორციელდა კომპანიის ნების საფუძველზე, ვინაიდან საკითხი იყო სენსიტიური. ამასთან, მართალია საქმის მასალებში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის წერილიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) მხრიდან თ...ში ჩამავალი არხის შემოღობვის სამუშაოები შპს „ჯ...მა“ მერიის თხოვნით განახორციელა, თუმცა მითითებული გარემოება ვერ გახდება აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, მით უფრო იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ამგვარი სამუშაოების განხორციელებას მოცემული საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე, მის ვალდებულებად არ მიიჩნევდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ა. ც-ის პირველი სასარჩელო მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე, საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაევალოს ქმედების განხორციელება, კერძოდ: თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია (ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე – ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალისწინებით) შემოსაზ-

ღვრის ჯგერით და დაამონტაჟოს საინფორმაციო აბრები, რომლებზეც აღნიშნული იქნება საშიშროებიდან გამომდინარე ბანაობის აკრძალვა.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ა. ც-ის მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ხოლო ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მითითებული კოდექსის 413-ე მუხლი კი ადგენს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის), რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან

ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. მითითებული დანაწესით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არსებითაა დადასტურდეს ქმედების უკანონობა, ხოლო ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მონინააღმდეგე მხარეთა აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2017 წლის 29 ივლისის დადგენილებით, ც. ც-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უსაფუძვლოა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 ივნისის განჩინებაზე (საქმე №ბს-1031(კ-20)), სადაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „24.09.2010წ. კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც მანამდე პრეიუდიციულ ძალას ანიჭებდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ცალკეულ ფაქტთან მიმართებით, ცვლილება განიცადა აგრეთვე სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტმა, რის შედეგადაც სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს აღარ წარმოადგენს საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვა. ხსენებული ცვლილებებით კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოხდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცებითი სტანდარტების ურთიერთგამიჯვნა. საპროცესო კანონმდებლობაში შე-

ტანილი ცვლილებების შედეგად, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოება არაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე როგორც სისხლის სამართალწარმოება – სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე. ამასთან, პრეიუდიციული ძალის არ ქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლოს არ ერთმევა უფლებამოსილება იმსჯელოს განაჩენზე, მისი არსებობის შემთხვევაში, როგორც წერილობით მტკიცებულებაზე და გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მასში ასახული ფაქტობრივი გარემოებები (სუსგ №ბს-144-141(2კ-14), 22.01.2015წ.). ამდენად, არ არის სრულიად გამორიცხული სისხლის სამართლის საქმის შედეგის განსხვავება ადმინისტრაციული საქმის შედეგისგან და პირიქით. სხვაობა შესაძლოა ახსნილ იქნეს სამართლის შესაბამისი დარგით მოწესრიგებული პასუხისმგებლობის სხვადასხვაგვარი მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობებით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili-Bolkvadze v. Georgia), no. 58240/08, §87). სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო ინდივიდის დასჯას, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივის – დელიქტური სამართალურთიერთობის მონაწილე ორგანოს მიერ ზიანის მიყენებით ხელყოფილი უფლების აღდგენას. პასუხისმგებლობის წინაპირობების სხვაობა შედეგად იწვევს მტკიცების სტანდარტების სხვადასხვა საფეხურის გამოყენებას სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე. ამდენად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებლად მომდებარე სკ-ის 1005.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობა“.

მოცემულ შემთხვევაში, ა. ც-ის მეორე სასარჩელო მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ჯ...სათვის“ 50 000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრების თაობაზე, დაკავშირებულია მოსარჩელის შვილის გარდაცვალების ფაქტთან, რასაც ა. ც-ი სახელმწიფოს მიერ ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ პოზიტიური ვალდებულების დაუცველობას, კონკრეტულად კი თბილისის ზღვის ე.წ. ჩანჩქერის ტერიტორიაზე შემოღობვისა და შესაბამისი გამაფრთხილებელი აბრების არარსებობას უკავშირებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა. ც-ის პირველი სასარჩე-

ლო მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ქმედების განხორციელების თაობაზე, საფუძვლიანია, შესაბამისად, საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზეც, ვინაიდან დგინდება მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა (უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მხარე ითხოვს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრებას ორი მოპასუხის მიმართ სოლიდარულად, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ც-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით.

ამასთან, რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას შპს „ჯ...სთვის“ 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში ა. ც-ის მიერ ქმედების განხორციელების დავალების, შესაბამისი ტერიტორიის შემოღობვისა და მაფრთხილებელი ნიშნების მოწყობის შესახებ მოთხოვნა შპს „ჯ...ს“ მიმართ არ არის დაყენებული. აღსანიშნავია, რომ მართალია თავდაპირველად წარმოდგენილი სარჩელით ა. ც-ი ქმედების განხორციელების დავალებას შპს „ჯ...ს“ მიმართაც ითხოვდა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, ა. ც-ის სარჩელი, მოპასუხე – შპს „ჯ...ს“ მიმართ, შპს „ჯ...სთვის“ უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფისა და მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების დავალების ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. საერთო სასამართლოებში საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის მონაცემებით კი დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 იანვრის განჩინებით, ა. ც-ის აღნიშნული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი, რაც მის მიერ არ გასაჩივრებულა. მეტიც, ა. ც-იმა 2020 წლის 20 მაისს ახალი სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე შპს „ჯ...ს“ მიმართ, ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით. კერძოდ, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეს დაევალოს თბილისის ზღვის წყალსაცავის, ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია, ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე შპს „ჯ...ს“ საკუთრებაში არსებული ტერიტორიის საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალისწინებით, შემოსაზღვროს 2.5 მ. სიმაღლის მყარი კონსტრუქციით, რომელსაც გასდევს მავთულხლართი, ასევე დაამონტაჟოს საინფორმაციო აბრები, რომელზეც აღ-

ნიშნული იქნება საშიშროებიდან გამომდინარე ბანაობის აკრძალვა; ადგილზე განხორციელდეს დაცვის უწყვეტი ვიდეომონიტორინგი; შპს „ჯ...მა“ უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული ხიდიდან მარჯვენა მხარეს ტერიტორიის შემოსაზღვრა 2.5 მ სიმაღლის მყარი კონსტრუქციით, რომელსაც გასდევს მავთულხლართი. აღნიშნულ საქმეზე 2022 წლის 30 მაისს გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე მხარემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა. კერძოდ, დაზუსტებული მოთხოვნის ფარგლებში მოსარჩელემ მოითხოვა დაევალოს შპს „ჯ...ს“ თბილისის ზღვის ნყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელოს დაცვის უწყვეტი ვიდეომონიტორინგი. დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული მოსარჩელის მიერ მისი გამოხმობის გამო. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის განჩინებით კი, მოცემული საქმის წარმოება შეწყდა, რაც მოსარჩელე მხარეს ასევე აღარ გაუსაჩივრებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც მოცემული დავის განხილვის ფარგლებში მოსარჩელის მოთხოვნას არ წარმოადგენს შპს „ჯ...ს“ მიმართ ქმედების განხორციელების დავალება და აღნიშნული მოპასუხის ქმედება ვერ იქნება შეფასებული საკასაციო სასამართლოს მიერ, შესაბამისად, ვერ დგინდება მიზეზობრივი კავშირი შპს „ჯ...ს“ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს. ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. ც-ის მოთხოვნა შპს „ჯ...სთვის“ 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს ა. ც-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ც-ის სასარგებლოდ, დავის საგნიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად უნდა დაეკისროს მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დარჩენილი 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად; ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ც-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1 000 (ათასი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დარჩენილი 1 000 (ათასი) ლარი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად; ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ც-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1 250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დარჩენილი 1 250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. ა. ც-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება ა. ც-ის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს ქმედების განხორციელება, კერძოდ: თბილისის ზღვის წყალსაცავის ე.წ. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია (ტურბინიდან ხიდამდე და ხიდიდან სანაპირომდე – ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ზოლის გათვალის-

წინებით) შემოსაზღვროს ჯგუხირით და დაამონტაჟოს საინფორმაციო აბრები, რომლებზეც აღნიშნული იქნება საშიშროებიდან გამომდინარე ბანაობის აკრძალვა;

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ც-ის სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის ანაზღაურება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით;

6. ა. ც-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ც-ის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დარჩენილი 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ც-ის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1 000 (ათასი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დარჩენილი 1 000 (ათასი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ც-ის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1 250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დარჩენილი 1 250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

10. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დისკრიმინაციული მოპყრობის გამომორაღმურა ზიანის
ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-363(4კ-23)

03 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემაღვნილობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე**

დავის საგანი: დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 05 ოქტომბერს გ.ტ-იმ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეები: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

საჩივრის თანახმად, 2019 წლის მაისიდან იმყოფებოდა ...ის №... სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მიუთითებს, რომ ექვსი წელია არის ვეგანი და იკვებება მცენარეული ცილებით, ცხიმებით და ნახშირწყლებით. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებისთანავე ადმინისტრაციას აცნობა, რომ იყო ვეგანი და საჭიროებდა სპეციალურ კვების რაციონს. მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად თხოვნისა, ცხიმიანი ყოფნის პერიოდის განმავლობაში არ მიეწოდებოდა საჭირო საკვები. ადმინისტრაციაში განუმარტეს, რომ ანალოგიურ შემთხვევას აქამდე ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად არ აქვთ სპეციალური საკვები ვეგანებისათვის, არ ჰყავთ მზარეული რომელიც მოამზადებს ვეგანურ საკვებს და ასევე დაწესებულებაში არ არის დიეტოლოგი, რომელსაც ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია შეადგინოს ვეგანებისათვის შესაბამისი კვების მენიუ. მიუთითებს, რომ ადგილობრივ მაღაზიაში გაყიდვაში არ იყო ვეგანური პროდუქტი და ვინაიდან არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო ვეგანური საკვები, მათ შორის მისთვის აუცილებელი ვიტამინები და ნივთიერებები, შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები. მოსარ-

ჩელის განმარტებით, პატიმრობის განმავლობაში, კერძოდ, 2019 წლის მაისიდან – 2019 წლის 7 ნოემბრამდე მიღებული კალორიების ჯამური ოდენობა და რაციონი დღის განმავლობაში შეადგენდა ბევრად ნაკლებს, ვიდრე ესაჭიროება ზრდასრულ ადამიანს ნორმალური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად. მიუთითებს, რომ არაერთხელ მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციას და პენიტენციურ დეპარტამენტს, თუმცა უშედეგოდ. მიუთითებს, რომ 2019 წლის 01 ივლისის 01/217979 წერილის საპასუხოდ, პენიტენციურ დეპარტამენტს ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგამს, შესაბამისად მიიჩნევს, რომ ციხეში იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი მსოფლმხედველობის ნიშნით, რადგან ვეგანობა წარმოადგენს მის მსოფლმხედველობას. აკონკრეტებს, რომ ყოველდღიურად განიცდიდა შიმშილს და იღებდა მხოლოდ იმ საკვებს, რომელიც არსებული შეთავაზებული საკვებიდან იყო ვეგანური, რაც მისივე განმარტებით, არ წარმოადგენდა ადამიანისათვის საკმარის ულუფას. განიცდიდა სტრესს შიმშილობის გამო, ადგილი ჰქონდა წონის კლებას რამაც შელახა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და შესაბამისად მიიჩნევს, რომ დისკრიმინაციის შედეგად მიადგა მორალური ზიანი. აპელირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ ბრძანებაზე, რომლითაც დამტკიცებულია პატიმართა კვების რაციონი და მიუთითებს, რომ აღნიშნულით არ არის განსაზღვრული ვეგანებისათვის სპეციალური კვების მენიუ. მიუთითებს, რომ ბრძანებით გათვალისწინებულია სპეციალური დიეტის დანიშვნა ექიმის დანიშნულებით. მოსარჩელის მტკიცებით, ქმედითი ღონისძიებების განუხორციელებლობით მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას იმ პირებთან მიმართებით, რომელთა მსოფლმხედველობასაც არ ეწინააღმდეგება აღნიშნული კვების რაციონი, ასევე, იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ბრძანების თანახმად, განსაკუთრებული საჭიროებების შემთხვევაში ენიშნებათ სპეციალური კვება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით გ.ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; დადგინდა მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან მოსარჩელის გ.ტ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტი კულტურის (ვეგანობის) ნიშნის მიხედვით; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო-

სა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევაღათ სოლიდურად მოსარჩელის გ.ტ-ის სასარგებლოდ დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლის პირველი ნაწილი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები, მიუთითა ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაზე და განმარტა, რომ აღნიშნული უფლება გულისხმობს, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლებას, რაც თავის მხრივ დაცული სფეროს შემადგენლობაში ასევე მოიცავს პირის უფლებას საკუთარი პრინციპებით და შეხედულებებისამებრ იკვებოს. ამასთან, პირის დამოკიდებულება საკუთარი პრინციპებისა და შეხედულებებისადმი ქმნის მის ღირსებას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „ევროპის ციხის წესების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის №(2006)2 რეკომენდაციაზე და განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უნდა იყოს ყველა რელიგიის, კულტურის და ა.შ. გათვალისწინებით, შესაბამისი საჭიროების მქონე მსჯავრდებულების სათანადო კვების რეჟიმი, კალორიების საჭირო რაოდენობის დეტალური განსაზღვრით და ა.შ. ისევე, როგორც სხვა დანარჩენი მსჯავრდებულებისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გასათვალისწინებლად მიიჩნია საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/ნ ერთობლივი ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმები და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმები არ ითვალისწინებს ისეთი სპეციალური საჭიროებების მქონე მსჯავრდებულების (ბრალდებულების) კვების რეჟიმს, კალორიულობას ა.შ, როგორიც არის ვეგანი, ვეგეტარიანელი და ა.შ.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ პატიმრის დაწესებულებაში მოთავსების დღიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებისთვის ცნობილი იყო, რომ გ.ტ-ი იყო ვეგანი და საჭიროებდა განსხვავებულ კვებას და მან არაერთხელ მიმართა დაწესებულების ადმინისტრაციას მისი სათანადო საკვებით უზრუნველყოფის მოთხოვნით, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ 2019 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, №... პენიტენციურ დაწესებულებაში იგეგმებოდა ცალკე მენიუს

შემუშავება (კვების რაციონის მოდიფიცირება) ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის, თუმცა ზუსტი პერიოდი არ იყო ცნობილი თუ როდის მოხდებოდა ცალკე მენიუს შემუშავება ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის. გარდა ვეგანი მსჯავრდებულებისათვის კვების ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობისა, სასამართლოს მსჯელობით, განსახილველ შემთხვევაში, შესაბამისმა პენიტენციურმა დაწესებულებამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულადაც ვერ უზრუნველყო შესაბამისი პროფილის ექიმის მიერ შედგენილი კვების რეჟიმის მიხედვით, მოსარჩელის სათანადოდ სპეციალური კვება. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ №... პენიტენციურ დაწესებულებაში 2019 წლის 28 მაისიდან, 2019 წლის 07 ნოემბრამდე არ ჰყავდათ დიეტოლოგ-ნუტრიციოლოგის სპეციალობის მქონე ექიმი.

სამართლებრივი შეფასების შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ.ტ-ის მიმართ, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, განხორციელდა გონივრულ საფუძველს მოკლებული და გაუმართლებელი თანაბარი მოპყრობა იმ პირობებში, როდესაც იგი სხვა, დანარჩენი მსჯავრდებულებისაგან არსებითად განსხვავებულ პირობებში იმყოფებოდა მისი კვებითი საჭიროებების თვალსაზრისით. აღნიშნულის საფუძველით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მის მიმართ დისკრიმინაციის დადგენის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ვერ იქნა დაძლეული კანონით მათზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის და აქედან გამომდინარე, მის მიერ განცდილი სტრესის, ფიზიკური (ჯანმრთელობის) მდგომარეობის გაუარესების, უარყოფითი ემოციების ხარისხის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნილი 10 000 ლარი არ წარმოადგენს ადეკვატურ ოდენობას, ამდენად, სარჩელი აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – 5 000 ლარის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელე გ.ტ-ის და მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები

არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნევს აპელანტების (მოპასუხეები) მიერ სააპელაციო საჩივრებში მითითებული არგუმენტაცია „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტზე (განსაკუთრებული კვების რეჟიმის საჭიროების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ექიმის მიერ სამედიცინო ჩვენების შესაბამისად დადგენილი სამკურნალო კვებისათვის აუცილებელი პროდუქტებით, ამ დანართის მოთხოვნების გათვალისწინებით) და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს ის შეფასება, რომ მითითებული ნორმა არ შეიძლება მიჩნეული იქნეს არსებითად სხვა პირობებში მყოფი მსჯავრდებულების (ვეგანების, ვეგეტარიანელების და ა.შ.) კვების რეჟიმის ნორმატიულ მოწესრიგებად, რადგან იგი შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულების კვების საკითხებს მათი მკურნალობის შესაბამისად, ექიმის დანიშნულებით მაშინ, როდესაც მოცემულ შემთხვევაში ვეგანობა არ წარმოადგენს დაავადებას და იგი კონკრეტული პირის კულტურის და ღირსების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ასეთი საჭიროებების მქონე მსჯავრდებულების სათანადო (სპეციალური) კვება, საჭირო კალორიულობით განსაზღვრული უნდა იყოს სხვა, დანარჩენი მსჯავრდებულების მსგავსად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2019 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით №... პენიტენციურ დაწესებულებაში იგეგმებოდა ცალკე მენიუს შემუშავება (კვების რაციონის მოდიფიცირება) ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის თუმცა ზუსტი პერიოდი არ იყო ცნობილი დაწესებულებისთვის, თუ როდის მოხდებოდა ცალკე მენიუს შემუშავება ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის. ყურადღება გამახვილდა სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის იმ განმარტებაზე, რომ ცალკე მენიუ ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის დღეის მდგომარეობითაც არ არის შემუშავებული (კვების რაციონის მოდიფიცირება) (იხ. 15.12.2022წ. სასამართლო სხდომის ოქმი). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ვეგანი მსჯავრდებულებისათვის კვების ნორმატიული-სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის ფაქტი, რაც პალატის მსჯელობით, ადასტურებს, რომ არ იქნა გათვალისწინებული პირის ინდივიდუალური საჭიროება, რითაც დაირღვა თანასწორობის უფლება. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი

კანონმდებლობით ბრალდებულის/ მსჯავრდებულის კვების ნორმების განსაზღვრაზე პასუხისმგებელ ორგანოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთობლივად წარმოადგენენ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აპელანტების (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) პოზიცია არასათანადო მოპასუხედ მიჩნევის თაობაზე მიჩნეული იქნა უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად.

რაც შეეხება პენიტენციური დაწესებულების მიერ მოსარჩელისთვის ფაქტობრივად მიწოდებულ საკვებს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით საქმეში არ არის წარმოდგენილი იმ გარემოების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები, რომ მოსარჩელე №... პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის სრული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო სათანადო სპეციალური კვებით, შესაბამისი პროფილის ექიმის მიერ შედგენილი კვების რეჟიმის მიხედვით. საგულისხმოდ იქნა მიჩნეული ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ პერიოდში, №... პენიტენციურ დაწესებულებაში დიეტოლოგ-ნუტრიციოლოგის სპეციალობის მქონე ექიმი არ ჰყავდათ. ამასთან, ყურადღება გამახვილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით გამოკითხული პირების (პ. ჯ-ა და შ. ხ-ე) იმ განმარტებაზე, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდნენ მოსარჩელესთან ერთად და დაადასტურეს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსარჩელეს აწვდიდნენ იგივე საკვებს, რასაც მათ და იგი ფაქტობრივად რჩებოდა მშიერი.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აპელანტის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური) მითითება, რომ მოსარჩელეს დაწესებულებაში მოქმედი მენიუებიდან მიეწოდებოდა მცენარეული საკვები, ასევე სპეციალურად მოხარშული და უმი მცენარეული პროდუქტები, ვერ იქნა მიჩნეული მოსარჩელის სათანადო კვებით უზრუნველყოფის დამადასტურებელ გარემოებად. ამდენად, სრულად იქნა გაზიარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელე გ. ტ-ის მიმართ, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან განხორციელდა გონივრულ საფუძველს მოკლებული და გაუმართლებელი თანაბარი მოპყრობა იმ პირობებში, როდესაც იგი სხვა, დანარჩენი მსჯავრდებულებისაგან არსებითად განსხვავებულ პირობებში იმყოფებოდა მისი კვებითი საჭიროებების თვალსაზრისით.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, სააპელა-

ციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (საქმეზე №ბს-972-936(3კ-08) 08.04.2009 წელი და საქმეზე №ბს-890(კ-18) 26.11.2019) და განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროსასამართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი და ევროსასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება მორალური ზიანის ოდენობასთან მიმართებით და მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის, მისი ხანგრძლივობის და აღნიშნულიდან გამომდინარე განცდილი სტრესის, ფიზიკური (ჯანმრთელობის) მდგომარეობის გაუარესების, უარყოფითი ემოციების ხარისხის გათვალისწინებით, მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიიჩნია 5 000 (ხუთი ათასი) ლარის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა გ.ტ-ის მიერ მორალური ზიანის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ასევე გასაჩივრდა მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილზე.

კასატორი – გ. ტ-ი არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის სრულად დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში. აღნიშნულ ნაწილში ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას მიიჩნევს არასაკმარისად და აღნიშნავს, რომ ვეგანი პირებისათვის სათანადო კვება ცხეში, სადაც ისინი სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ იმყოფებიან, სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი არღვევს კონსტიტუციით განმტკიცებულ ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რწმენის თავისუფლება, ღირსების ხელშეუვალობა და დისკრიმინაციისაგან დაცვის კონსტიტუციური პრინციპი.

კასატორი აპელირებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს 2020 წლის 4 ივნისის №1/1/1404 გადაწყვეტილებაზე („ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“) და 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილებაზე („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13) სადაც მითითებულია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს იმგვარი რწმენის დაცვას, რომელიც დამაჯერებლობის, სერიოზულობის, თანმიმდევრულობისა და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს აღწევს. მიიჩნევა, რომ ვეგანი პირები სწორედ ამ სტანდარტს აკმაყოფილებენ.

კასატორის განმარტებით, ციხეში ყოფნის პერიოდში არ ჰქონდა სტაბილური კვების შესაძლებლობა. მაშინ, როდესაც ციხეში პატიმრები რამდენიმე სხვადასხვა კერძით იკვებებოდნენ, მას უწევდა შიმშილი ან მცირე ულუფით კვება. ექიმებმაც კი არ იცოდნენ, რას ნიშნავს იყო ვეგანი და არ ესმოდათ მისი მოთხოვნის არსი. აღნიშნავს, რომ შეთავაზებული ჰქონდა მხოლოდ ერთი კერძი, ამასთან, კვება სეზონების მიხედვით და თვეში კვირების მიხედვით არ იცვლებოდა, განსხვავებით რიგი პატიმრებისა. კასატორის მითითებით არ მიეწოდებოდა ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ვიტამინები, როგორიცაა B12, D ვიტამინი. საქმეში წარმოდგენილი კვების მენიუ შესთავაზეს 28 აგვისტოდან, ხოლო 28 მაისიდან – 28 აგვისტომდე სრულიად მშვიდი იყო. ამასთან, საჭირო საკვები ციხეში არც იყიდებოდა და არაერთი თხოვნის მიუხედავად, არც შეტანის ნებას რთავდნენ. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ ციხეში არ იყო სპეციალური დიეტოლოგი, რომელსაც ექნებოდა ცოდნა ვეგანებისათვის შეედგინა სპეციალური მენიუ.

საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი სარჩელი შეეხება დისკრიმინაციას ვეგანური ნიშნით. საჩივარში მიუთითებს ასევე ჰაერის, წყლის, სანიტარული ნორმების დაუცველობაზე და მისგან გამომდინარე ნეგატიურ შედეგებზე, საკანში სივრცის სიმცირესა და არასათანადო პირობებზე, საგამოძიებო იზოლატორში სტომატოლოგიური კაბინეტის არ არსებობაზე და მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყველა ეს კრიტერიუმი, მათ შორის ჯანმრთელობის შელახვა, ღირსების შელახვა, შიმშილობა და აქედან გამომდინარე სტრესი – დისკრიმინაციული დამოკიდებულება. მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 08 მაისის №111/ნ ბრძანებაზე, რომლითაც დადგენილია საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ნორმები. განმარტავს, რომ ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების მაჩვენებლების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის მიზნით ტარდება ანა-

ლიზები ან სხვა რაიმე სახის სამედიცინო პროცედურა, რომელიც თვალ-საჩინოს გახდის მაჩვენებლების შესაბამისობას ან შეუსაბამობას კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან. მიუთითებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში არ განხორციელებულა რაიმე სახის ანალიზის ჩატარება, შესაბამისად არ იყო უზრუნველყოფილი მისი როგორც პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლის სტანდარტი. აპელირებს ამავე ბრძანებით განსაზღვრულ, მინერალური ნივთიერებების და ვიტამინების საჭირო ოდენობებზე და მიიჩნევს, რომ მისთვის შესაბამისი ანალიზების ჩატარებით შესაძლებელი იქნებოდა იმ გარემოების შეფასება, ხორციელდებოდა თუ არა ციხის ადმინისტრაციის მხრიდან საკვები ნუტრიენტების განსაზღვრული ოდენობით მიწოდება. კასატორი მიიჩნევს, რომ 6 თვის მანძილზე ციხეში ყოფნას და მის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას 5 000 ლარი ვერ დააკომპენსირებს. შესაბამისად, ითხოვს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას და მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისთვის სოლიდარულად – 10 000 ლარის დაკისრებას.

კასატორი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და განმარტავს, რომ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები – შინაარსისა და ფორმალური გარემოებების გათვალისწინებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და შესაბამისად არის კანონიერი აქტი. ერთობლივი ბრძანების მატერიალურ მხარესთან მიმართებით განმარტავს, რომ ბრძანებით დამტკიცებული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო კვების ორგანიზებისათვის აუცილებელ ნორმებს. მისივე მსჯელობით, ერთობლივი ბრძანებით მართალია არ არის განსაზღვრული კონკრეტული მენიუ ვეგანებისათვის, თუმცა გათვალისწინებულია სპეციალური კვების – დიეტის შედგენის შესაძლებლობა ექიმის დანიშნულების შესაბამისად. მიუთითებს დასახელებული ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტზე და განმარტავს, რომ განსაკუთრებულ სიტუაციებსა და პირობებში დასაშვებია დადგენილი კვების რეჟიმის შეცვლა და ახლის შემუშავება სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მონაწილეობით. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ გ.ტ-ი პატიმრობაში იმყოფებოდა 2019 წლის მაისიდან – 2019 წლის 7 ნოემბრამდე, მიუთითებს №... პა-

ტიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2019 წლის 12 სექტემბრის წერილზე, რომელიც ადმინისტრაცია აცხადებს, რომ დაწესებულებისათვის ცნობილი იყო გ.ტ-ის კვების სპეციალური საჭიროების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფდა გ.ტ-ის სრულყოფილ კვებას. მას საკვებად გადაეცემოდა ისეთი პროდუქტები, რომელიც არ შეიცავდა ცხოველურ ცხიმებს. წარმომადგენელი აპელირებს წერილის იმ ჩანაწერზე, სადაც მითითებულია, რომ №... დაწესებულების (სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მეშვეობით) და კვების კომპანიის მიერ იგეგმებოდა ცალკე მენიუს შემუშავება ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის. საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ერთობლივი ბრძანების ხელმოწერა არ უნდა აღიქმებოდეს ვალდებულებად, რომ სწორედ იუსტიციის სამინისტრო იყო ვალდებული მიეღო შესაბამისი ზომები გ.ტ-ის ვეგანურ კვებასთან დაკავშირებით კონკრეტული საჭიროების არსებობისას.

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის ნაწილში, საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლზე, ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ კვების ორგანიზებისთვის აუცილებელ ნორმებზე და მიიჩნევს, რომ „ერთობლივი ბრძანება“ რეგულირების სფეროსა და ნორმათა შინაარსის გათვალისწინებით არ ახდენს დისკრიმინაციულ მოპყრობას. მიიჩნევს, რომ ბრძანება ამომწურავად და სრულყოფილად განსაზღვრავს ყველა საჭიროების მქონე პირთა კვების რაციონს და არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს. კასატორის მსჯელობით, პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მთავარ პირობას, თავად ზიანის არსებობის ფაქტის გარდა, წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი და ბრალეული მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ზიანთან. მორალურ ზიანზე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი საუბარი, როდესაც სახეზეა ბრალეული ქმედება. მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არ მოქმედებდა ბრალეულად. დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას დაწესებულებების მხრიდან უმოქმედობაში, მაშინ როდესაც ერთი მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ერთობლივი ბრძანების ხელმოწერით, ხოლო მეორე მხრივ პენიტენციურმა სამსახურმა დასახელებული ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოქმედებით და სათანადო რეაგირებით მაქსიმალურად შეუწყო ხელი გ. ტ-ის უფლებების დაცვას. გასათვალისწინებლად მიიჩნევს სასამართლოს ჩანაწერს, სამინისტროს მიერ ერთობლივი ბრძანების ხელმოწერიდან გამომდინარე ზიანის დაკისრების თაობაზე და იმ პირობებში როდესაც ბრძანება არ არის გასაჩივრებული და სადავოდ გამხდარი, უსაფუძვლოდ მიიჩნევს გ.ტ-ის სასარგებლოდ საქართველოს

იუსტიციის სამინისტროსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

კასატორი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ შესაფასებელია სამინისტროს მხრიდან იკვეთება თუ არა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი. მიუთითებს „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/ნ ერთობლივ ბრძანებაზე და არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრებას, რომ ერთობლივი ბრძანებით არ იყო გათვალისწინებული პირის ინდივიდუალური საჭიროება. აპელირებს აღნიშნული რეგულაციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტზე, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტზე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე და მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული დანაწესები იძლევა შესაძლებლობას, განსხვავებული საჭიროების მქონე პატიმრებისთვის, შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით შედგეს სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული მენიუ. დაუსაბუთებლად მიიჩნევს მსჯელობას თუ რა ნაწილში ახალისებს ერთობლივი ბრძანება დისკრიმინაციას. აკონკრეტებს, რომ კვების მენიუსა და შესაბამისი კალორაჟის განსაზღვრა ხდება ექიმი დიეტოლოგ/ ნუტრიციოლოგის მიერ. სწორედ ექიმის მიერ უნდა მოხდეს შესაბამისი კალორაჟის გამოთვლა და დანიშვნა. მიუთითებს, რომ ექიმის კონსულტაცია/ჩარევა არ ესაჭიროება მხოლოდ ავადმყოფ პირს და გაუმართლებლად მიიჩნევს სასამართლოს მიერ ნორმის ამ ფორმით ინტერპრეტაციას. მიუთითებს, რომ ზემოხსენებული ერთობლივი ბრძანება ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევაში, განსაკუთრებული საჭიროების მქონე მსჯავრდებულებისთვის/ბრალდებულებისთვის განსხვავებული კვების რეჟიმის, მენიუ – განრიგის შემუშავებას. მისივე განმარტებით, ერთობლივი ბრძანება ნორმატიული მოწესრიგების დონეზე არ არის დისკრიმინაციის წამახალისებელი, ხოლო სხვა მხრივ შეუძლებელია, სამინისტროს მხრიდან, გ.ტ.-ის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას ჰქონოდა ადგილი. კასატორის მსჯელობით, სწორედ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აქტი არ ყოფილიყო დისკრიმინაციის წამახალისებელი, აქტმა გააჩინა შესაძლებლობა მოხდეს სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული კვების რაციონის/რეჟიმის შემუშავება, შესაბამისი ექსპერტის ჩართულობით და მისი მიწოდება პატიმრებისათვის. წინსწრებით შეუძლებლად მიიჩნევს აქტმა გაითვალისწინოს ყველა შესაძლო საჭიროებაზე მორგებული მენიუ (პიროვნების მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, რამეთუ მსოფლმხედველობის, კულტურის არაერთი მიმართულება არსე-

ბოზს), თუმცა ასეთი რეალური საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, აქტი იძლევა შესაძლებლობას შემუშავდეს სპეციალურ საჭიროებაზე მორგებული სათანადო კვების რეჟიმი.

კასატორი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური მიუთითებს „პატიმრობის კოდექსის“ 23-ე მუხლზე და განმარტავს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. აკრძალულია ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საკვების კალორიულობის შემცირება. ნორმაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვების ნორმები განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. აპელირებს 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/ნ ერთობლივი ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვების რეჟიმი განსაზღვრავს დღის განმავლობაში კვების ჯერადობას, მათ შორის, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული შუალედების დაცვას, ასევე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დამტკიცებული ნორმების მიზანმიმართულ განაწილებას დღისა და კვირის განმავლობაში და საკვების მიღებას კვების რეჟიმით განსაზღვრულ დროის მონაკვეთში. მიუთითებს, რომ მუხლის მე-4 პუნქტით, განსაკუთრებულ სიტუაციებსა და პირობებში დასაშვებია დადგენილი კვების რეჟიმის შეცვლა და ახლის შემუშავება სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მონაწილეობით.

კასატორი ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის საფუძველზე მიუთითებს, რომ პაციენტს მიენოდებოდა დაწესებულებაში მოქმედი მენიუებიდან მცენარეული საკვები, ასევე მისთვის სპეციალურად მომზადებული მოხარშული და უმი მცენარეული პროდუქტები. №... პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის №24/69326 სამსახურებრივ ბარათზე მითითებით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ №... პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფდა გ. ტ-ის სრულყოფილ კვებას, მას საკვებად მიენოდებოდა ისეთი პროდუქტები, რომლებიც არ შეიცავს ცხოველურ ცხიმებს. ასევე, სამედიცინო პერსონალის მიერ კონტროლდებოდა საკვების ოდენობა და კალორაჟი. გ.ტ-ის ანვდიდნენ ისეთ მცენარეულ პროდუქტებს, კერძოდ ბრინჯს, წინიბურას, შვრიას, ლობიოს, ქერს, კარტოფილს და სხვადასხვა ბოსტნეულს.

წარმომადგენლის მსჯელობით, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/ნ ერთობლივი ბრძანებით კონკრეტულად ვეგანი ბრალდებულებისთვის/ მსჯავრდებულებისთვის მენიუ და კვე-

ბის რაციონი არ არის განერილი, აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, განსაკუთრებულ სიტუაციებსა და პირობებში დადგენილი კვების რეჟიმის შეცვლისა და ახლის შემუშავების შესაძლებლობას სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მონაწილეობით. მისივე განმარტებით, კანონმდებლობა რატომ უნდა პირდაპირ ვერ მოაწესრიგებს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევას, თუმცა ბრძანების ზემოაღნიშნული დათქმა შესაძლებლობას აძლევს სამსახურს, საჭიროების შემთხვევაში მოერგოს კონკრეტულ სიტუაციას და გარემოებების შესაბამისად შეცვალოს ინდივიდუალური ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვების რეჟიმი. კასატორის განმარტებით, სწორედ ამ ნორმაზე დაყრდნობით, გ. ტ-ის დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მიეწოდებოდა მისთვის ინდივიდუალურად შედგენილი, მის საჭიროებებზე მორგებული კვების მენიუ და პროდუქტები. გასათვალისწინებლად მიიჩნევს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური მოქმედებდა იმ სამართლებრივი აქტების ჩარჩოში, რომლებიც არეგულირებს პენიტენციური სისტემის ფუნქციონირებას, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებისა და ყოფნის პირობებს, მათ კვებას და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს. ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას ერთ-ერთი განსახილველი კრიტერიუმია შესაბამისი მოპყრობის მიზანი. განმარტავს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიზანი არ ყოფილა გ. ტ-ის მიმართ განეხორციელებინა დისკრიმინაციული მოპყრობა. პირიქით, დაწესებულება ცდილობდა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა გ. ტ-ის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე წარმოშობილი საჭიროებები და დაწესებულებაში არსებული პროდუქტების სიიდან აწვდიდა მას მცენარეულ პროდუქტებს. ამდენად, წარმომადგენელი ითხოვს მოსარჩელე გ. ტ-ის სრულად ეთქვას უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გ. ტ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 14 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესა-

ბამისად, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გ. ტ-ის საკასაციო საჩივრები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივართა საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ტ-ის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინება გასაჩივრებულია როგორც გ. ტ-ის (დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში), ასევე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ (სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებულ ნაწილში).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: გ. ტ-ი 2019 წლის 28 მაისიდან, 2019 წლის 7 ნოემბრამდე იმყოფებოდა პატიმრობაში №... სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის თანახმად, გ. ტ-ი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო ექვსი წელია არის ვეგანი და ყოველ წელიწადს შიმშილობს 21-23 დღე.

2019 წლის 3 ივნისის პაციენტის გასინჯვის ფურცლის (ფორმა №IV-200-5/ა) თანახმად, გ. ტ-ი არის ვეგანი (ე.ი. ცხოველური პროდუქტებიდან არაფერს მიირთმევს) და ითხოვს თავის შესაფერის აბსოლუტურად მცენარეული ცილებით მდიდარ კვებას. ექიმის მიერ გაიცა რეკომენდაცია – ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება.

პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დინამიკური დაკვირვების დღიურით დადგენილია, რომ 2019 წლის 19 ივნისის მდგომარეობით მოსარჩელე გ. ტ-ი კვლავ აფიქსირებს, რომ არის ვეგანური ტიპის კვებაზე. ითხოვს შესაბამისი დიეტის დანიშვნას. ჩანაწერის თანახმად, შეტყობინება გადაეცა ექიმ დიეტოლოგს. 2019 წლის 4 ივლისის მდგომარეობით,

მარეობით, პაციენტი უჩივის უძილობას. ექიმმა მიუთითა, რომ სასადილოს მენეჯერთან გადაამოწმა პაციენტის კვების საკითხი, მას მიენოდება დაწესებულებაში მოქმედი მენიუებიდან მცენარეული საკვები და აგრეთვე სპეციალურად მომზადებული მოხარშული და უმი მცენარეული პროდუქტი.

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 3 სექტემბრის №13-2/9713 წერილით, №... პატიმრობისა და დახურული ტიპის დაწესებულებას ეთხოვა მიენოდებინა ინფორმაცია ცნობილია თუ არა №... დაწესებულების ადმინისტრაციისათვის ვეგანი გ. ტ-ის კვების სპეციალური საჭიროების შესახებ; დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიენოდებინა ინფორმაცია რა ღონისძიებები ტარდება და როგორ უზრუნველყოფს №... დაწესებულება გ. ტ-ის სრულყოფილ კვებას; გეგმავს თუ არა დაწესებულების ადმინისტრაცია სპეციალისტის ჩართულობით მოახდინოს კვების რაციონის მოდიფიცირება გ. ტ-ისათვის მისი საჭიროებებიდან გამომდინარე და ასევე №... დაწესებულებაში არიან თუ არა სხვა ვეგანი პატიმრები, რომლებსაც კონკრეტული სხვა საკვები ესაჭიროებათ.

დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №... პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2019 წლის 12 სექტემბრის №271459/25 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ №... პენიტენციური დაწესებულებისთვის ცნობილია გ. ტ-ის კვების სპეციალური საჭიროების შესახებ. ამასთან, დაწესებულება უზრუნველყოფს ბრალდებულის სრულყოფილ კვებას, მას საკვებად გადაეცემა ისეთი პროდუქტები, რომელიც არ შეიცავს ცხოველურ ცხიმებს. ასევე, სამედიცინო პერსონალის მიერ კონტროლდება საკვების ოდენობა და კალორაჟი. ამავე წერილის თანახმად, №... პენიტენციური დაწესებულების და კვების კომპანიის მიერ იგეგმება ცალკე მენიუს შემუშავება (კვების რაციონის მოდიფიცირება) ვეგანი ბრალდებულ/ მსჯავრდებულთათვის. მითითებულია, რომ მოცემული პერიოდისათვის №... პენიტენციურ დაწესებულებაში სხვა ვეგანი პატიმრები არ არიან განთავსებულნი, რომლებსაც კონკრეტული სახის საკვები ესაჭიროება.

დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №... პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2019 წლის 25 სექტემბრის №285773/25 წერილით, სახალხო დამცველის აპარატს დეტალურად ეცნობა გ. ტ-ის მენიუს შესახებ, კერძოდ: ორშაბათი საუზმე – ჰერკულესის ფაფა. ჩაი. სადილი – უცხიმო ბორში. ჭარხლის და სტაფილოს სალათი. კომპოტი. ვახშამი – მოხარშული კარტოფილი. ჩაი: სამშაბათი საუზმე – საუზმე მოხარშული ბრინჯი, ჩაი. სადილი კარტოფილის სუ-

ფი, ქარხლის სალათი, კომპოტი. ვახშამი – მოხარშული კარტოფილი, წინიბურა, ჩაი; ოთხშაბათი – მოხარშული ბრინჯი ჩაი. სადილი უცხიმო სუფი, კიტრი პამიდვრის სალათი, კომპოტი. ვახშამი წინიბურა, ჩაი; ხუთშაბათი – საუზმე ჰერკულესის ფაფა, ჩაი. სადილი ბარდის სუფი, სტაფილოს და ქარხლის სალათი. კომპოტი. ვახშამი მოხარშული კარტოფილი, წინიბურა. ჩაი. პარასკევი – საუზმე ბრინჯის ფაფა, ჩაი. სადილი ლობიო, კიტრი პამიდვრის სალათი, კომპოტი. ვახშამი მოხარშული კარტოფილი, წინიბურა. ჩაი. შაბათი – საუზმე ბრინჯის ფაფა, ჩაი. სადილი კარტოფილის სუფი, სტაფილოს ქარხლის სალათი. კომპოტი. ვახშამი წინიბურა, ჩაი. კვირა – საუზმე ჰერკულესის ფაფა, ჩაი. სადილი უცხიმო სუფი, ქერის გარნირი, სტაფილოს ქარხლის სალათი. კომპოტი. ვახშამი მოხარშული კარტოფილი. წინიბურა. ჩაი. წერილის თანახმად, სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მოცემულ ეტაპზე ზუსტი პერიოდი არ არის ცნობილი თუ როდის მოხდება ცალკე მენიუს შემუშავება ვეგანი ბრალდებულ/ მსჯავრდებულთათვის.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის №... პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის №24/69326 მოხსენებითი ბარათით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს, №01-40504 წერილის პასუხად ეცნობა, რომ 2019 წლის №... პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფდა გ.ტ-ის სრულყოფილ კვებას, მას საკვებად გადაეცა ისეთი პროდუქტები რომელიც არ შეიცავს ცხოველურ ცხიმებს. ასევე სამედიცინო პერსონალის მიერ კონტროლდებოდა საკვების ოდენობა და კალორაჟი. ასევე გადაეგზავნა ინფორმაცია მენიუსთან დაკავშირებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №... პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2021 წლის 27 სექტემბრის №228269/24 წერილით დასტურდება, რომ №... დაწესებულებაში ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის კვება არ რეგულირდება ცალკე მენიუთი. დაწესებულებაში ბრალდებულ/მსჯავრდებულთა კვება ხორციელდება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №338-№01-18/ნ ერთობლივი ბრძანებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 22 დეკემბრის №310772/01 წერილით, გ.ტ-ის №01/346509 მიმართვის პასუხად ეცნობა იმ ექიმთა ჩამონათვალი, რომლებიც 2019 წლის 28 მაისიდან 2019 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდში

№... პენიტენციურ დაწესებულებაში უწევდნენ სამედიცინო მომსახურებას. წერილით ასევე ეცნობა, რომ საშტატო ერთეულით დიეტოლოგ-ნუტრიციოლოგის სპეციალობის ექიმი- სპეციალისტი №... პენიტენციურ დაწესებულებას მოთხოვნილ პერიოდში არ ჰყოლია.

საკასაციო საჩივრებზე მსჯელობის მიზნით, პალატა კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ გ. ტ-ისთან ერთად, რომელიც სადავოდ ხდის მოპასუხეთათვის დაკისრებული თანხის ოდენობას (10 000 ლარის ნაცვლად 5 000 ლარის დაკისრებას), სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და სოლიდარულად დაკისრებული თანხის (5 000 ლარის) ნაწილში. ამდენად, საკასაციო საჩივრების ფარგლებში უპირველესად უნდა შეფასდეს გ.ტ-ის მიმართ აღგილი ჰქონდა თუ არა დისკრიმინაციულ მოპყრობას; ასეთის არსებობის შემთხვევაში რომელი ადმინისტრაციული ორგანოს/ორგანოების მიერ და ასევე, მსჯელობის საგანია არსებობს თუ მოპასუხისათვის/მოპასუხეებისათვის მორალური ზიანის (რა ოდენობით) დაკისრების საფუძველი.

დავის საგნის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს თავად დისკრიმინაციის არსზე და აღნიშნავს, რომ დისკრიმინაცია მე-17 საუკუნეში ინგლისურ ენაში დამკვიდრებული ტერმინია, რომელსაც საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა *discriminatio*, რაც განსხვავებას ნიშნავს. ტერმინის ლინგვისტური მნიშვნელობა განსხვავებულ მოპყრობას გულისხმობს. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა არის ადამიანის უფლებათა დამკვიდრებისა და დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება. თანასწორობის იდეა და პრინციპები დღეს მოქმედ მრავალ საერთაშორისო სამართლის აქტითაა გამტკიცებული. მათ შორის არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სხვა საერთაშორისო აქტები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) ადგენს, რომ „ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა“. საერთაშორისო სამართლის აღნიშნული ნორმა, ადამიანის უფლებათა თანასწოროდ სარგებლობის სტანდარტს ამკვიდრებს. ადამიანები თანასწორნი არიან იმ უფლებებით სარგებლობაში, რომლებსაც კონვენცია ადამიანის წარუვალ უფლებებად მიიჩნევს. მოგვიანებით, კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, ასეთივე თანასწორობა დადგინდა არა მხოლოდ

კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებაში, არამედ ზოგადად ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის დროს. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა ემსახურება არა მხოლოდ თანასწორობის უფლების, არამედ თანასწორობის პრინციპის რეალიზებას, რომელიც უფრო ფართო შინაარსის მატარებელია და არ გულისხმობს მხოლოდ უფლებებით თანასწორად სარგებლობას. ამიტომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით აიკრძალა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია საჯარო დაწესებულებების მიერ, რაც შეზღუდული არ არის მხოლოდ უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფით. ნორმა საჯარო დაწესებულებას აგრეთვე უკრძალავს პირის დისკრიმინაციას რაიმე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ან ნებისმიერი სხვა ქმედების დროს, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მოქმედებით ან უმოქმედობით.

დისკრიმინაციის ცნების ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მართალია დისკრიმინაციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია განსხვავებული მოპყრობა, თუმცა დისკრიმინაცია, როგორც სამართლებრივი კატეგორია, შეიძლება მოხდეს სრულიად საპირისპირო ვითარებაშიც, ანუ მაშინ, როდესაც პირებს თანასწორად ეპყრობიან. ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით, დისკრიმინაცია არის როგორც მნიშვნელოვნად თანასწორთან თვითნებურად უთანასწოროდ მოპყრობა, ისე მნიშვნელოვნად უთანასწოროსთან თვითნებურად თანასწორად მოპყრობა. ეს უკანასკნელი კატეგორია არაპირდაპირ დისკრიმინაციად მიიჩნევა, რადგან თავად ქმედება პირდაპირ არ არის დისკრიმინაციული, მაგრამ მისი შედეგები უტოლდება დისკრიმინაციას. არაპირდაპირი დისკრიმინაციის არსი სწორედ ისაა, რომ სახელმწიფო პოზიტიურ ვალდებულებას არ ასრულებს იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც ეს სჭირდებათ, აქედან გამომდინარე, ამ პირებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს იმათთან შედარებით, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური მოპყრობა არ სჭირდებათ. არაპირდაპირი დისკრიმინაციისათვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ წესი, რეგულაცია, ღონისძიება არის ნეიტრალური, არ შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებს და მით უფრო, არც დისკრიმინაციული ქმედების განზრახვას, თუმცა, შედეგად სახეზეა გარკვეულ პირთა ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციული მოპყრობა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონვენციის მე-14 მუხლი ფარავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დისკრიმინაციას. სადავო არ არის, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაცია შეიძლება მომდინარეობდეს არამხოლოდ ქმედებიდან – მოქმედება, უმოქმედობა, არამედ დე ფაქტო სიტუაციიდან. არაპირდაპირი დისკრიმინაციის მტკიცების თვალსაზრისით, ფაქტების მითითების ტვირთი მოსარჩე-

ლეზა. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, რომ ნეიტრალურმა წესმა, კანონმა, რეგულაციამ ის სხვებთან შედარებით, არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა.

არაპირდაპირი დისკრიმინაციის სამართლებრივ ბუნებას ევროპული სასამართლო დეტალურად შეეხო საქმეზე – „D.H. და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ (D.H. and others v. Czech Republic). სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი არ კრძალავს განსხვავებულ მოპყრობას, თუ ეს საჭიროა ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. პირიქით, ცალკეულ შემთხვევაში ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად უმოქმედობა თავად ჩაითვლება დისკრიმინაციად. არაპირდაპირი დისკრიმინაცია არის მოცემულობა, რომლის თანახმადაც, „შესაძლოა, რომ განსხვავებული მოპყრობა იმ ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების მეშვეობით შედეგის სახით არსებობდეს, რომელიც მართალია ნეიტრალურად არის წარმოჩენილი, მაგრამ დისკრიმინაციულია და ერთ გარკვეულ ჯგუფზე მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს“ (იხ. საქმე „D.H. and others v. Czech Republic“). არაპირდაპირი დისკრიმინაციის კრიტერიუმებია: ნეიტრალური წესი ან პრაქტიკა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს დაცული ნიშნით გამორჩეულ რომელიმე პირზე ან ჯგუფზე. არაპირდაპირი დისკრიმინაციის საქმეებში დისკრიმინაცია დგინდება იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ყველას მიმართ გამოყენებული იქნა ერთი და იგივე წესი, შესაბამის განსხვავებათა გათვალისწინების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) ავსებს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების იმ დებულებებს, რომლებიც მატერიალურ უფლებებს ითვალისწინებს. მე-14 მუხლი დამოუკიდებლად არ გამოიყენება. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კონვენციის და მისი დამატებითი ოქმების მატერიალურ-სამართლებრივი დებულებებით უზრუნველყოფილ „უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს. კანონის წინაშე თანასწორობა, უწინარესად, ყველასთვის თანაბარი უფლებებით, პრივილეგიებითა თუ იმუნიტეტით სარგებლობის უფლებას გულისხმობს, რომლებიც თანაბრად და დაცული კანონის საფუძველზე. მოცემული კონსტიტუციური ნორმა განსაზღვრავს, თუ რა ნიშნების მიხედვით არ შეიძლება ადამიანებისადმი დიფერენცირებული მიდგომა და როდის იქნება იგი შეფასებული დისკრიმინაციად. თავის მხრივ, დისკრიმინაცია კუმულატიურად მოიაზრებს, როგორც განსხვავებულ მოპყრობას, ისე ასეთი მოპყრობის უკანონობას. თუკი განსხვავებული მოპყრობა ემსახურება სამართლიანობას, უთანასწორობის აღმოფხვრას,

იგი არ შეიძლება შეფასდეს დისკრიმინაციად. „დისკრიმინაცია, ეს არის შედარებით მსგავს ვითარებაში მყოფ ადამიანთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული გამართლებების გარეშე“ (Zarb Adami v Malta, HUDOC (2006) 44 EHRR 49 para 71). ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ თანასწორობის მოთხოვნა ირლვევა, როდესაც მსგავსი, ერთგვაროვანი შემთხვევები განსხვავებულად განიხილება, ისევე როგორც, ამკარად განსხვავებული შემთხვევების ერთგვაროვანი განიხილვა ასევე შეუთავსებელია თანასწორობასთან.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოში შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტია ასევე განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობით, კერძოდ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. მითითებული კანონის მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ეროვნული კანონმდებლობით, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა

პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ამავე საკანონმდებლო აქტის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ განსახილველ დავაში მოსარჩელე მხარის მოთხოვნას წარმოადგენს სასჯელალსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ვეგანობის (მსოფლმხდევლობის) ნიშნით, საკასაციო პალატა მიუთითებს საკითხისადმი რელევანტურ კანონმდებლობას, კერძოდ, „პატიმრობის კოდექსს“ რომლის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. აკრძალულია ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საკვების კალორიულობის შემცირება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გ. ტ-ი არის ვეგანი. ასევე დადგენილია, რომ პატიმრის დაწესებულებაში მოთავსების დღიდან – 2019 წლის 28 მაისიდან, სასჯელალსრულების დაწესებულებისთვის ცნობილი იყო, რომ საჭიროებდა განსხვავებულ კვებას. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მან არაერთხელ მიმართა დაწესებულების ადმინისტრაციას მისი სათანადო საკვებით უზრუნველყოფის მოთხოვნით. აღნიშნული გარემოებები დადასტურებულია როგორც ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათით, ასევე 2019 წლის 3 ივნისის პაციენტის გასინჯვის ფურცლით (ფორმა №IV-200-5/ა) და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დინამიკური დაკვირვების დღიურით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვეგანობა, როგორც მსოფლმხდევლობა განმარტებულია, როგორც შეხედულებათა, შეფასებათა და წარმოდგენათა სისტემა მსოფლიოსა და მასში ადამიანის ადგილის, გარემოსთან და საკუთარ თავთან ადამიანის საერთო ურთიერთობის შესახებ. ასევე ამ შეხედულებებით განპირობებული ადამიანთა ცხოვრებისეული პოზიციები, მათი რწმენა, იდეალები, პრინციპები, საქ-

მიანობა და ფასეულობითი ორიენტაციები. ტერმინი „ვეგანი“ პირველად გამოიყენეს 1940-იან წლებში ვეგეტარიანელთა მცირე ჯგუფმა, რომლებმაც ინგლისში დატოვეს ლეესტერის ვეგეტარიანელთა ასოციაცია და შექმნეს ვეგანური კავშირი. Veganism არის კონცეფცია და ცხოვრების წესი, რომელიც ეხება ადამიანის, ცხოველის და ბუნების ურთიერთობას სამართლიანობასა და თანასწორობასთან ერთად და აქვს ღრმა ფილოსოფიური საფუძველი.

საკასაციო პალატა აქვე, მიუთითებს ადამიანის უფლებების ვენის მსოფლიო კონფერენციაზე გაჟღერებულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის უფლებები არის უნივერსალური და ყველასთვის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. მათი რეალიზებისას გასათვალისწინებელია ისტორიული, კულტურული და რელიგიური თავისებურებები. („დისკრიმინაციის ეფექტური ბრძოლის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები“; ბექა ძამაშვილი).

პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებაზე („ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“), სადაც განმარტებულია, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს, რომ თითოეული პატიმარი იმყოფებოდეს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას (იხ. სხვებს შორის, *Ostrovar c. Moldova*, no 35207/03, §79, 13 septembre 2005 ; *Kafkaris c. Chypre [GC]*, no 21906/04, §96, CEDH 2008-...). პატიმრის ჯანმრთელობის გარდა, ასევე ადეკვატურად და პატიმრობის გონივრული მოთხოვნილებების გათვალისწინებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მისი კეთილდღეობა (*Sakkopoulos c. Grèce*, no 61828/00, §38, 15 janvier 2004; *Kudła*, §94). ლოჯისტიკური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებულია, ისე მოაწყოს თავისი პენიტენციური სისტემა, რომ უზრუნველყოს პატიმრების ადამიანური ღირსების პატივისცემა (*Soukhovoy c. Russie*, no 63955/00, § 31, 27 mars 2008 ; *Benediktov c. Russie*, no 106/02, §37, 10 mai 2007).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ღირსების უფლებები განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ უფლებებს. აღნიშნული ძირითადი უფლებები პირს გააჩნია მიუხედავად მისი ადგილსამყოფლისა. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენიც კი ვერ წარმოშობს პირისთვის ძირითადი უფლებების ჩამორთმევის საფუძველს. უფრო მეტიც, სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ თავად არ შეზღუდოს გაუმართლებლად პირის ძირითადი უფლებები,

არამედ დაიცვას ისინი მესამე პირის ჩარევისაგანაც. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების დაკავება თუ დაპატიმრება ითვალისწინებს მისთვის გარკვეული ძირითადი უფლებების გამოყენების შეზღუდვას და სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი ვალდებულია ითმინოს თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგები, სახელმწიფო ვალდებულია, რომ შეუქმნას მას შესაბამისი პირობები, რომელთა ფარგლებშიც სათანადოდ დაცული იქნება პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №... პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2021 წლის 27 სექტემბრის №228269/24 წერილით დასტურდება, რომ №... დაწესებულებაში ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის კვება არ რეგულირდება ცალკე მენიუთი. დაწესებულებაში ბრალდებულ/მსჯავრდებულთა კვება ხორციელდება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №338-NO1-18/6 ერთობლივი ბრძანებით. განსახილველ დავაში, მოპასუხე (კასატორი) სპეციალური პენიტენციური სამსახური თავის პოზიციის დასადასტურებლად მიუთითებს, რომ №... პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფდა გ. ტ-ის სრულყოფილ კვებას, მიუთითებს, რომ მას საკვებად გადაეცემოდა ისეთი პროდუქტები რომელიც არ შეიცავდა ცხოველურ ცხიმებს. ასევე სამედიცინო პერსონალის მიერ კონტროლდებოდა საკვების ოდენობა და კალორაჟი.

საკასაციო პალატა დეტალურად მიუთითებს, „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/6 ერთობლივ ბრძანებაზე. მითითებული ნორმატიული აქტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუნწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომში – სამსახური) პენიტენციურ დაწესებულებებში (შემდგომში – დაწესებულება) მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა (შემდგომში – ბრალდებული/მსჯავრდებული) ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო კვების ორ-

განიზებისათვის აუცილებელ ნორმებს. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სა-
ნიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და პირობები უნდა შეესაბამებოდეს
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს,
პატიმრობის კოდექსს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს,
საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-
რიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაც-
ვის მინისტრების ბრძანებებსა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვ-
ნებს, ამასთან, წინამდებარე ნორმების დაცვა სავალდებულოა დაწე-
სებულებებისათვის, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედა-
ნაყოფების მოსამსახურეთათვის და სამსახურის იმ კონტრაქტორი იუ-
რიდიული პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ დაწესებულებე-
ბის კვებით მომსახურებას.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მოსარჩელე გ.
ტ-ი 2019 წლის 28 მაისიდან 2019 წლის 7 ნოემბრამდე იმყოფებოდა პა-
ტიმრობაში №... სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. საქმეში წარ-
მოდგენილი წერილით დადგენილია, რომ 2019 წლის 12 სექტემბრის
მდგომარეობით №... პენიტენციურ დაწესებულებაში იგეგმებოდა ცალ-
კე მენიუს შემუშავება (კვების რაციონის მოდიფიცირება) ვეგანი ბრალ-
დებულ/მსჯავრდებულებისთვის. ზუსტი პერიოდი არ იყო ცნობილი და-
წესებულებისთვის, თუ როდის მოხდებოდა ცალკე მენიუს შემუშავება
ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დისკრიმინაციული ნორმების
მოდიფიცირება და ცნობიერების ამაღლება არის სახელმწიფოს პოზი-
ტიური ღონისძიებების სახე, თუმცა ცალკე ყურადღება უნდა გამახ-
ვილდეს ისეთი ზომების მიღებაზე, რომელთა გარეშეც თანასწორობის
უფლების უზრუნველყოფა ვერ მოხდება. თანასწორობის უფლების უზ-
რუნველსაყოფად სახელმწიფო ვალდებულია, მნიშვნელოვნად განსხვა-
ვებულ პირობებში მყოფ პირებს თანასწორად არ მოექცეს. პირიქით,
იმისათვის, რომ თანასწორობის უფლების რეალიზება მოხდეს, სახელ-
მწიფო განსხვავებულ პირებს განსხვავებულად უნდა მოეპყროს. უფ-
რო მეტად რომ დაზუსტდეს ეს პრინციპი, შეიძლება ითქვას, რომ სა-
ხელმწიფომ ყველა პირის ინდივიდუალური საჭიროება უნდა გაითვა-
ლისწინოს ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად, რათა არ დაარ-
ღვიოს მათი თანასწორობის უფლება. ეროვნული კანონმდებლობა რომ
ქმნიდეს დისკრიმინაციასთან ეფექტურად ბრძოლის საფუძველს, უნ-
და ასახავდეს საერთაშორისო და რეგიონალური ინსტრუმენტებით
დადგენილ სტანდარტებს. უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლობაში
მოცემული უნდა იყოს დისკრიმინაციის დეფინიცია და მისი სახეები,
რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ყოველი კონკრეტული შემ-

თხვევის დისკრიმინაციად კვალიფიკაცია. გაეროს კონვენციებში მოცემული დეფინიცია განსხვავებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი განმარტებისგან, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციულ დირექტივებს. თუმცა ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ დეფინიციას არ ეწინააღმდეგება გაეროს კონვენციების ინტერპრეტაცია და მთლიანობაში საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების გათვალისწინებით უნდა გამოიყოს დისკრიმინაციის შემდეგი ელემენტები: 1) ქმედება – განსხვავებული მოპყრობა, 2) შესაძარბელი კატეგორია – ვისთან მიმართებითაც დგინდება განსხვავებული მოპყრობა, 3) ქმედების მიზეზი – ნიშნის არსებობა, რის გამოც პირს განსხვავებულად მოეპყრნენ, 4) ქმედების მიზანი ან შედეგი – არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება, 5) განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლების არარსებობა. შესაბამისად, ეროვნულ კანონმდებლობაში დისკრიმინაცია იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მასში ასახული იყოს ქმედების დისკრიმინაციად კვალიფიკაციისთვის საჭირო ყველა აღნიშნული ელემენტი. ეროვნულ დონეზე დისკრიმინაციის განმარტებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ ფაქტორზე. 1) განსხვავებული მოპყრობა ყოველგვარი ნიშნის გარეშე უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა დისკრიმინაციად 2) დისკრიმინაცია შეზღუდული უნდა იყოს თუ არა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობით; ნიშნებთან მიმართებით დისკრიმინაციის მთავარი გამომწვევი მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ ნიშნების არსებობაა და სწორედ ამიტომ საერთაშორისო და რეგიონალური კონვენციები დეფინიციაში პირდაპირ გამოყოფენ, რომ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციული ნიშნის გამო უნდა ხორციელდებოდეს. თუმცა თანასწორობა ირლვევა მაშინაც, როდესაც ვერ ხდება ნიშნის იდენტიფიცირება, მაგრამ ხდება თვითნებურად განსხვავებული მოპყრობა. ნებისმიერ შემთხვევაში ნიშნების ჩამონათვალი არ უნდა იყოს ამომწურავი და შეზღუდული, რომ რეგულირების მიღმა არ დარჩეს რომელიმე ნიშანი („დისკრიმინაციის ეფექტური ბრძოლის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები“; ბექა ძამაშვილი).

განსახილველ შემთხვევაში, გასაზიარებელია კასატორის – მოპასუხე სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის ის განმარტება, რომ პენიტენციური სამსახურის მიზანი არ ყოფილა გ. ტ-ის მიმართ განეხორციელებინა დისკრიმინაციული მოპყრობა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნის დარღვევის დადგენისას არ არის სავალდებულო, რომ უთანასწორო სამართლებრივი მდგომარეობის შექმნა წარმოადგენდეს შე-

საბამისი ნორმის მიმღები ორგანოს მიზანს. “ (საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392.) მიუხედავად განზრახვის არარსებობისა, პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის მიერ ვერ დადასტურდა და საქმეში არ არის წარმოდგენილი იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელე გ. ტ-ი №... პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის სრული პერიოდის განმავლობაში – 2019 წლის 28 მაისიდან, 2019 წლის 7 ნოემბრამდე უზრუნველყოფილი იყო სათანადო სპეციალური კვებით, შესაბამისი პროფილის ექიმის მიერ შედგენილი კვების რეჟიმის მიხედვით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნულ პერიოდში №... პენიტენციურ დაწესებულებას არ ჰყავდა დიეტოლოგ-ნუტრიციოლოგის სპეციალობის მქონე ექიმი. მოწმეთა მიერ (პ. ჯ-ა და შ. ხ-ე, რომლებიც მოსარჩელესთან ერთად იმყოფებოდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში) განმარტებულია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსარჩელეს აწვდიდნენ იგივე საკვებს, რასაც მათ და იგი ფაქტობრივად მშვირი რჩებოდა. დაწესებულების 2019 წლის 12 სექტემბრის №271459/25 წერილის შინაარსის გათვალისწინებით, დასაბუთებას მოკლებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის ის განმარტება, რომ დაწესებულება ცდილობდა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა გ. ტ-ის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე წარმოშობილი საჭიროებები და დაწესებულებაში არსებული პროდუქტების სიიდან აწვდიდა მას მცენარეულ პროდუქტებს. როგორც სახალხო დამცველის აპარატისათვის გადაგზავნილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №... პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2019 წლის 25 სექტემბრის №285773/25 წერილით ირკვევა გ. ტ-ის მენიუ შედგებოდა: ორშაბათი საუზმე – ჰერკულესის ფაფა, ჩაი. სადილი – უცხიმო ბორში. ჭარხლის და სტაფილოს სალათი. კომპოტი. ვახშამი – მოხარშული კარტოფილი. ჩაი: სამშაბათი საუზმე – საუზმე მოხარშული ბრინჯი, ჩაი. სადილი კარტოფილის სუფი, ჭარხლის სალათი, კომპოტი. ვახშამი – მოხარშული კარტოფილი, წინიბურა, ჩაი; ოთხშაბათი – მოხარშული ბრინჯი ჩაი. სადილი უცხიმო სუფი, კიტრი პამიდვრის სალათი, კომპოტი. ვახშამი წინიბურა, ჩაი; ხუთშაბათი – საუზმე ჰერკულესის ფაფა, ჩაი. სადილი ბარდის სუფი, სტაფილოს და ჭარხლის სალათი. კომპოტი. ვახშამი მოხარშული კარტოფილი, წინიბურა. ჩაი. პარასკევი – საუზმე ბრინჯის ფაფა, ჩაი. სადილი ლობიო, კიტრი პამიდვრის სალათი, კომპოტი. ვახშამი მოხარშული კარტოფილი, წინიბურა. ჩაი. შაბათი – საუზმე ბრინჯის ფაფა, ჩაი. სა-

დილი კარტოფილის სუფი, სტაფილოს ჭარხლის სალათი. კომპოტი. ვახშამი წინიბურა, ჩაი. კვირა – საუზმე ჰერკულესის ფაფა, ჩაი. სადილი უცხიმო სუფი, ქერის გარნირი, სტაფილოს ჭარხლის სალათი. კომპოტი. ვახშამი მოხარშული კარტოფილი. წინიბურა. ჩაი. №285773/25 წერილში 2019 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით დაწესებულების დირექტორი მიუთითებს, რომ ზუსტი პერიოდი არ არის ცნობილი თუ როდის მოხდება ცალკე მენიუს შემუშავება ვეგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის მოსაზრებას გ.ტ-ის სრულყოფილ კვებასთან დაკავშირებით იმ პირობებში, როდესაც მტკიცებულებზე დაყრდნობით გ.ტ-ის მიენოდებოდა დაწესებულებაში მოქმედი მენიუებიდან მხოლოდ მისთვის დაშვებული მცენარეული საკვები, ასევე მოხარშული და უმი მცენარეული პროდუქტები. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს „ევროპის ციხის წესების შესახებ“ ევროპის საბჭოს მიწისებრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის №(2006)2 რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვით, პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით. საკვები რაციონის მოთხოვნები, როგორიცაა კალორიულობა და ცილების შემცველობა, გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით.

საკასაციო პალატა დეტალურად მიუთითებს „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/ნ ერთობლივ ბრძანებაზე, კერძოდ მე-2 მუხლზე რომლითაც განსაზღვრულია ზოგადი მოთხოვნები კვების ორგანიზებისათვის. ასევე მიუთითებს მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, განსაკუთრებულ სიტუაციებსა და პირობებში დასაშვებია დადგენილი კვების რეჟიმის შეცვლა და ახლის შემუშავება სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების მონაწილეობით. მიუთითებს ამავე ბრძანების მე-3 მუხლზე რომელიც ეხება დაწესებულებაში კვების ორგანიზებას, რომლის მე-4 პუნქტის თანახმად, „განსაკუთრებული კვების რეჟიმის საჭიროების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ექიმის მიერ სამედიცინო ჩვენების შესაბამისად დადგენილი სამკურნალო კვებისათვის აუცილებელი პროდუქტებით, ამ დანართის მოთხოვნების გათვალისწინებით“. ამავე ბრძანების მე-5 მუხლი ეხება მენიუ-განრიგს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმადაც, მენიუ-განრიგში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში (ჩანაცვლების ნორ-

მების გათვალისწინებით) აუცილებელია სამსახურის მიერ უფლებამოსილი ექიმი – დიეტოლოგის/ნუტრიციოლოგის თანხმობა და დაწესებულების სასადილოს მენეჯერის მონაწილეობა.

მითითებული საკანონმდებლო რეგულაციით გათვალისწინებული კონკრეტული ჩანაწერის არსებობის პირობებში, საკასაციო პალატა შესაძლებლად მიიჩნევს, განსხვავებული საჭიროების მქონე პაციენტების, შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული მენიუს შედგენას, რასაც განსახილველ შემთხვევაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულის საწინააღმდეგო დასაბუთებული მოსაზრება და პოზიცია სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის მხრიდან არ წარმოდგენილა. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოზიციას და მოთხოვნას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფარგლებში, გ. ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმის თაობაზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ერთობლივი ბრძანებით მართალია არ არის განსაზღვრული კონკრეტული მენიუ ვეგანებისათვის, თუმცა საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/6 ერთობლივ ბრძანებაში არსებული ჩანაწერები იძლევა (იძლეოდა) სპეციალურ საჭიროებაზე მორგებული, სპეციალური კვების რაციონის შედგენის შესაძლებლობას ექიმის დანიშნულების შესაბამისად. ამდენად, საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა ვეგანი მსჯავრდებულებისათვის კვების ნორმატიული-სამართლებრივი საფუძვლის არარსებობაზე. შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიიჩნევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან გ. ტ-ის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ აღნიშნული სამინისტროები წარმოადგენენ 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/6 ერთობლივ ბრძანებაზე ხელმომწერ ადმინისტრაციულ ორგანოებს. საკასაციო პალატა ერთობლივი ბრძანების ნორმათა შინაარსის გათვალისწინებით, გასაზიარებელია კასატორის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მსჯელობა, რომ სწორედ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აქტი არ ყოფილიყო დისკრიმინაციის ნამახალისებელი, აქტმა გააჩინა შესაძლებლობა მოხდეს სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული კვების რაციონის/რეჟიმის შემუშავება, შესაბამისი ექსპერტის ჩართულობით.

ბით და მისი მიწოდება პატიმრებისათვის. მართებულია ადმინისტრაციული ორგანოს ის მოსაზრება, რომ წინსწრებით შეუძლებელია აქტმა გაითვალისწინოს ყველა შესაძლო საჭიროებაზე მორგებული მენიუ (პიროვნების მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, რამეთუ მსოფლმხედველობის, კულტურის არაერთი მიმართულება არსებობს), თუმცა ასეთი რეალური საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, აქტი იძლევა შესაძლებლობას შემუშავდეს სპეციალურ საჭიროებაზე მორგებული სათანადო კვების რეჟიმი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის გადანაწილების კლასიკური წესისგან განსხვავებით, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მიმართ კანონი განსხვავებულ რეგულირებას ადგენს. კერძოდ, დისკრიმინაციული მოპყრობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსარჩელეს აკისრებს მხოლოდ გონივრული ვარაუდის შექმნის ვალდებულებას, მოპასუხეს (ებს) კი – ამ ვარაუდის გაქარწყლების ტვირთს. მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება განპირობებულია იმით, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა ხშირ შემთხვევაში ხდება ფარულად, მოპასუხის გამგებლობის ქვეშ არსებულ სფეროში და მოსარჩელეს არ მიუწვდება ხელი მოპასუხის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე. მოპასუხისთვის კი, საპირისპიროდ, ხელმისაწვდომია მტკიცება იმის თაობაზე, თუ არა დისკრიმინაციული ნიშნით, მაშინ რა მოტივით განახორციელა კონკრეტული ქმედება. შედეგად, მოპასუხეს უწევს თავისი ქმედების მართლზომიერების მტკიცება და თუკი მართლზომიერებას სარწმუნოდ ვერ დაადასტურებს, ასეთ შემთხვევაში დადასტურებულად ჩაითვლება მოსარჩელის მიერ შექმნილი ვარაუდი, რომ ქმედება განხორციელდა სწორედ დისკრიმინაციული ნიშნით. მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილების წესს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს დისკრიმინირებული პირის – მოსარჩელის ვალდებულებას, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები და მიუთითოს ფაქტებზე, რომელთა ანალიზი იძლევა გარკვეული ნიშნით პირის მიმართ არათანაბარი მოპყრობის ვარაუდის საფუძველს. სწორედ ამ საპროცესო სტანდარტის დაცვის შემთხვევაში წარმოიშობა მოპასუხის ვალდებულება: ა) ამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა; ბ) გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული არგუმენტებით, რომლებიც გადანონის განსხვავებულ მოპყრობას და გამართლებული იქ-

ნება დემოკრატიული ღირებულებებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მხრიდან ფაქტების მითითების და მტკიცების ტვირთი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული ქმედება კონკრეტული ნიშნით; უნდა მიუთითოს ნიშანი, რომელიც მას ახასიათებს; უნდა დაამტკიცოს კიდევ ამ ნიშნის არსებობა. მოპასუხეს კი – როგორც ზემოთ აღინიშნა, ევალება, გააქარწყლოს დისკრიმინაციის არსებობის თაობაზე შექმნილი პრეზუმფიცია (ვარაუდი) მისი ქმედების კანონიერების დამტკიცების გზით.

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მტკიცების ტვირთი მოცემულ სფეროში შემდეგნაირად არის გადანაწილებული: მას შემდეგ, რაც მომჩივანი დაადასტურებს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, უკვე მთავრობის ვალდებულებაა, დაამტკიცოს, რომ მას ჰქონდა გამართლება (*Chassagnou and Others v. France* [GC], №25088/94, №28331/95). რაც შეეხება იმას, თუ რა წარმოადგენს *prima facie* მტკიცებულებას, რომელიც შეძლებს მტკიცების ტვირთის მოპასუხე სახელმწიფოზე გადაკისრებას, სასამართლომ აღნიშნა (*Nachova and Others*), რომ მის წინაშე არსებულ სამართალწარმოებაში არ არსებობს პროცედურული ბარიერები მტკიცებულების მისაღებობასთან დაკავშირებით ან წინასწარ განსაზღვრული ფორმულა მის შესაფასებლად. სასამართლო იღებს დასკვნებს, რომლებიც, მისი აზრით, არის გამყარებული ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის – ისეთი დასკვნებით, რომლებიც შესაძლოა, გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა არგუმენტებიდან. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ძლიერი, ნათელი და შესაბამისობაში მყოფი დასკვნების ერთობლიობიდან ან ფაქტის მსგავსად გაუზატილებელი დაშვებებიდან. ამასთანავე, კონკრეტული დასკვნის მისაღებად საჭიროა დარწმუნების ხარისხი და ამ მხრივ მტკიცების ტვირთის დაკისრება ურთიერთკავშირშია ფაქტების კონკრეტიკასთან, ბრალდების ბუნებასა და კონვენციით განსაზღვრულ უფლებასთან.

შეჯამების სახით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკითხის მარეგულირებელი ნორმით – ერთობლივი ბრძანებით იმპერატიულად არ არის დადგენილი კვების რეჟიმი, მენიუ-განრიგი და განსხვავებულ შემთხვევებში შესაძლებელია მასში შესაბამისი პირების ჩართულობით ცვლილების განხორციელება. შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს იმ მსჯელობას, რომ ერთობლივი ბრძანების ხელმოწერი სამინისტროების მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომა გამოიხატა საკითხის ნორმატიულ მოუწესრიგებლობაში. ამდენად, დაუსაბუთებელია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა

და შესაბამისად მორალური ზიანის დაკისრება მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

რაც შეეხება კასატორის გ.ტ-ის მოსაზრებას, რომ 5 000 ლარი ვერ დააკომპენსირებს მის მიმართ განხორციელებულ მოპყრობას, კერძოდ, ციხეში ყოფნის პერიოდში არ ჰქონდა სრულფასოვანი კვების შესაძლებლობა, უწევდა შიმშილი ან მცირე ულუფით კვება და აღნიშნულით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, კერძოდ, მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისთვის სოლიდარულად 10 000 ლარის დაკისრებას, აღნიშნულზე მსჯელობის მიზნით, საკასაციო პალატა მიუთითებს შემდეგს:

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი მიუთითებს, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. სახელმწიფოს (მისი მოსამსახურის) მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება რეგლამენტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და იგი ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს. ამდენად, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის (ძველი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი) თანახმად, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება, შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს,

აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო (21.12.2016. №159) (27.10.2015. №4355 ამოქმედდა 2017 წლის პირველი ივლისიდან).

სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მხრიდან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თავისი სამსახურებრივ მოვალეობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობა ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. ზოგადად, ვალდებულების დარღვევა (უკანონო მმართველობითი ღონისძიება) სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. მნიშვნელოვანია, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. ამდენად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), წარმოშობილი ზიანი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებ-

ლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები.

„არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია“ (სუსგ 08.04.2009 №ბს-972-936(3კ-08)).

განსახილველ შემთხვევაში მართებულია სააპელაციო სასამართლოს ის მსჯელობა, რომ სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს უკანონო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. კომპენსაციის ოდენობის

განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულობით უნდა გადაწყდეს. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 2009 წლის 8 აპრილი.).

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მორალური ზიანი თავისი შინაარსით არამატერიალური ცნებაა და აქედან გამომდინარეობს კანონის დანაწესი მისი ოდენობის დასადგენად მხოლოდ გონივრულობის, სამართლიანობისა და არა რაიმე ფაქტობრივი მატერიალური დანაკარგის გათვალისწინების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, მოსარჩელე გ.ტ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობისა და მისი №... სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს 2019 წლის 28 მაისიდან, 2019 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდს (ექვსი თვე), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის ოდენობად 3 000 (სამიათასი) ლარის განსაზღვრა მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია და ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქ-

ტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. რომლითაც გ. ტ-ის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს. უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინება და მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება; გ. ტ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა დადგინდეს მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან მოსარჩელის გ. ტ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტი კულტურის (ვეგანობის) ნიშნის მიხედვით. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს უნდა დაევალოს მოსარჩელის გ. ტ-ის სასარგებლოდ დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით. გ. ტ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის (3 000 ლარის) პროპორციულად, მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ-

რი პენიტენციურ სამსახურს უნდა დაეკისროს გ. ტ-ის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 800 ლარიდან (300 + 200 + 300) 250 ლარის გადახდა გ. ტ-ის სასარგებლოდ. ხოლო დარჩენილი თანხა უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ტ-ის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. გ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. დადგინდეს მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან მოსარჩელის გ. ტ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტი კულტურის (ვეგანობის) ნიშნის მიხედვით;
6. დაევალოს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მოსარჩელის გ. ტ-ის სასარგებლოდ დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;
7. გ. ტ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.
8. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციურ სამსახურს დაეკისროს გ. ტ-ის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 800 ლარიდან (300 + 200 + 300) 250 ლარის გადახდა გ. ტ-ის სასარგებლოდ. ხოლო დარჩენილი თანხა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge